ალ. ფერეთელი.

ევროპის
პირველი ცივილიზაცია.

კრეტის-მიკენის ანუ ეგეოსის კულტურა.

სურათებით.

ტფილისი. 1923 წ.

ს. მ. უ. ს. პოლ. განყ. მე-3 სტამბა, № 1018 მთავსამლიტგამ. № 297 ტირ. 600.

გთხოვთ დამატებით გაასწოროთ შემდეგი მთავარი კორექტურული შეცდომები:

1. მე-6-ე გვ. 1 შენიშვნაში სწერია; Helbiq, «Homerisches Epos aus den Denkmälernerläutert»; უნდა იყოს; Helbig, «Das homerische Epos aus den Denkmälern erläutert.
2. მე 7-ე გვერდის 2 შენიშვნაში სწერია: «Die Anfanqe der qriechischen Kunst», უნდა იყოს: „Die Anfänge der griechischen Kunst".
3. იმავე გვერდის 3 შენიშვნაში სწერია: Poulsen, „Die Dipylonqraber....."; უნდა იყოს: ....Die Dipylongräber...."
4. მე 8-ე გვ. 3 შენიშვნაში სწერია „Die Antiken gemmen", უნდა იყოს: „Die Antiken Gemmen".
   მე-10 გვ 1 შენიშვნაში სწერია „Schliemanns Ausqrabunqen . . 1820 წ. უნდა იყოს: „Schliemanns Ausgrabungen. . . 1890 წ.
6. მე-15-ე გვ. 1 შენიშვნაში სწერია: 3) Laqranqe: „La Crete" ancienne";.... უნდა იყოს: Lagrange....
   იქვე: 4) Noack, Ovalhaus und Palast zu kreta; უნდა იყოს: Noack, Ovalhaus und Palast zu Kreta".
8. მე 17-ე გვ. 1 შენიშვნაში სწერია; μέσῳ ἐνὶ οἴνοπι ποντῳ καλῇ καὶ πείρα περιρρυτοσ'ἐν δ'ἄνθρωποι" უნდა იყოს: „. . . ἔστι μεσῳ ἐνὶ οἴνοπι πόντῳ καλῇ καὶ πείρα, περίρρυτοσ ἐν δ'ἄνθρωποι πολλοί...."
9. მე-27-ე გვ. 1 შენიშვნაში სწერია: . . . (Mitſh. .) უნდა იყოს: (Mitth. . . .)
10 მე-66 ე გვ. 1 შენიშვნაში სწერია; Ed. Meyer; Der Diskus fon Phestos . . . aüf kreta" უნდა იყოს; Ed Meyer, Der Diskus von Phestos. . . auf Kreta".
11. მე-78-ე გვ. 1 გვ. შენიშვნაში სწერია: „Trojanische Alfertümer", უნდა იყოს: „Trojanische Alterthümer".
12. მე-86-ე გვ. 1 შენიშვნაში სწერია: Milhhöfer, „Die Antanqe der Kunst in qriechenland". უნდა იყოს: Die Anfänge der Kunst in Griechenland.
13. მე-88-ე გვ. შენიშვნაში სწერია: „Mykenische Uasen", უნდა იყოს: Mykenische Vasen".
14. მე-92-ე გვ, 2 შენიშვნაში სწერია: „Ueber homerischen Waffen", უნდა იყოს: „Ueber homerische Waffen".
15. მე-114-ე გვ. 1 შენიშვნაში სწერია: (сбор. . . в часть проф Плаонова), უნდა იყოს: (сбор. . в честь проф. Платонова).
16. მე-72 ე გვ. 4 შენიშვნაში სწერია: (Zeitschr geselchaft); უნდა იყოს: (Zeitschr. . . . . Geselschaft).
17. მე-134-ე გვ. 1 შენიშვნაში სწერია: „Histoire ancienoe. უნდა იყოს: „Histoire ancienne"

ტექსტებშიც მრავალად არის კორექტურული შეცდომები, დამატები ი ვასწორებთ მხოლოდ შემდეგს:

1) მე-28-ე გვერდის 9 სტრიქონზე ქვევიდან სწერია: (Seaqer), უნდა იყოს: (Seager).
2) მე-102 ე გვ. 7 სტრიქ. ზევიდან სწერია: terminus ante gue non. terminus post gue non; უნდა იყოს: terminus ante que non terminus post que non.
3) მე-131-ე გვ. 11 სტრ. ქვევიდან სწერია: ἀςγυρος, უნდა იყოს: ἄργυρος.

ალ. წ ე რ ე თ ე ლ ი.

ევროპის
პირველი ცივილიზაცია.

კრეტის-მიკენის ანუ ეგეოსის კულტურა.

ს უ რ ა თ ე ბ ი თ.

ტფილისი. 1923 წ.

ბ. უ. ს. პოლგანუ. მე-3 სტამბა, № 1018 მთავსამლიტგამ. № 297 ტირ. 600.

წინასიტყვაობა.

უკანასკნელ დროს ისტორიის მკვლევართა შორის დიდ ყურადღებას იპყრობს ის ახალი კულტურა, რომელიც XIX საუკუნის დასასრულის და XX-ის დასაწყისის დიდ არქეოლოგიურ აღმოჩენათა მეოსებით კრეტის-მიკენის, თუ ეგეოსის კულტურის სახით მოეფინა კაცობრიობას.

ჩვენ შრომას მიზნად აქვს დასახული, ერთის მხრივ აღნიშნოს მოკლე ისტორია ამ აღმოჩენათა, რომელთაც მთელი ეპოქა შეჰქმნეს ისტორიის მეცნიერებაში, ხოლო მეორეს მხრივ გაარკვიოს და დაახასიათოს ხსენებული კულტურის გაერცელების მთავარი ადგილები, მისი ძეგლების მნიშვნელობა და ღირსება, მისი საერთო სურათი და ძველი აღმოსავლეთის კულტურულ ქვეყნებთან დამოკიდებულება.

ასეთი მიზნის შესრულება თავისთავად ადვილი არაა მით უმეტეს მაშინ, როდესაც ამა თუ იმ საგნის შესახებ მსჯელობა უმთავრესად ნივთიერი ძეგლებისა და შედარებით ფოლკლორის მიხედვით სწარმოებს და როდესაც შესას წავლი კულტურის დამწერლობა ჯერ კიდევ ამოკითხული და გარკვეული არ არის. გარდა ამისა ავტორს ეგეოსის კულტურის შესწავლა სხვა და სხვა პირობებში უხდებოდა: პირველად 1914—1915 წლებში ხარკოვის უნივერსიტეტში, სადაც ცნობილი მეცნიერის, პროფ. ვლ. ბუზესკულის ხელმძღვანელობით იგი გაეცნო ამ კულტურაზე სხვა და სხვა შრომას და მის შესახებ განსაკუთრებული მოხსენებაც წაიკითხა. ამის შემდეგ სხვა და სხვა მიზეზის გამო ავტორი იძულებული იყო თავი დაენებებია აღებული საკითხის გარკვევის გაფართოებისათვის. მხოლოდ წარსული წლიდან შესძლო მან შეეკრა და შეესწორებია პირველი ნაშრომი იმ ახალი გამოკვლევათა მიხედვით, რომელთა მოპოვებაც ჩვენში შეიძლებოდა. ასეთი მუშაობის ნაყოფია ეს შრომა და ამიტომ ავტორი კარგად გრძნობს, რომ ამ გამოკვლევას აქვს თვისი ნაკლი და სუსტი მხარეები.

ვერც გამოცემის მხრივ აკმაყოფილებს ავტორს ეს შრომა, მაგრამ მისთვის დღეს უკეთესის მიხწევა შეუძლებელი იყო.

სხვათა შორის, ავტორს შეგნებულად არ აღუნიშნავს ის, თუ ვის ეკუთვნის ამ წიგნში მოთავსებული თითოეული სურათი, რადგან ეს უფრო გაართულებდა შრომის დაბეჭდვას.

დასასრულ ავტორი თავის მოვალეობად სთვლის გულითადი მადლობა მოახსენოს **პროფ. გრიგოლ ფილიმონის ძეს** და **სოფიო ივანეს ასულს წერეთლებს**, რომელთაც მას დახმარება აღმოუჩინეს მასალის შერჩევაში, **ქართველ მრეწველთ-მოღვაწეთ ივანე** და **იხიდორე სოფრომიძეთ ვარაზაშვილებს**, რომელთაც დღევანდელ პირობებში საშუალება მისცეს ამ შრომის გამოცემისა, და **ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპედაგოგიო ფაკულტეტის საბჭოს**, რომელმაც თვისი დადგენილებით ამ შრომის დაბეჭდვის შესახებ დიდად გაუადვილა მისი გამოცემის ნებართვის მიღება.

ავტორი.

ტფილისი.
მაისი 1923 წ.

თ ა ვ ი 1.

ეგეოსის კულტურის ძეგლეგის აღმოჩენა.

შესავალი; შლიმანის ბიოგრაფია და მისი მუშაობა ჰისარლიკზე, მიკენში და ტირინთში; აღმოჩენანი კრეტაზე.

წარსული საუკუნის მესამოცე წლებამდი საბერძნეთის კულტურის განხილვას თითქმის ყველა მკვლევარი ჰომიროსიდან იწყებდა. საზოგადოთ ძველი საბერძნეთის ისტორიული პერიოდის დასაწყისად დორიელთა პელოპონესზე გადასახლება ითვლებოდა, რომელიც დაახლოვებით ქრ. წ. 1100 წ. უნდა მომხდარიყო. მხოლოდ ჰომიროსის უკვდავი პოემები გვისურათებენ ამაზე უფრო ძველი უცნობი ქვეყნის კულტურის სხვა და სხვა მხარეს, მაგრამ ყოველივე ამას წინედ პოეტურ ფანტაზიად და ოცნებად სთვლიდენ. მთავარი გადმოცემათა მიხედვით [1]), მცირე აზიაში, ჰელესპონტის მახლობლად, არსებობდა ძველად ქალაქი ტროადა, სადაც ოდესღაც მოხუცი პრიამოსი მეფობდა. ერთხელ მისი ვაჟი პარისი სტუმრად ეწვია სპარტის მეფეს მენელაოსს. სტუმარმა დაარღვია რიგიანობის ყოველგვარი წესი და მასპინძელს მოსტაცა ცოლი—მშვენიერი ელენე. შეურაცხყოფილმა ბერძნებმა, ანუ აქეველებმა, როგორც მათ ჰომიროსი ეძახის, ომი გამოუცხადეს შეურაცხმ ყოფელის სამეფოს—ტროადას. საბერძნეთის ლაშქრობას მეთაურობდა მენელაოსის ძმა, აგაგემნონი, მიკენის მეფე. ომი გაგრძელდა 10 წელს. აქეველებმა ალყა შემოარტყეს ტროადას. ორივე მხრიდან, პაექრობის დროს, დაიღუპა რამდენიმე გმირი, მათ შორის პრიამოსის ძე ჰექტორი, რომელიც აქილევსმა განგმირა. ბოლოს აქეველებმა ტროადა მოტყუებით აიღეს და ცეცხლს მისცეს იგი. ასეთია ჩონჩხი იმ გადმოცემათა, რომელნიც საფუძვლად დაედევენ ჰომიროსის „ილიადას“ და „ოდისეას“. მათში ტროადა დასურათებულია, როგორც ძლიერი ქალაქი, თავისებური ციხე კოშკებით და ალაყაფის კარებით, დიდათ გამაგრებული; ხოლო აგამემ-

[1]) ქართულ ენაზე იხ. ბ. ალ. მიქაბერიძის „ტროადის ომი“.

ნონის სატახტო ქალაქი—მიკენი ოქროთი ავსებულათ არის მოხსენებული. გარდა ამისა ხსენებულ პოემებში ხშირად გვხვდება სხვა და სხვა სასახლის აღწერილობა, მეომართა ზნე-ჩვეულება, მათი შეიარაღება, ბრძოლა და შეჯიბრება. [1])

და იბადებოდა კითხვა; ნუთუ ყოველივე ეს მხოლოდ პოეტის ოცნებაში, მის შემოქმედებაში ისახებოდა? ნუთუ პოეტის ინტუიციას ამ შემთხვევაში არ ასაზრდოებდა სინამდვილეში რაღაც მზგავსი მოვლენის არსებობა? მართალია, ჰომიროსის პოეტურ ქმნილებათ საფუძვლად დაედევა სხვა და სხვა თქმულება და გადმოცემა, რომელთაც რაპსოდები მღერით წარმოსთქვამდენ, ხოლო ამ გადმოცემათა პირველ წყაროდ ხომ უნდა ყოფილიყო რაიმე შორეული, შეიძლება დროთა-ვითარებაში სხვა და სხვა თაობისაგან შეცვლილი და თავისებურად გადაკეთებული, მაგრამ მაინც რეალური მოვლენა! ეს კითხვები ძალაუნებურად წაგზიკრებოდენ მკვლევართა წინაშე, მაგრამ მათზე პასუხის გაცემა შეუძლებელი იყო, რადგან ამ ხნის დამახასიათებელი არც ერთი ძეგლი იმ დროს მეცნიერებას არ მოეპოვებოდა.

მე-19-ე საუკუნის პირველ ნახევარში საბერძნეთის კულტურის უუძველეს ნაშთად მიაჩნდათ ის ვაზები, რომელთაც „აღმოსავლეთის სტილის“ ვაზებს ეძახდენ და რომელნიც დღეს „კორინთის ვაზებად“ არიან ცნობილი. მაშინ ფიქრობდენ, რომ საბერძნეთის ხელოვნების ნამდვილი არსებობა მე-7-ე საუკუნიდან დაიწყო, ხოლო თუ საბერძნეთის ნიადაგზე ამაზე წინ სხვა რამ არსებობდა, ის ალბათ აღმოსავლეთის ხელოვნების გავლენის ქვეშ შეიქმნებოდაო.

ეს აზრი უპირველესად ყოვლისა დაარღვია მკვლევარის კონცეს აღმოჩენებმა. 1862 წელს კონცემ გამოსცა მთელი სერია ნახატებიანი ჭურჭლებისა, [2]) რომლებიც მან კუნძულ მელოსზე აღმოაჩინა. დღეს მათ „მელოსის ვაზებს“ უწოდებენ. აღმოჩენილ ჭურჭლების ორნამენტაციის შესწავლის დროს გამოირკვა, რომ მათ დეკორაციაში გარდა წმინდა აღმოსავლური მოტივებისა, რომელთა დამახასიათებლად უმთავრესად მცენარეები და რეალ და ფანტასტიურ ცხოველთა ფიგურები ითვლება, აღმოჩნდა ახალი ელემენტი—გეომეტრიული. აქედან წარმოიშვა მოსაზრება, რომ ძველადვე არსებობდა კიდევ სხვა წყარო დე-

---

[1]) იხ. Helbiq, „Homerisehes Epos aus den Denkmälernerläutert“ ლაიპც. 1887 წ.

[2]) იხ. მისი „Melische Thongefässe“

კორაციისა, რომელიც უმთავრესად გეომეტრიულ ფორმებს მიმართავდა. [1]) და მართლაც მალე აღმოაჩინეს ისეთი ვაზები, რომელნიც მხოლოდ გეომეტრიული სტილით იყვენ შემკული. მათი ფორმა, ტეხნიკა და სტილი ცხადად ამტკიცებს, რომ გეომეტრიული სტილის ვაზები უფრო ძველ დროს ეკუთვნის, ვიდრე მელოსის ვაზები, რომელთა დეკორაციაში უმთავრესი ადგილი აღმოსავლურ მოტივებს უკავია, ხოლო გეომეტრიული მოტივები მათთვის უფრო მეორე ხარისხოვან მოვლენად ჩაითვლება. ჩვენ მიერ უკვე ხსენებულმა მკვლევარმა კონცემ თვის შრომაში საბერძნეთის ხელოვნების დასაწყისზე ხაზი გაუსვა ამ გარემოებას და მასში მოათავსა მთელი რიგი გეომეტრიული სტილის ჭურჭლებისა. [2]) ამავე დროს ათინაში აღმოაჩინეს გეომეტრიული სტილის დიდი ჭურჭლები, რომელთაც ჩვენ „დიპილას სტილის“ ვაზებად ვიცნობთ. [3])

აღსანიშნავია, რომ მე-19 საუკუნის მე-70 წლებში ფრანგმა გეოლოგოსმა ფუკემ კუნძულ თერაზე (დღ. სანტორინზე) აღმოაჩინა უძველეს შენობათა ნანგრევები რომელთა შორის იპოვა დასურათებული კედლები, ნახატებიანი თიხის ვაზები, და ბრინჯაოს ჭურჭელი. ეს შენობები, ალბად, ვულკანის აღმოხეთქისაგან იყვენ მიწა-მიყრილი ჯერ კიდევ პრაისტორიულ ხანაში. აგრეთვე ინგლისელმა ელჩმა ბილიოტიმ კუნ. როდოსზე (იალისზე) ამოთხარა უუძველესი დროის საფლავები, [4]) რომელშიაც აღმოჩნდა საუცხოო სტილის მშვენიერათ დასურათებული ვაზები. მაგრამ ამ აღმოჩენათ არ ჰქონდათ ისეთი მნიშვნელობა, რომ შესძლებოდათ რაიმე გარკვეული წარმოდგენა შეექმნათ საბერძნეთის გმირული ეპოქის შესახებ. ესენი, ასე ვსქვათ, შეიძლება პირველი მერცხალი იყვენ იმ დიდი აღმოჩენებისა, რომელნიც უმთავრესად შლიმანის სახელთან არიან დაკავშირებული და რომელთაც მთელი ეპოქა შექმნეს ისტორიულ მეცნიერებაში. ამ აღმოჩენათა მე-

---

[1]) ქვევით გამორკვეული იქნება, რომ გეომეტრიის სტილი ძველ „ელადაში“ დორიელებმა შემოიტანეს და გაავრცელეს.

[2]) იხ. მისი „Die Anfänge der griechischen Kunst“ ლაიპციგი 1906.

[3]) ასე იმიტომ ეძახიან, რომ ისინი აღმოჩენილ იქნენ საფლავებში ათინის საქალაქო კედლის ორწყება ჭიშკრის—დიპილას—მახლობად. მათ შესახებ იხ. Poulsen „Die Dipylongräber und die Dipylonvasen“ 1905 წ.

[4]) მე-19-ე საუკუნის არქეოლოგიურ აღმოჩენათა შესახებ საზოგადოდ იხ. მიხაელისის (Michaëlis) „Die archäologischen Entdeckungen des XIX Jahrhunderts“ ლაიპგც. 1891 წ.

ოხებით კაცობრიობის წინაშე წარსდგა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მიწის ქვეშ დაძინებული, და მოულოდნელად აღმართული თავისებურად დიადი და საგულისხმიერო ცივილიზაცია, რომელსაც დღეს ეგეოსის კულტურას ვეძახით. [1]) იგი იყო პირველი დიდი კულტურა ევროპაში; სუბსტრატი საბერძნეთის კულტურისა, მაშასადამე თვით ევროპის კულტურისაც; ეგეოსის კულტურის ხელოვნება იყო ძველი ქალარა დროის პირველი ხელოვნება, რომელსაც დიდი ღირებულება და გავრცელება ჰქონდა იმ დროს ცნობილ ქვეყნებში. [2]) ამ ხელოვნების შემდგომ განვითარებათ უნდა ჩავსთვალოთ იონიელთა ხელოვნება. ამ ორ ხელოვნების შორის დამოკიდებულებას იმ მდინარეს ადარებენ, რომელიც თვის მიმდინარეობაში განსაზღვრული მანძილის შემდეგ ქვიშაში იმალება, ხოლო მალე კვლავ ამოყოფს თავს და ჩვენ ვხედავთ, რომ ის იგივე ნაკადულია, რომელიც ამაზე წინ ქვიშაში დაიმალა. [3]) ამ კულტურის აღმოჩენის მთავარი დამსახურება სავსებით ჰენრიხ შლიმანს ეკუთვნის, ამიტომ უპირველესად ყოვლისა საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ მაინც გავეცნოთ მის მრავალმხრივ საყურადღებო და დამაფიქრებელ ბიოგრაფიას.

შლიმანი იყო შვილი პროტესტანთა ნივთიერად ხელმოკლე მოძღვრისა, დაიბადა იგი 1822 წელს მეკლენბურგ-შვერინში (ჩრდილოეთ გერმანიაში [4]). იმ დაბაში, სადაც შლიმანი ცხოვრობდა, სხვათა შორის არსებობდა ერთი ძველი ციხე-კოშკი მაგარი კედლებით და საიდუმლო შესასვლელებით. მისი პატრონის შეხახებ ხალხში მრავალი ზღაპრული თქმულება ტრიალებდა; პატარა შლიმანის გულისყურს დიდათ იზიდავდა ეს თქმულება, განსაკუთრებით კოშკში ვითომ დაფლულ ძვირფას ნივთებზე. არა ერთი და ორი ღამე გაუტარებია ბავშვობაში შლიმანს ამ ნივთებზე ფიქრში. ბავშვის მამაც საბედნიეროთ

---

[1]) შლიმანის საქმეს განაგრძობდენ: გერმანელი მეცნიერი დერპფელდი, ინგლისელი—არტურ ევანსი, ცუნდა, სტაისი და სოტირიადისი (ბერძნები), ფურტვენგლერი და ბულე (გერმანელნი), ჰოჰარტი, და დაუკინზი (ინგლისელნი), ჰალბგერი, საეინიონი და პერნიო (იტალიელნი) და მისს ბოიდი (ამერიკელი ქალი) და სხვ.

[2]) ზიბელი, „Weltgeschichte der Kunst im Altertum“ ბერლ. 1903 წ. გვ. 66.

[3]) ფურტვენგლერი, „Die Antiken gemmen“. ბერლ. 1900 III, 14.

[4]) შლიმანის ბიოგრაფიის შესახებ იხ. პროფ. ვ. ბუზესკულის „Введение в историю Греции“ ხარ. 1910 წ. და თვით შლიმანის „Ilios“, ლაიპ. 1881 წ., რომლის დასაწყისში მას მოყვანილი აქვს თავისი მოკლე ავტობიოგრაფია.

დიდი მოყვარული იყო ძველი ისტორიისა და ხშირად უამბობდა მას სხვა და სხვა შემთხვევებს საბერძნეთის ცხოვრებიდან. ერთხელ საშობაოთ მამამ პატარა ჰენრიხს მსოფლიო ისტორიის დასურათებული წიგნი აჩუქა. ჰენრიხი ხანგრძლივად და ხშირად ათვალიერებდა წიგნში მოთავსებულ სურათებს და მის განსაკუთრებულ ყურადღებას იზიდავდა ცეცხლმოკიდებული ტროადა. ნუ თუ ყველაფერი ეს უკვალოდ დაიღუპა, ფიქრობდა იგი, ნუთუ დედა ჩიწის გულში მაინც არ არის შენახული მისი ნაშთები, როგორც მეზობელ კოშკის ნანგრევთა შორის ჩამარხული ძვირფასი ნივთებიო. და ამ ხანშივე გადასწყვიტა ჰენრიხმა, დავაკაცებისას მთელი სიცოცხლე ძველი ტროადის აღმოჩენისათვის შეეწირა. ბავშობა შლიმანს ვერ ჰქონდა ბედნიერი; 9 წლის იქნებოდა, როდესაც დედა გარდაეცვალა და ამგვარად ექვს დაძმასთან ერთად სამუდამოდ მოაკლდა ღრმად მოყვარული მშობლის ნაზი ალერსი და მზრუნველობა. 11 წლის ჰენრიხი გიმნაზიაში მიბარეს, მაგრამ ოჯახური მდგომარეობის გამო იგი მალე რეალურ სასწავლებელში გადაიყვანეს. სამწუხაროდ ქონებრივი სივიწროეს გამო მამამ ვერც აქ შესძლო შვილის განათლების გაგრძელება და 14 წლის შლიმანს უკვე დამოუკიდებლად უნდა ეზრუნა საარსებო ლუკმა-პურის მოპოვებაზე. იგი მოსამსახურედ დაუდგა ერთ სავაჭროს პატრონს. დილის 5 საათიდან საღამოს 11-დი დაუსვენებლად მუშაობდა ჰენრიხი და ერთი თავისუფალი წუთიც არ ჰქონდა, რომ თვის განვითარებაზე ეზრუნა. მიუხედავად ამისა მასში ძლიერად სცემდა ცოდნის გაფართოების და ბავშობიდან თანდაყოლილი ცნობის მოყვარეობის შადრევანი. მძიმე შრომის ზედგაელენით შლიმანი დაავადმყოფდა და მალე სამსახურიც დაჰკარგა. ამის შემდეგ ჰენრიხს ამსტერდამში ეხედავთ, სადაც იგი მშიერ-მწყურვალი დაეხეტებოდა. აქ მას სიმშილით სიკვდილისგან იხსნის ერთ კეთილი ნაცნობი, რომელმაც ცოტაოდენი ფული შეუგროვა და სარეკომენდაციო ბარათებიც გამოუგზავნა რომელიმე სავაჭრო ფირმაში ადგილის საშოვნელად. მართლაც, მისი შემწეობით შლიმანმა ერთი სავაჭრო კანტორაში შიკრიკის ადგილი მიიღო. ამ შემთხვევაში უფრო მეტი თავისუფალი დრო რჩებოდა და ხარბად დაეწაფა თავისი განვითარების გაფართოებას. დიდი მეცადინეობის შემდეგ ჰენრიხმა შეისწავლა ინგლისური, ფრანგული, ჰოლანდური, ესპანური და პორტუგალური ენები. ენების ცოდნამ კი მას საშუალება მისცა ეშოვა კარგი გასამრჯელოთი კორესპონდენტის და მოლარის ად-

გილი. ცოტა ხნის შემდეგ მან შეისწავლა აგრეთვე რუსული ენაც. ამსტერდამიდან შლიმანი პეტროგრადში გადმოსახლდა და აქ განაგრძობდა სამსახურს, როგორც საგაჭრო სახლის აგენტი; შემდეგ კი თვით დაიწყო ვაჭრობა. ამ მხრივ ბედმა გაუღიმა მას, მისი საქმეები კარგად წავიდა და მილიონერი გახდა. მაგრამ შეძენილი ქონება მას არა პირადი კეთილდღეობისა და ფუფუნებისათვის სურდა, არამედ სიყრმიდან აკვიატებული აზრის-ტროადის აღმოჩენის სისრულეში მოსაყვანად. მართლაც მან თავი დაანება ვაჭრობას და შეუდგა დასახული მიზნის განხორციელებას. არქეოლოგიის შესწავლის შემდეგ მან 1866 წ. დაიწყო მოგზაურობა საბერძნეთში, ინახულა იტაკა, სადაც ჰომიროსის სიტყვით, ოდისე ცხოვრობდა, პელოპონეზი, ათენა და ბოლოს მცირე აზიაში გაემგზავრა ტროადის ადგილმდებარეობის გამოსარკვევად. ამ შემთხვევაში უპირველესად ყოვლისა უნდა გადაეწყვიტა შემდეგი კითხვა: სად უნდა ეწარმოებია მუშაობა ტროადის აღმოსაჩენად; ძველად ამ საგნის თაობაზე სხვა და სხვა აზრი არსებობდა: [1]) ერთის მიხედვით—ტროადა უნდა ყოფილიყო ჰისარლიკზე, სადაც შემდეგ ახალი ილიონი არსებობდა, მეორეს მიხედვით—ტროადა ახალი ილიონიდან აღმოსავლეთით 30 სტადიის [2]) დაშორებით, ეხლანდელ სოფ. აკჩიკეისთან, უნდა მოეძებნათ. აზრთა ასეთი სხვა-და-სხვაობა იყო გამეფებული ახალ საუკუნეებშიაც. საკითხის ყოველ მხრივ შესწავლის შემდეგ შლიმანი დარწმუნდა, რომ ყველაზე მართებული იყო ტროადის აღმოსაჩენად ჰისარლიკზე დაეწყო არქეოლოგიური მუშაობა. თუმცა სხვაგანაც სცადა, მაგრამ ვერავითარ შედეგს ვერ მიახწია. მაშინ 1871 წელს მან მუშაობა საესებით გადაიტანა მთაგრეხილ ჰისარლიკზე (ჰისარლიკი ანუ ასარლიკი=„ნანგრევთა ადგილი"). ეს მთაგრეხილი იმყოფება მცირე-აზიის ჩრდილოეთ-დასავლეთ კუთხეში, ჰელესპონტის მახლობლად. ეს ის ადგილია, სადაც არსებობდა ახალი ილიონი, ხოლო მასზე წინ ტროადა. მისი ადგილმდებარეობა საესებით ეთანხმება ჰომიროსის აღწერილობას. ჰისარლიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით აზიდულია თოვლით დაფარული მშვენიერი მთა იდა, რომლის მწვერვალზე იჯდა გადმოცემით ძევსი და თვალყურს ადევნებდა ტროადის და დანაელთა გემებს; აქედან იგი ელვა-

---

[1]) შლიმანის მუშაობის შესახებ იხ. Schuchardt, „Schliemanns Ausgrabungen in Troja, Tiryns, Mykenä, Orchomenos, Jthaca". ლაიპ. 1820 წ.

[2]) სტადია=84 საჟენს.

ქუხილს უგზავნიდა აქეელთა ლაშქარს [1]); ჰისარლიკის დასავლეთით გადაშლილია მდინარე საკამანდრის (ეხლანდელი მენდერეს) ველი, ხოლო ჩრდილოეთით სიმოისის (ეხლანდელი დუმბრეკის) ჭალა; მოშორებით მოსჩანს ჰელესპონტი და ზღვა, კუნძულები ტენედოსი, იმბროსი და სამოთრაკიის მწვერვალი, საიდანაც „მიწის—შემძვრელი" ჰოსეიდონი უცქერიდა ბერძენ-ტროადელთა სისხლიან ბრძოლას და საიდანაც საუცხოოთ მოსჩანდა მაღალი იდა, პრიამოსის ტროადა და აქეელთა გემების სადგომი [2]). ჰისარლიკზე მუშაობაში შლიმანს დიდათ



სურათი № 1—„დიდი განძი"

ეხმარებოდა მისი მეორე ცოლი, ტომით ბერძენი, სოფიო, რომელიც მეუღლეზე არა ნაკლებ იყო გატაცებული ჰომიროსის ტროადის აღმოჩენის იდეით. ბევრ გაჭირვებას და შევიწროებას ურიგდებოდენ ცოლ-

[1]) იხ. „ილიადა" VIII/52, შემ.

[2]) „ილიადა" XIII 10. შემ.

ქმარი, ოლონდ კი თვისი საყვარელი საქმე დაემთავრებიათ. 1873 წელს მუშებმა აღმოაჩინეს ოქროს ნივთი; გახარებული შლიმანი მიხვდა, რომ ამ ნივთს ბევრი რამ უნდა მოყოლოდა თან და ყოველგვარი შემთხვევის თავიდან ასაცილებლად ყველზე აღრე მისცა ზარი მუშების სასაუზმოდ დასასვენებლად; თვითონ კი განაგრძობდა მუშაობას. მან მართლაც აღმოაჩინა ეგრედ-წოდებული „დიდი განძი“ [1]), იგი შესდგებოდა ვერცხლის ნივთებისაგან და სპილენძის, ვერცხლის და ოქროს სხვა და სხვა ჭურჭლებისაგან; მათგან ორ ჭურჭელში აღმოჩნდა ორი ძვირფასი დიადემა, ძვირფასი თავსაკრავი, მრავალი ოქროს წვრილი ნივთი (8700), საყურეები, სამაჯურები, ორი ძვირფასი თასი და სხვ. გარდა ამისა „განძში“ იყო ბრინჯაოს იარაღი. მთავარი ის არის, რომ აქ შლიმანმა აღმოაჩინა ნაშთები რამდენიმე მოსახლეობისა — ქალა ქებისა, რომელნიც თანმიმდევრობით გაჩენილან ერთი მეორეს ადგილას. ქვეეიდან დაწყებული პირველი და მეორე ქალაქი თვისი ნაშთებით უძველეს ხანას, ქრ. წინ მესამე ათასეულ წელს, ეკუთვნიან. მეორე ქალაქი, რომლის ნანგრევებშიაც შლიმანმა „დიდი განძი“ აღმოაჩინა და რომელიც, როგორც სჩანს, ცეცხლისაგან დაიღუპა, შლიმანმა ჩასთვალა ჰომიროსის ტროადათ, მაგრამ შესცდა [2]). მისი სიკვდილის შემდეგ მისმა თანამშრომელმა დერპფელდმა იმავე ჰისარლიკზე აღმოაჩინა ნაშთები ეგრეთ წოდებული მეექვსე ქალაქისა, რომელიც უფრო თამამად შეიძლება ჩაითვალოს ტროადათ; პირველ და მეორე ქალაქის ფენების შორის კი შლიმანმა უფრო ძველი კულტურა აღმოაჩინა, რომელსაც დღეს **ტროადის კულტურას** უწოდებენ.

უფრო საყურადღებო იყო შლიმანის აღმოჩენანი მიკენში. ეს ქალაქი იმყოფებოდა პელოპონესზე, ზღვის ნაპირიდან 15 ვერსტის მანძილზე, გზაზე კორინთისა და კორინთის ყურესაკენ. მის შესახებ მრავალი გადმოცემა არსებობს. გადმოცემათა მიხედვით მიკენი დაარსებულია პერსეოსის მიერ; აშენებდენ მას ციკლოპები—საოცარი სიმაღლის არსებანი შუბლზე ერთი თვალით. ეს ქალაქი ჰერაკლეს და ჰერკულესის მშობ-

---

[1]) მასზე და სხვა აღმოჩენებზე ქვემოდ გვექნება ლაპარაკი

[2]) ყოველ შემთხვევაში მას უფლება ჰქონდა გაემეორებია შილლერის „ყარიბის“ სიტყვები: „Und die Sonne Homers,—siehe, sie lächelt auch uns“! („შეხედეთ, ჰომიროსის მზე ჩვენც გვიღიმისო“), მაგრამ იმ განსხვავებით, რომ პირველს მხატვრული შემოქმედება ჰქონდა მხედველობაში, ხოლო მეორეს შეეძლო წარმოედგინა ჰომიროსის ეპოსის ეგმირული ქვეყნების მკვდრეთით აღდგენილი ბრწყინვალება.

ლების სამშობლოა. მის მეფეთა შორის ნახსენები არიან: ევრისთე, რომლის სამსახურში ყოფნის დროს ჰერკულესმა შეასრულა თვისი 12 გმირობა, და ტროადის ომში ბერძნების მეთაური—აგამემნონი. ბერძენთა პოეტების აღწერით მიკენი ითვლება დიდ დრამათა ადგილად: აგამემნონის ლაშქრობაში გამგზავრების შემდეგ მას ღალატობს ცოლი კლიტემნესტრე. როდესაც იგი ტროადის ომში გამარჯვებული და გახარებული სახლში ბრუნდება, კლიტემნესტრე და მისი საყვარელი ეგისტე მოტყუებით ჰკლავენ აგამემნონსაც და მის თანამგზავრებსაც. საბერძნეთის ტრაგიკოსებს (მაგ ესქილეს) საუცხოოდ აქვსთ აწერილი ის მწუხარება, რომელსაც მამის ასე მტარვალურად მოკვლის გამო განიცდის აგამემნონის ქალი ელექტრე და როგორი ცხარე შურის ძიებით არის იგი ადევნებული. უცხოეთში გაზდილი აგამემნონის ვაჟი ორესტი ბრუნდება შინ. იგი სასტიკად იძიებს შურს: ჰკლავს ეგისტეს და თვის ბოროტ დედას. ხოლო ევრიპიდეს „ითიგენიის“ მიხედვით, ვითომდა „ელლადას“ სახელისათვის, აგამემნონი თვის უფროს ქალს ითიგენიასაც კი წინასწარ ომში გამგზავრებამდე, მსხვერპლად სწირავს. აქაც ტრაგიკოსი გადაგვიშლის უდიდეს სულიერ ღელვას. რომელსაც ამ აქტის წინაშე განიცდის თვით აგამემნონი და მისი ქალი ითიგენია [1]). საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ ძველ ბერძენთა გადმოცემაში მიკენი ცნობილია, როგორც სეხელოვანი, მდიდარი და ძლიერი ქალაქი, ჰომიროსი მას „ოქროთი აღვსილს“ ეძახის. შლიმანის აღმოჩენებმა ძველი მიკენის ადგილას სავსებით გაამართლეს გადმოცემაში შენახული ცნობები. დამტკიცდა, რომ მიკენი მართლაც ძლიერი და მდიდარი სამეფოს ცენტრი, ძლევამოსილ ბრძანებელთა სატახტო ქალაქი ყოფილა; ძველადვე ცნობილი იყო მიკენის ნანგრევები, ნაშთები უდიდესი ქვებისაგან აგებული კედლებისა ლომების ჭიშკრით და გუმბათის მსგავსი საფლავი, რომელსაც „მეფე ატრეოსის საუნჯის“ სახელით იცნობდენ. მიკენში შლიმანმა მუშაობა დაიწყო 1876 წ., მან შეისწავლა ადგილობრივი ისტორიული ძეგლები და ხსენებული „ატრეოსის საუნჯის“ გარდა აღმოაჩინა მისი მსგავსი რამდენიმე გუმბათოვანი საფლავი. მაგრამ, მთავარი ყურადღება შლიმანმა მიკენის აკროპოლისს—ციხეს მიაქცია. მას სურდა აღმოეჩინა აგამემნონისა და მისი თანამგზავრების საფლავები. მართლაც 1876 წლის აგვისტოს 17-ს ლომების ჭიშკრის მახლობლად,

[1]) ამ ტრაგედიათმ შესახებ იხ. პროფ. ზელინსკის: „Идея нравственнаго оправеания“. Из жизни идей. ტ. I.

აკროპოლისის შიგნით დაიწყო მან მუშაობა და აღმოაჩინა მანამდის სრულიად უცნობი ქვეყანა, უცნობი კულტურა. უპირველესად ყოველისა შლიმანმა იპოვა წრე, რომელიც შესდგებოდა ორი წყება ქვის ფილაქანისაგან, მის ქვემოდ კი ციკლოპიური აგების საკურთხეველი, შემდეგ ქვის რამდენიმე ფიქალი (სტელა) რომელთაგან ზოგიერთზე გამოხატულია ნადირობისა და ბრძოლის სცენები, და დასასრულ, სულ ქვევით 5 საფლავი; მათში აღმოჩნდა 17 გვამი, მათ შორის რამდენიმე ბავშისა და ქალისა. გვამები საესებით დაფარული იყო სხვა და სხვა სამკაულებითა და ძვირფასი ნივთებით. ისეთი შედეგი მოყვა შლიმანის მუშაობას ძველი მიკენის ადგილას, რომ საესებით გამართლდა ძველ ბერძენთა პოეტური თქმულებანი; უფრო მეტი, თვით ეს თქმულებანი მკრთალად გამოჩნდენ იმ ძეგლებთან შედარებით, რომელთაც მიწა ჰფარავდა და რომელნიც მზის სინათლეზე შლიმანმა გამოიტანა. სიხარულისაგან და მოულოდნელობისაგან აღელვებულ შლიმანს სწამდა, რომ მან საუკუნეთა განმავლობაში მიწაწყარილი, ტრაგიულად დაღუპული აგამემნონის და მის თანამგზავრთა გვამები აღმოაჩინა და მაშასადამე აამეტყველა უუძველესი მითი კაცობრიობისა. ჩვენ დიდი საბუთი და საფუძველი არა გვაქვს დავუჯეროთ შლიმანს და გავიზიაროთ მისი სიხარული აგამემნონისა და მის თანამგზავრთა საფლავის აღმოჩენის გამო, მაგრამ ცხადია, რომ მის მიერ ნაპოვნი გვამები—მეფეთა გვამები უნდა იყოს. საბერძნეთში არსებული კანონით შლიმანს უფლება არ ჰქონდა მის მიერ აღმოჩენილი ძვირფასი ნივთები საბერძნეთის საზღვრებიდან გაეტანა, ამიტომ ისინი გადასცა საბერძნეთის მთავრობას; ამჟამად ისინი ინახებიან ათინაში ეროვნულ მუზეუმში. ხოლო ტროადაში აღმოჩენილ საგნების უმრავლესი ნაწილი შლიმანმა შესწირა გერმანიას „განუყოფელ და სამარადისო მფლობელობისა და შენახვისათვის იმპერიის სატახტო ქალაქში.“

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე შლიმანის აღმოჩენათ ტირინთში. ეს ქალაქი იმყოფებოდა პელოპონეზის აღმოსავლეთ ნაწილში—არგოლიდაში, მიკენის მახლობლად. გადმოცემით ტირინთი უფრო ძველათ იყო დაარსებული, ვიდრე მიკენი. იგიც აგებული იყო ვითომც ციკლოპების მიერ და უკვე ძველადვე იწვევდა განცვიფრებას თვისი არაჩვეულებრივად სქელი და მაგარი კედლებით. 1884 წ. დერპფელდის თანამშრომლობით შლიმანმა დაიწყო მუშაობა და აღმოაჩინა უდიდესი სასახლის ნაშთები, რომელიც ჰომიროსის მიერ აღწერილ სასახლეებს

მოგვაგონებს. ამ სასახლის აგებულობამ ახალი გაშუქება მოჰფინა ტირინთის ციხეთა სისტემის გარკვევას, რომელზედაც ქვემოთ იქნება საუბარი.

—

ამგვარად შლიმანმა აღმოაჩინა უძველესი კულტურა, რომელსაც მიკენის სახელით **მიკენის კულტურა** უწოდეს. მაგრამ მეოცე საუკუნის დასაწყისში ინგლისელის ევანსისა და სხვა მეცნიერთა უდიდესმა აღმოჩენებმა დაგვიმტკიცეს, რომ **მიკენის კულტურა მხოლოდ ნაწილი, შემდეგი პერიოდია იმ კულტურისა**, რომელიც უფრო დიდ რაიონში და უფრო დიდ ხანს იყო გავრცელებული და რომლის მთავარ ცენტრათ ითვლებოდა არა მიკენი, არამედ **კრეტა**.

ამ კულტურას დღეს კრეტის-მიკენის ან ეგეოსის კულტურას უწოდებენ; „ეგეოსის“ იმიტომ, რომ იგი უმთავრესად ამ ზღვის ნაპირებზე და კუნძულებზე იყო გამეფებული. მაშასადამე შლიმანის აღმოჩენათ უპირველესად ყოვლისა მხოლოდ იმიტომ შეეხეთ, რომ იგინი უსწრებდენ ევანსისა და სხვათა აღმოჩენათ., თორემ მის მიერ მიწიდან ამოღებული კულტურა, როგორც უკვე იყო ნათქვამი, მხოლოდ შემდეგი პერიოდი, ნაწილია იმ კულტურისა, რომლის გავრცელების მთავარ ადგილად—კრეტა უნდა ჩაითვალოს. ამიტომაც უნდა გავეცნოთ იმ მუშაობას, რომელსაც ევანსი და სხვა მკვლევარნი კრეტაზე აწარმოებდენ, და შემდეგ საერთოდ დავახასიათოთ **კრეტის-მიკენის კულტურა**, რომლის აღმოჩენის პირველობასა და დამსახურებაში შლიმანს ვერვინ შეეცილება. მხოლოდ შლიმანისთანა დიდი ფანტაზიისა, მოთმინებისა და ხასიათის სიმტკიცის ადამიანს შეეძლო ასეთი ფასდაუდებელი ამაგი გაეწია მეცნიერებისათვის. დეე, აჩქარებულად, მოუფიქრებლად ჩაითვალოს შლიმანის მიერ გამოთქმული ბევრი მოსაზრება, მაგრამ მის მიერ დედამიწის ზედაპირზე ამოტანილი უძვირფასესი ნაშთები, რომელთა შესახებ იგი უკვე ბავშობის ხანაში ოცნებობდა, მარად მკვევრმეტყველურად ილაღადებენ მისი დიდი მოღვაწეობის შესახებ. რაკი შლიმანის მოღვაწეობას გავეცანით, საჭიროა გავითვალისწინოთ აგრედვე ევანსისა და სხვა მკვლევართა არქეოლოგიური მუშაობა კუნძულ კრეტაზე. [1])

---

[1]) იხ. 1) პროფ. ბუზესკული, „Древнейшая цивилизация в Европе“ ხარკ. 1918. 2) პროფ. ლიხტენბერგი, „Доисторическая Греция“ პეტ. 1914 წ. 3. Laqranqe „La Crête ancienne“ 1908 წ. 4) Noack, Ovalhaus und Palast zu kreta“ ლაიპ. 1908, 5) კაგაროვი, „Новейшия изследов. в области критско-микен. культуры„ (Гермес 1909. № 13.)

კუნძული კრეტა „არის ღვინისფერ ზღვის შუაგულზე, მშვენიერი, პოხიერი, ყოველი მხრით წყლით მოცული, ადამიანთაგან უხვიო“ ასე გვისურათებს კრეტას ჰომიროსი. [1]) მას საერთოდ განსაკუთრებული ადგილი უკავია საბერძნეთის მითოლოგიასა და გადმოცემაში. კრეტას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდენ აგრედვე ძველი მწერლებიც; ჯერ კიდევ საბერძნეთის ცნობილი ფილოსოფოსი და მეცნიერი არისტოტელი აღნიშნავდა [2]) იმ ძვირფას გეოგრაფიულ მდებარეობას, რომელიც კრეტას უკავია, „რომლის მიხედვითაც თითქოს ბუნებისაგან მას განკუთვნილი აქვს საბერძნეთზე ბატონობა:“ იგი სამხრეთით ჰკრავს არქიპელაგს, იმყოფება ხმელთა-შუა ზღვის აღმოსავლეთ ნახევრის შუაგულში, პელოპონეზისა, ეგვიპტისა და მცირე აზიის დაახლოებით და ძველად ერთი უმთავრესი შემაერთებელი ხიდი იყო აღმოსავლეთსა და ევროპის შუა, რადგან მდებარეობდა იმ გზებზე, რომელნიც ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებს საბერძნეთთან აკავშირებდნენ. ილიადა კრეტას „ას ქალაქოვანს“ ეძახის. კრეტაზე მთავარი დიდი ქალაქი იყო კნოსე [3]). იგი არსებობდა კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში, რომელიც ეგეოსის ზღვისაკენ არის მიმართული. გადმოცემის მიხედვით, იგი მეფე მინოსის სატახტო ქალაქი იყო. მინოსი ძევსის შვილია. ძევსმა მოიტაცა ფინიკიელის კადმოსის მშვენიერი ქალიშვილი ევროპა და მიიყვანა იგი კუნძულ კრეტაზე, სადაც მას შეეუღლა. მინოსს კრეტაზე ჰქონდა უცნაური შენობა—ლაბირინტი, რომელიც ვითომც დიდმა მხატვარმა დედალოსმა აააგო. ლაბირინტი—უზარმაზარი სასახლე იყო ურიცხვი ოთახებით და დაბნეული შესასვლელებით; ვინც შეეიდოდა, გამოსავალს ვეღარ ჰპოულობდა. მასში ცხოვრობდა უცნაური არსება—მინოტავრი, ნახევრად ხარი, ნახევრად ადამიანი (ადამიანის სხეულით და ხარის თავით); ამ მინოტავრთან დაკავშირებულია მითი თეზეოსსა და არიადნეს შესახებ. მინოსმა ათინელების დასასჯელად, რომელთაც მას შვილი მოუკლეს, დაადვა მათ მეტად მძიმე ხარკი: ყოველ ცხრა წელს ათინელებს კრეტაზე უნდა გაეგზავნათ შვიდ-შვიდი ვაჟი და ქალწული, რომელთაც ამწყვდევდენ ლაბირინტში, სადაც მათ სანსლავდა მინოტავრი.

---

[1]) „μέσῳ ἐνι οἴνοπι πόντῳ, καλῇ καὶ πίειρα περίρρυτος ἐν δ'ἄνθρωποι“ (ოდ. XIX. 172 შემ.)

[2]) იხ. მისი „პოლიტიკა“ 2. 7. გვ. 80. თარგმანი ჟებელევისა.

[3]) „არის იქ კნოსე, დიდი ქალაქი, მეფობს იქ მინოსი, დიდი ძევსის შვილი „(τῆσι δ'ἐνὶ Κνωσσος, μεγάλη πόλις, ἔνθα τε Μίνως ἐννέωρος βασιλευε Διός μεγ άλου ὁαριστής“ („ოდისეა“ XIX. 175 შემ.)

ათინის მეფის, ეგეოსის, შვილმა თეზეოსმა განაცხადა სურვილი სამსხვერპლოდ გამზადებულ ქალ-ვაჟებთან ერთად გამგზავრებულიყო კრეტაზე. თვისი სურვილი და განზრახვა მართლაც შეასრულა. კრეტაზე თეზეოსს შეიყვარებს მინოტავრის ქალიშვილი არიადნე. მან გადასცა თეზეოს ხმალი და ძაფის გრეხილი. თეზეოსმა ლაბირინტში შესვლისას ძაფის თავი დაამაგრა და შემდეგ თან და თან ხსნიდა გრეხილს. ამ „არიადნეს ძაფის“ მეოხებით მან მოახერხა მინოტავრის მოკვლა და უვნებლად გამოვიდა ლაბირინტიდან. მაგრამ რაკი შეცდომით იმ გემზე, რომელზედაც თეზეოსი უნდა დაბრუნებულიყო, კიდევ შავი დროშა ფრიალებდა, რაიც დადებული პიროპის თანახმად იმის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო, რომ თეზეოსი დაიღუპა, მამამ გემის ნაპირთან მისვლას აღარ დაუცადა და ზღვაში გადავარდა. ამიტომაც დაერქვა ამ ზღვას **ეგეოსის ზღვაო.** გარდა ამისა მინოსი ბერძნული გადმოცემით გონიერი და ბრძენი მართველი და კანონმდებელიც იყო. იგი ორ სხვა მსაჯულთან ერთად ასამართლებდა ხალხს ქვესკნელის სამეფოში. [1]) მარჯვენა ხელში სკიპტრა ეპყრა და ქვესკნელში, აიდის სამეფოში, მიცვალებულებს ასამართლებდაო“. პოეტ ჰესიოდეს სიტყვით, [2]) მინოსი „მომაკვდავ მეფეთა შორის ყველაზე მეტად მეფური იყო“, მის სკიპტრას მრავალი ხალხი ემორჩილებოდა. ისტორიკოსების ჰეროდოტესა [3]) და ფუკიდიდეს [4]) გადმოცემით მინოსმა პირველმა შეჰქმნა ძლიერი ფლოტი, იგი იყო მეუფე ზღვისა, ბრძანებლობდა აგრეედვე ციკლადების კუნძულზე, სადაც მან თავისი ქვეშევრდომები მოათავსა მას შემდეგ, რაც აქედან განდევნა წინად მათი მფლობელი ხალხი—კარიელები და ზღვა პირატებისაგან გაათავისუფლაო. ასეთია სხვა და სხვა გადმოცემა და აზრი კრეტასი და უმთავრესად მინოსის შესახებ. ცხადია, მინოსი დიდ ინტერესს იწვევდა ძველადვე და საკვირველი არაა, თუ წარსულ საუკუნეშიაც ზოგიერთს მაინც დაებადებოდა სურვილი ამოეღო მიწის გულიდან ის ძეგლები, რომელთაც შეეძლოთ ოდნავ მაინც მიმოეფინათ ნათელი ძველი თქმულებისათვის. გარდა ამისა ჯერ კიდევ წარსული საუკუნის მე-80-ე წლებში ზოგიერთი მეცნიერი უკვე მიუთითებდა კრეტაზე, როგორც ისეთ პუნქტზე, სადაც უნდა აღმოჩენილიყო კრეტის

---

[1]) იხ. „ოდისეა“, XI, 568 შემ.

[2]) იხ. ჰესიოდე Op.

[3]) ჰეროდოტე წიგნი I. გვ. 89. მიშჩენკოს თარ.

[4]) ფუკიდიდე I. გვ. 39. 40. მიშჩენკოს თარგმანი.

მიკენის კულტურის გასაღები. ამიტომაც ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა მიეცემოდა იმ აღმოჩენათ, რომელთაც კრეტაზე ექნებოდათ ადგილი. რაკი მათის მეოხებით სრულიად სამართლიანად ფიქრობდენ კრეტის-მიკენის კულტურის რაობის შეცნობას, უდაოა, რომ მეცნიერები განსაკუთრებულ გულისყურს მიაპყრობდენ ამ კუნძულზე სარქეოლოგიო გამოკვლევას. მართლაც, ძვირფასი და ფასდაუდებელი შედეგები მოჰყვა კრეტაზე სამეცნიერო მიზნით დაწყებულ მუშაობას. ამ მხრივ უპირველესად ყოვლისა უნდა აღინიშნოს აღმოჩენები **კნოსში.**

შლიმანის აღმოჩენებმა დიდი ამოძრავება გამოიწვია მეცნიერთა შორის. მე-19-ე საუკუნის მესამოცდა-ათე წლებში კანდიის ანუ ჰერაკლიონის სამხრეთით, ძველი კნოსის ადგილას, ანუ როგორც მას ოდესაც ეძახის, „დიდი ქალაქის“ ადგილას, რომელიც მინოსის სატახტო ქალაქად წარმოედგინათ, ადგილობრივმა ვაჭარმა მინოს კალოკერინოსმა აღმოაჩინა ნანგრევები დიდი ძველი შენობისა და რამდენიმე ქურჭელი. მაშინ ვერ გამოარკვიეს, თუ რა შენობა იყო იგი, ან რომელ ხანას ეკუთვნოდა; ზოგი ფიქრობდა, რომ იგი ლაბირინტის ნანგრევებს უნდა წარმოადგენდესო. ამაევ ადგილას მუშაობა შლიმანს უნდა დაეწყო, მაგრამ იგი მალე გარდაიცვალა. შემდეგ წლებში კრეტა დიდმა ეროვნულმა მოძრაობამ მოიცვა; იქ დაიწყო ამბოხება წინააღმდეგ ოსმალეთისა და ასეთ დროს, რასაკვირველია, მასზე არქეოლოგიური მუშაობის გაგრძელება არ შეიძლებოდა, მხოლოდ მე-XIX-ე საუკუნის უკანასკნელ წლებში, როდესაც კრეტაზე მოძრაობა შესწყდა, შესაძლებელი გახდა მუშაობის განახლება.

ამ შემთხვევაში არქეოლოგიური მუშაობის დაწყება თავს იდვა ოქსფორდის მუზეუმის გამგემ, ინგლისელმა მკვლევარმა **არტურ ევანსმა.** ჯერ კიდევ 1894 და 1897 წლებში მან კრეტაზე აღმოაჩინა ნაშთები ძველი პრაისტორიული დამწერლობისა, ხოლო 1900 წელს ევანსმა საკუთრებად შეიძინა ის ადგილი, სადაც ძველი კნოსის ნანგრევები იყო, და თავისი საკუთარი ფულით შეუდგა მუშაობას. შედეგები პირდაპირ მოულოდნელი იყო: აღმოჩნდა უზარმაზარი სასახლე, მთელს ქვეყანაზე ერთი უდიდესი შენობათაგანი, რომელიც გაცილებით უფრო ერცელია, ვიდრე შლიმანის მიერ ტირინთში აღმოჩენილი სასახლე. ამ სასახლეს ევანსმა „მინოსის სასახლე“ უწოდა, ხოლო ახალ კულტურას **„მინოსის კულტურა“**. ეს კულტურაა—სპილენძისა

და ბრინჯაოს ხანის კულტურა. ხოლო სასახლის ნანგრევთა ქვეშეთ აღმოჩენილ იქმნა ნაშთები პირველყოფილი—ნეოლიტიური (ახალი ქვის) კულტურისა, სახელდობრ: ქვის იარაღები, ჭურჭლები და სხვა. ეს უკანასნელი კულტურა ევანსის აზრით რამდენიმე საუკუნის განმავლობაში არსებობდა კრეტაზე.

მაგრამ რას წარმოადგენდა თვით **კნოსის სასახლე?**

სასახლეს უჭირავს დიდი და ფართო სივრცე, 20.000 კვად. მეტრზე მეტი. მას გარს არ აქვს შემოღებული კედელი ან სხვა რაიმე საფარი. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მფლობელნი ამა სასახლისა ხშირად ბიდან მტრის შემოსევისაგან თავს უზრუნველად სთვლიდენ, ხოლო ზღვაზე კი ქალაქს იცავდა ძლიერი ფლოტი.

ამას გარდა გარე-კედელი ქალაქის დახურული იყო, არ ჰქონდა ფანჯრები და სულ რამდენიმე შესავალი მოეპოებოდა, ხოლო მთავარი შესავალის თავზე მოთავსებული იყო ჰაუპტვახტის, თუ ყარაულთა ოთახის მზგავსი ნაშენი, სადაც ალბად მოდარაჯენი იქნებოდენ მოთავსებულნი ყოველგვარი მოულოდნელს შემთხვევის მსწრაფულ შესატყობად და სათანადო ზომების მისაღებად. სასახლე რამდენიმე სართული-

სურათი № 2. კნოსის სასახლე —სატახტო დარბაზის ქვის საჯდომი და ხის სვეტები.

საგან შესგებოდა და სამი ეზო ჰქონდა: შინა-ეზო, შუა-ეზო და დიდი ეზო, რომელთა გარშემო სასახლე თავისი მრავალრიცხოვანი შესავალით,

ტალანით და ოთახით მართლაც „ლაბირინტს“ წარმოადგენდა. სასახლის დარბაზთა შორის ყველაზე უფრო საყურადღებოა დარბაზი ტახტით. ეს ტახტი ალაბასტრის 4 ფეხიან საჯდომს წარმოადგენს, ამიტომ ამ დარბაზს — „ტახტის დარბაზი“ უწოდეს. თუმცა ამავე დარბაზში არის წყლის აუზი, რის გამოც მას ზოგი „საბანაო“ ოთახად სთვლის. საყურადღებოა აგრეთვე მეორე დარბაზი, რომელსაც „ორმაგი ცულის“ დარბაზს ეძახიან, რადგან მასში მოთავსებულია სურათები ორ პირიანი ცულისა.

სამხრეთით სასახლეში შეეყავართ გრძელ ტალანს, რომელსაც ევანსმა „პროცესიების ტალანი“ უწოდა. ამ ტალანის კედლებზე შენარჩუნებულია ფრესკები, სამწუხაროდ მხოლოდ ქვედა ნაწილებით; მათში გამოსახულია ადამიანთა ფიგურები ბუნებრივი სიდიდით; მამაკაცის სხეულები გადმოცემულია მიხაკის საღებავით, ხოლო ქალების თეთრი საღებავით; ყმაწვილები აკრელებული წინსაფრებით და თასებით ხელში, მამაკაცები კი სადღესასწაულო ტანსაცმელში. მეორე ტალანის კედელზე არის სურათი ყმაწვილისა სხვა და სხვა სამკაულით და გრძელი კულულებით, მას ხელთ უპყრია მტრედის ფერი თასი. სასახლის სხვა ნაწილებში აღმოაჩინეს განსაკუთრებული სახის მინიატიურები-პატარა ფიგურები თეთრ ფონზე, რომელთშიაც გადმოცემული არიან საარშიყოდ მორთული მანდილოსნები: ისინი სხედან და როგორც სჩანს, ურთიერთ შორის საინტერესო საუბარს მისცემიან, მათ გარშემო მეორე ხაზზე მოთავსებულან მამაკაცები. საყურადღებოა კიდევ სურათი ქალიშვილის თავისა, რომელსაც კუპრივით შავი თმები ახვევია; აქვე გვხვდება თავისებური პეიზაჟებიც. ფიგურების კონტურები შავი ხაზებითაა გაკეთებული და ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებენ, თითქოს სურათები კალმით იყოს შესრულებული. საზოგადოთ კნოსზე ხშირად გვხვდება სურათები ხან ბუნებრივი სიდიდით, ხან ფრესკად, რელიეფის სახით. არა იშვიათია ხარის გამოხატულება, მაგ. არის მოკაზმული ქანდაკება ხარის თავისა. ერთი ფრესკა გადმოგვცემს ხარს, რომელიც გაქცევას აპირებს და რომლისათვისაც რქებში წაუვლიათ ხელები. ხშირია აგრეთვე გამოსახვა ორმაგი ცულისა, რომელსაც რაღაც კავშირი უნდა ჰქონდეს იმ დროის კულტთან. ქვებზე და სხვა საგნებზე არის სურათები დემონებისა — ანუ მხეცის თავებიანი არსებათა. სასახლეში ყოფილა აგრეთვე რამდენიმე საკუჭნაო ტალანებით, სადაც მოთავსებულია უზარმაზარი ჭურები — პითოსები, ალბად ჰურისა და ზეთისათვის; სასახლის სხვა და სხვა ადგილას აღმოაჩინეს თიხის

ბოგრძო ფირფიტები წარწერებით. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სასახლის ვადარჩენილი არქივი არის. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს წარწერები დღემდის არ არის ამოკითხული. ისინი თვის ახალ შამპოლიონს ელიან[1].

შემდეგ წლებში, მუშაობის გაგრძელების დროს, ევანსმა ალმოაჩინა სასახლის მეორე ნახევარი მთელი რიგი ოთახებითა და დარბაზებით. სასახლის შუა ნაწილს შეადგენდა შინა-ეზო, გარშემორტყმული მრავალი ოთახით, შესასვლელით და ტალანით; სასახლე თითქოს მთელი ქალაქი ყოფილიყოს: მასშია ეზოებიც, დარბაზებიც, საცხოვრებელი ოთახებიც, სალოცავი, ქანდაკებების, კერამიკის, და ქაშანურის (ფაიანსის) ნაწარმოებთა სახელოსნოები, ზეთის ხილის გამოსახდელი ოთახები, მუშებისათვის ბინა, საწყობები, ზარდაფხანი და ვგონებ ოთახი სკოლისათვისაც, სადაც ალბად წერაკითხვას ასწავლიდნენ. სასახლის მეორე ნაწილში იპოვეს სპილოს ძვლის ხმლები ოქროსი და ვერცხლის სამკაულებით, ალაბასტრის ვაზა და ქვის უდიდესი ვაზა, რომელსაც ევანსმა „მიკენის ვაზების მეფე“ უწოდა, ამოთხრილ იქმნა აგრეთვე ადამიანთა ფიგურების ფრაგმენტები ფერადი გიპსისაგან. განსაკუთრებით გასაოცარია თვისი რეალობით ბუნებრივი სიდიდის ხელის



სურათი № 3—კნოსის თეატრი.

ფრაგმენტი ნაკვთებისა და თითქმის ძარღვების გადმოცემით. აქაც ალმოჩენილ იქმნა მრავალი ფირფიტა პრაისტორიული წარწერებით.

[1]) შამპოლიონმა (1790—1832) პირველმა ამოიკითხა ეგვიპტის იეროგლიფები და შეადგინა გრამატიკა და ლექსიკონი ძველი ეგვიპტური ენისა.

კნოსშივე ევანსმა ამოთხარა ქვეყნად უუძველესი თეატრი. სასახლეს დასავლეთით ადგება მოკირწყული ეზო, რომლის ჩრდილოეთ ნაწილში ევანსმა შეიცნო ორი წყება ფრიად ფართო საფეხურებისა, რომელნიც ჰქმნიან სწორ კუთხეს. ევანსის აზრით ეს საფეხურები მაყურებელთა საჯდომი იყო, ხოლო ქვევით ეზო წარმოდგენის ადგილი. მისი ანგარიშით ამ პრიმიტიულ თეატრში 500 მაყურებელი მოთავსდებოდა.

სასახლის მიდამოებში ნახეს ქალაქის უბანი, დიდი შენობა—ეგრედ-წოდებული „სამეფო ვილლა“ და ნეკროპოლისი, სადაც ორი ტიპის საფლავები იხილეს: მაღაროს—მზგავსი და გუმბათის—მზგავსი. ამ ადგილას იპოვეს თიხის სარკოფაგები ძვლებით, იარაღით და სხვა და სხვა საგნით. სამეფო ვილის მახლობლად აღმოჩენილ ნივთთა შორის ჩვენს ყურადღებას იპყრობს ქაშანურის პატარა ქანდაკებები, რომლებიც ქალ-ღმერთის კერპები უნდა იყოს, რადგანაც მათზე გამოსახულია ღმერთ—ქალი თავზე და სხეულზე გველებით.

ევანსი ფიქრობს, რომ მან კრეტაზე მართლაც აღმოაჩინა მინოსის სასახლე, რომელიც აგებული უნდა იყოს არა უადრეს 1500 წლისა ქრისტეს დაბ.-დი და რომელიც რამდენჯერმე შეუკეთებია სხვა და სხვა თაობას. უდიდესად საყურადღებოა, რომ კნოსში აღმოჩენილ იქმნა ეგვიპტური ალაბასტრის სახურავი[1]) ჰიკსოსთა ერთ-ერთი მეფის, ხიანის სახელითა და ტიტულებით[2]) (ჰიკსოსები — დაახლოებით 1675—1580 წელს ქრ.-წ.), რაც თავისთავად იმაზე მიგვითითებს, რომ უუძველეს დროიდან კრეტას ჰქონია ეგვიპტესთან კავშირი და დამოკიდებულება. ამასვე ამოწმებს ეგვიპტეში მე-XII დინასტიის ფარაონთა საფლავებში პეტრის მიერ აღმოჩენილი კრეტას თიხის ჭურჭლები. დასასრულ აღმოსავლეთთან კავშირს ამოწმებს კრეტაზე აღმოჩენილი ბაბილონის ცილინდრის მზგავსი ბეჭდები. კნოსში აღმოჩენილმა ნაშთებმა ცხადჰყვეს, რომ კრეტაზე უუძველეს დროს განვითარებული ყოფილა პოლიტიკური ცხოვრება და რომ გარდა მინოსისა, მთელი მინოსის დინასტია ჰქმნილა მის ძლიერებას თვით. მინოსის პიროვნება, რომელსაც პოეტურ თქმულებათა მეოხებით ლეგენდარული ხასიათი ჰქონდა, აღმოჩენათა საშუალებით ნამდვილ რეალურ პიროვნებად იქცა. ეფანოვ,

---

[1]) ევანსი მას მიაკუთვნებს დაახლოებით—1600 წელს ქრ.-წ იხ. Scripta Minoa—I. 273.

[2]) იხ. ტურაევი, „Исторія Древ. Востока“ I, 267.

რომ სამეფოს სატახტო ქალაქი კნოსი იყო და რომ კრეტა უძლიერესი სახელმწიფო იყო., რომლის სახელს და პატივს ძლიერი ფლოტი იცავდა.

მაშინ, როდესაც ევანსმა თავისი ყურადღება კნოსზე შეაჩერა, იტალიელმა არქეოლოგოსებმა დაიწყეს გამოკვლევა კრეტას სამხრეთი ნაწილისა, სადაც ოდესღაც არსებობდა ქალაქი **ფესტი**. აქ აღმოაჩინეს ნანგრევები უფრო დიდი სასახლისა, ვიდრე კნოსში. სასახლე აგებულია, მთაზე და ამგვარად მაღლობიდან დაჰყურებს თავის გარშემო მდებარე მიდამოს. ამ სასახლის გეგმა დაახლოვებით იგივეა, როგორიც კნოსის. ნახევარი სასახლისა მოთავსებულია ფართო შინა-ეზოს გარშემო, იგი წარმოადგენს: ოთახებს მსახურებისათვის, სამზარეულოს და ვანის ოთახებს, რომელთაც საკუჭნაოთიგან ჰყოფს ფართო ტალანი. საკუჭნაოები კი თავის მხრივ გაყოფილი არიან საოჯახო ოთახებისაგან, რომელთაკენ მივყვარეთ მშვენივრად მოწყობილ შესავალს. მეორე ნახევარი სასახლისა, რომელიც, როგორც კნოსში, დასავლეთით იმყოფება, მისაღებ დარბაზებს უნდა წარმოადგენდეს, რადგან მასში ვხვდებით ფართო ლაშაზ ოთახებს. ფესტის სასახლე მდიდარია მრავალი ტალანით და კიბით, რაიც ალბად იმიტომ იყო მოწყობილი, რომ სასახლე მთაზე იმყოფებოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფართო კიბე, რომელსაც სასახლეში დასავლეთ ეზოდან შევყავართ. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ამ კიბის საფეხურები მაყურებელთა საჯდომები იყვენ, ხოლო ქვეეით, ეზოში სწარმოებდა წარმოდგენა. თუ ეს აზრი მართალია, მაშინ **ცხადია, რომ ფესტშიაც, როგორც კნოსში, უძველეს დროს არსებობდა თეატრი.** საზოგადოთ კნოსის სასახლე ძვირფასი მოწყობილობით და კომფორტით უნდა ყოფილიყო აგებული, სასახლის კედლებზე შენარჩუნებულია ფრესკები, სადაც სხვა და სხვა მოვლენებია გამოსახული. ერთ ფრესკაზე, მაგ., აღბეჭდილია წყება აყვავებულ მცენარეთა, რომელნიც ურთიერთშორის სპირალით არიან შეერთებულნი, მეორეზე ფრიად ნატურალურად არის გადმოცემული შტოები ფოთლებით და ყვავილები და სხვ. ოთხ რელიეფზე წარმოდგენილია ადამიანის ფიგურები მხეცის თუ ჩ-ტის თავით. ფესტის სასახლის ქვეეით აღმოაჩინეს უფრო ძველი დროის სასახლის ნანგრევები. მათში სხვათა შორის ნახეს შენობა, რომელშიაც კედლების გასწვრივ მოთავსებულია გიპსის საჯდომები, ხოლო შუაში დგას მაგიდა მაგარი თიხისაგან, ალბად მსხვერპლის შესაწირავად. აქვე ამოიღეს დასურათებული ვაზები

დამწვარი თიხისა (ტერაკოტური) და ქვებისაგან გაკეთებული; აღმოჩენილ საწყობებში იპოვეს სხვა და სხვა დიდი ჭურჭელი, ესეც ალბად ხორბლეულისა და ზეთის შესანახად. ფესტის მახლობლად აღმოაჩინეს 12 საფლავი, რომელნიც ალბად სამეფო გვარეულობას ეკუთვნოდენ, მათგან ცოტა დაშორებით კი სხვა საფლავებიც უფრო ნაკლებ მდიდრულად მოწყობილი და უფრო შემდგომი დროისა.

ფესტის დაახლოებით მდებარე მთაგრეხილზე, სადაც ამ ჟამად არის პატარა ბიზანტიური ეკლესია წმ. სამების სახელზე („Haqia Triada"), იტალიელებმა აღმოაჩინეს შენობა, რომელსაც მათ ფესტის „მეფეთა საზაფხულო სასახლე" უწოდეს. ამ სასახლეში შესამჩნევია დიდი დარბაზი თავისებური სვეტებით და მის გვერდით ოთახი, სადაც აღმოჩენის დროს კიდევ თავის ადგილას იდგა ორი ქვის მაღალი კანდელიაბრი. სასახლის წინ, მის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, არის გაშლილი კოლონადა, საიდანაც საუცხოოდ მოსჩანს ველი, მაღალი მთები იდამდის და ზღვა. სასახლის ერთ-ერთ ოთახში აღმოჩნდა ფრესკები ძვირფასი სურათებით, რომელნიც ცოცხალი ფერადებით გადმოგვცემენ ბუნებას; ჩვენ თვალწინ იშლება პეიზაჟი, ცხოველები და ფრინველები: აგერ, ჭრელი ხოხობი, რომელსაც უთვალთვალებს ბუჩქს მოფარებული გარეული კატა, აგერ, შავი ხარი მოემართება ბუჩქებსა და ხეებს შორის და თავის რქებით მიმოსწევს მათ ტოტებს, აგერ ყვავილებით დაფარულ ველ—მინდორზე ცელქად მირბის კურდღელი და სხვ. ერთ ფრესკაზე გადმოცემულია ქალი, სადღესასწაულოდ მოკაზმული მტრედის ფერ ტანსაცმელში წითელი არშიით და ჭრელი ნაწიბურით, იგი თითქოს ტახტზე ზის. აქვე ნახეს მრავალრიცხოვანი თიხის კერპი, ფირფიტები წარწერებით, თიხის ბეჭდები გერბებით—იეროგლიფების მზგავსად, სპილენძის ნატეხები, ბრინჯაოს და თიხის ჭურჭლეულობა, ქვის ვაზები, რომლიდან—სამი საუცხოო მხატვრული. შესრულებაა რელიეფურ გამოხატვით. ერთ მათგანზედ არის საყურადღებო სურათი; გადმოცემულია რადაც პროცესია: მამაკაცები წყვილ წყვილად მიდიან, ყველანი უწვერ-უულვაშოა, წელამდის შიშველი, მარჯვენა ხელი, მუშტათ შეკრული, მკერდზე უპირავთ, მარცხენა მხარზე თითოეულ მათგანს რაღაც სამკბილიანი ჩანგლის მსგავსი იარაღი აქვს გადაკიდებული. წინ მოდის ყველაზე უფრო ძსხვილი ფიგურა თავშიშველი გრძელი თმებით, მოხრილი ლერწმით მარჯვენა მხარზე, მას აცვია ტუნიკა, რომელიც სხეულს კი არ ეკერება, არამედ ქვეშ ჩამოთრეულია.

თითქმის შუაგულში მიემართება მამაკაცი ფართეთ ვალებული პირით, იგი ხმამაღლა მღერის, რადგან ამასთან ერთად ხელში უკავია მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელიც ეგვიპტურ „სისტრს“-ს წააგავს. ამ პირს თან მოსდევს სამი ქალი უკან გადაწეული თავით, ალბად ისინიც ხმა მაღლა მღერიან. ამ სურათს თვისი ბუნებრივობით და მხატვრული გადმოცემით ისე მაღლა აყენებენ, რომ მას სპეციალისტები ალორძინების ხანის ფლორენციის მხატვრების ნაწარმოებთ ადარებენ.

სურათი № 4—მკელთა ვაზა.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით სურათი იგი სამხედრო მსვლელობას უნდა გადმოგვცემდეს, ხოლო სხვები ფიქრობენ, რომ იგი სარწმუნოებრივი პროცესიაა მკის დღესასწაულის ალსანიშნავად ქურუმის მეთაურობით. ჩემის აზრით ეს უკანასკნელი აზრი სიმართლესთან უფრო ახლოს არის, რადგან წინ მიმავალი მამა-კაცი მართლაც უფრო ქურუმი უნდა იყოს, ვიდრე სამხედრო წინამძღოლი. დღეს მეცნიერები ამ ვაზას, რომელზედაც ეს პროცესია არის აღბეჭდილი, „მკელთა ვაზას“ ეძახიან.

Hagia Triada-ში აღმოაჩინეს აგრეთვე შესანიშნავი ქვის სარკოფაგი, რომელიც ქრ. დაბ. 2000 წელზე უფრო გვიან უნდა იყოს გაკეთებული. სარკოფაგზე არის ფრესკები. მის ვიწრო მხარეზე დასურათებულია ღმერთი-ქალი ეტლში, რომელსაც მიაქანებენ გრიფები (ისეთი არსებანი, რომელთაც ფეხები, სხეული და ფრჩხილები ლომის, თავი და ფრთები არწივის, ყურები ცხენის და ფაფარი თეზის ლაყუჩის მზგავსი აქვსთ), ხოლო მეორე ფართო მხარეზე—მსხვერპლის შეწირვის სურათებიც.

ფესტის მიდამოებში მდებარე ერთ მდიდარ საფლავში აღმოჩენილ იქმნა ეგვიპტის ბექედი დედოფლის ტი-ს სახელით; იგი იყო მეუღლე ფარაონ ამენოფის III-სა (XV ს. ქრ. წ.) ამ ფაქტს და კიდევ იმასაც, რომ ზემოდ აღწერილ ვაზაზე ჩვენ დავინახეთ ეგვიპტის „სისტრის“

მზგავსი მუსიკალური ინსტრუმენტი, შეუძლია აგრეთვე დაგვიმტკიცოს ის ურთიერთობა, რომელიც ეგვიპტესა და კრეტას შორის უძველეს დროიდანვე არსებობდა.

ევანსისა და იტალიელების კვალს სხვა ქვეყნის მეცნიერებიც გაჰყვენ. ბრიტანეთის შკოლა აწარმოებდა მუშაობას კრეტას აღმოსავლეთ ნაწილში—პრესში. მან პალეოკასტროში აღმოაჩინა ქალაქი ძიკენური საგნებით. ჰოჰარტმა გამოქვაბულ საკრო-ში აღმოაჩინა აგრეთვე ნაშთები კრეტას კულტურისა. ოლი ახალგაზრდა ამერიკელი მკვლევარი ქალი აწარმოებდენ მუშაობას გურნიაში.

ასეთი დიდი ყურადღება ეგეოსის კულტურის ნაშთების მიმართ არც გასაკვირველია, რადგან იგი არსებითად პირველი უძველესი ევროპიული კულტურა იყო. ევანსისა და სხვათა აღმოჩენებმა დაადასტურეს ძველების თქმულება, რომ კრეტას ერთ დროს ძველი საბერძნეთის ადგილებში მართლაც გაბატონებული მდგომარეობა ეკავა. ისინი ამოწმებენ აგრეთვე კრეტას მაღალ ტექნიკას და მაღალ გარეგან კულტურას. დასასრული მათ შეუძლიათ გასაღები მოგვცენ ამ კულტურის საფუძვლების და მისი მატარებელი უცნობი ხალხის გამოცნობის შესახებ. ამ მხრივ ჩვენ დროში სწარმოებს დიდი მეცნიერული კვლევა-ძიება, და თუ დღემდის მეცნიერები ვერ შეთანხმებულან რთულ კითხვებში, ეგებ მათ შესძლონ კრეტას წარწერების ამოკითხვა და მაშინ ალბად საკვლევით ფარდა აეხდება ეგეოსის კულტურასთან დაკავშირებულ ჯერ საიდუმლოებით მოცულ პრობლემებს.

თავი II.

კრეტას ანუ მინოსის კულტურა [1]

სასახლეები. სოფლები მეტოხიები. ქალაქები. ტეხნიკა. ხელოვნება. თეატრები. სარწმუნოება. დამწერლობა. კულტურის პერიოდები. მისი გავრცელება.

ჩვენ დაახლოებით მაინც გავეცანით ძველის ხელოვნებით და დაკვირვებით აშენებულ კრეტას სასახლეებს. მათი აგებულება გვარწმუნებს, რომ წინაალმდეგ მიკენის სასახლეებისა, რომლებზედაც საუბარი ქვემოდ გვექნება, კრეტას სასახლეებს არ ჰქონდათ გარსშემორტყმული რაიმე განსაკუთრებული კედლები ციხე-კოშკის მზგავსად. ეს გარემოება ალბად იმას უნდა გვეუბნებოდეს, რომ კრეტაზე საზოგადოდ მშვიდობიანი ცხოვრება სუფევდა მტრების ხმელეთით შემოსევის მხრივ და ზღვით კი მის ნაპირებს ძლიერი სამხედრო ფლოტი იცავდა. ასეთი მდგომარეობის შედეგი უნდა იყოს ის, რომ კრეტამ თვის განვითარებაში მიაღწია აღმშენებლობითი ხელოვნების და საზოგადოდ კულტურული წინსვლის თვალსაჩინოდ მაღალ საფეხურს. ხოლო ვიდრე ამ კულტურის ზოგად განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია პასუხი გავსცეთ ერთ კითხვაზე: აღმოჩენილ იქნა თუ არა კრეტაზე გარ-

---

[1]) იხ.: 1) Noack, "Homer. Paläste." ლაიპ. 1903.

2) Dörpfeld, „Die kret., myk., und hom. Paläste" (Mitth. d. deutsch. Arch. Jnstit. XXX 1905).

3) სინგალევიჩი, „Крит в начале историч. существования." ვარშავა 1912 წ.

4) მისივე „Древнейшая культура в бассейне Эгейскаго моря." (Гермес. 1911. 9.)

5) ფარმაკოვსკი. „Искусство героической Греции" (ლიტოგრ. კურსი).

6) უსპენსკი, „Критско-микенская культура" (Вестник образ. 1904, 13.).

7) Poulsen. „Die decorative Kunst des Altertums." ბერლ. 1914 წ.

და სასახლეებისა, რომლებიც ბრძანებელთა საკუთრებას შეადგენდენ, უბრალო ხალხის, მშრომელი მიწის მუშების თუ მოვაჭრეების მოსახლეობის ნაშთები? სულ ათიოდე წლის წინად კრეტას აღმოსავლეთ ნაწილში მიწის გულიდან ამოთხარეს რამდენიმე „სოფელი“, რომელთაც ღრმად ჰქონდა ქვიშა-სილა მიყრილი. პირველად და ყველაზე უფრო სრულად გასწმინდეს მოსახლეობა ეგრედ წოდებული „პახი ამპო“-ში. [1]) ამ მოსახლეობას დღეს „გურნია“ ეწოდება. „გურუნი“ ახალბერძნულად ღორს ნიშნავს. ეს საკვირველი სახელი ამ მოსახლეობას იმიტომ დაერქვა, რომ აქ მცხოვრებლები ხშირად ნახულობდენ ქვის ამოღრმავებულ ჭურჭლებს, რომლებითაც ღორებს წყალს ასმევდენ. სოფელს ეიწრო მიდამო უკავია; აქ სხვათა შორის აღმოაჩინეს პატარა სასახლეც, ალბად ადგილობრივი ვემამულისა. მის გარშემო მოთავსებული ყოფილა სხვა სადგომებიც. ისინი უბრალო დაუმწვარი თიხისაგან მარტივად აგებულ ქოხებს წარმოადგენენ, ერთიმეორეზე არიან მიდგმული და ვიწრო და ბრუნდით ქუჩებით დანაწილებული. ის გარემოება, რომ ქოხები ერთიმეორეზე არიან მჭიდროდ მიდგმული, შეიძლება იმით აიხსნებოდეს, რომ ისედაც კლდიან და უნაყოფო კუნძულზე თავისუფალი სახნავ-სათესი მიწა მცირე იყო და ამიტომაც საზოგად ძლიერი მომჭირნეობით ეჭცეოდენ მას. აგრეთვე მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ზღვის სიახლოეს გამო კრეტელები მისდევდენ არა მარტო მიწის დამუშავებას, არამედ მეზღვაურობას და ვაჭრობასაც. ამიტომაც საქონლის გადატანა-ვადმოტანისთვის აუცილებელი იქნებოდა მეზობლების დახმარება და მათი ერთად მოსახლეობა.

კრეტას აღმოსავლეთ ნაწილში სხვა ამგვარი მოსახლეობა რამდენიმე იქნა აღმოჩენილი. მაგ., გურნიას მზგავსი მოსახლეობა აღმოაჩინა ამერიკელმა მკვლევარმა სიგერმა (Seager) პატარა კუნძულ ფსირაზე, მირაბელოს ყურეში. აქაც პატარა სადგომები ერთი მეორეზე არიან მიდგმული და კიბის მზგავსად დალაგებული და ჰქმნიან ეიწრო ქუჩებს. შემდეგ ამავე სიგერმა დაახლოეებით ნახევარი საათის სასიარულო მანძილით დაშორებულ პატარა კუნძულ მოხლზე, რომელიც ძველად კრეტას ნაწილი იყო, აღმოაჩინა ასეთივე მოსახლეობა. გარდა ასეთ მოსახლეობათა აღნიშნული უნდა იქნეს აგრეთვე ეგრედწოდებული **ეტეოხიები** ანუ საზაფხულო სადგომები. მთებში, წინალმდეგ ფიცხი და ნოყიერი ბარისა, მკის დრო უფრო გვიან დგება. ამიტომაც იმ

[1]) „პახი ამპო,“=ქვიშისაგან ღრმად დაფარული ადგილს.

უხსოვარ ჟამიდან დროს, იმის მაგიერ, რომ ყოველ დღე შინიდან ევლოთ მთებზე სამუშაოდ, მიღლობ ადგილებზე აკეთებდენ საზაფხულო სადგომებს და, რაკი ბარში მოარჩენდენ ჭირნახულის შემოტანას, მთელი ოჯახით ადიოდენ მთაში საცხოვრებლად, რომ გაეთავებიათ ყანების მომკა და პურის შეგროვება. ზამთრის პირად მთელი ოჯახობა ისევ ბარში ბრუნდებოდა. ამგვარად თითოეული ამ ორ მოსახლეობათაგანი (ბარში და მთაში) არსებითად ერთ მთელს წარმოადგენდა: თუ ერთი მათგანი იყო დაკავებული წლის განსაზღვრულ დროს, სამაგიეროდ მეორე ნაწილი თავისუფალი და წინაუკმო. ასეთი ჩვეულება მარტო მინოსიანთა ცხოვრების დამახასიათებლად არ უნდა ჩაითვალოს. იგი, უეჭველია, ცნობილი იყო სხვა ტომების თუ ხალხის ცხოვრებაშიც, რომელთაც მიწის დამუშავება უხდებოდათ არა მარტო ბარში, არამედ მთებშიაც. კერძოდ ქართველების შესახებაც შეიძლება ითქვას, რომ ამის მზგავსი წესი მიწის დამუშავებისა მათაც ჰქონიათ. ჩვენ დაკვირვებით საქართველოს სხვა და სხვა მთიან ნაწილებში, კერძოდ, ზემო იმერეთში, სადაც ამ მოვლენისათვის უფრო გულდასმით მიდევნებია თვალყური, გლეხებს ჩვეულებათ ჰქონიათ და ზოგან დღესაც აქვსთ მთებში ყანების დამუშავების დროს იქ გადავიდენ დროებით საცხოვრებლად ან მთელი ოჯახობით ან ნაწილობრივ, სანამ მუშაობა დასრულებული არ იქნება. მე პირადად ხშირად შემხვედრია მეტოხიების, მზგავსი შენობების ნაშთები მთებში მოგზაურობის დროს. მინახავს ისიც, თუ როგორ ასულან რამდენიმე თვით გლეხების ოჯახობა მთებზე გაკეთებულ ქოხებში საცხოვრებლად მიწის დამუშავებისა და მოსავლის მოწევის დროს. უეჭველია, მეტოხიები სხვა მთა-გორიან ქვეყნებშიც იქნებოდა გავრცელებული. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მთებში, სადაც კარგი საბალახოებია, ხშირად ვხედებით მწყემსთა საზაფხულო სადგომებს. რომლებიც არ უნდა აურიოთ მეტოხიებში, რომელთაც უფრო სხვა ხასიათი აქვსთ[1].

მაშასადამე კრეტაზე მეტოხიები ეგეოსის პერიოდში საზაფხულო სადგომებად უნდა ყოფილიყვენ. ხოლო სასახლეები, ქალაქები და სოფლები ბარში ან ზღვის მახლობლად იყვენ მოთავსებული; ყოველივე ეს მომართული და მომარჯვებული იყო მიწის მეურნეობისა და საზღვაო ვაჭრობისათვის. შემდგომ ხანაში ასეთი დამახასიათებელი განაწილება მოსახლეობისა თვალსაჩინოდ შეიცვალა. ხმელეთიდან კრეტაზე

[1]) ეს საკითხი ღირსია შესწავლისა.

ბერძენთა ტომების გადასახლების გამო მასზე ხშირად ხდებოდა საომარი შეტაკებები, რაიც ხელს უშლიდა მეურნეობის წესიერ მიმდინარეობას, მეორეს მხრივ ამ კუნძულზე იმდენად გამრავლდენ მცხოვრებლები, რომ მათთვის საკმარისი აღარ იყო მარტო ბარი; საჭირო შეიქნა მთების მოხმარება უფრო მეტად, ვიდრე ეს მეტოხიების საშუალებით შეიძლებოდა. ამ დროიდან დაიწყეს მთების მწვერვალებზე ქალაქების გაშენება. ასეთი ქალაქები, რასაკვირველია, თვისი ბუნებრივი მდებარეობით უფრო უზრუნველყოფილი იქნებოდენ მტრის მოულოდნელი თავდასხმისაგან.

გარდა მთავარი ქალაქებისა, რომლებიც მეფეთა სასახლეების მახლობლად იმყოფებოდენ, და სოფლებისა მათი მეტოხიებით, ეგეოსის პერიოდში კრეტაზე არსებობდენ წვრილი პროვინციალური ქალაქებიც, რომელთა შეძლებულ მცხოვრებთ შედარებით კარგად მოწყობილი სადგომები ეკავათ. ასეთი ქალაქები იყვენ კუნძულის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში **პრაისი** და **პალეოკასტრო**.

საზოგადოდ დიდ განცვიფრებას იწვევს მინოსიანთა აღმშენებლობითი ხელოვნება. კრეტას სასახლეები მკერმეტყველურად ღაღადებენ იმ უდაო „ეშმარიტებაზე, რომ ამ დროს ფრიად განვითარებული იყო ხუროთ-მოძღვრება, საზოგადოდ ტეხნიკა და ხელოვნება, რომ მათი აღმშენებლებს საკმაოდ მრავალი გამოცდილი და დახელოვნებული ხუროთ-მოძღვარი და მხატვარი უნდა ჰყოლოდათ. უდაოა ყოველივე ეს, მაგრამ უდაოა ისიც, რომ ამ დროს დაბალი ხალხი დიდათ დამონებული და შევიწროებული უნდა ყოფილიყო ბრძანებულთა მიერ. ამას ამტკიცებს არა მარტო ის დიდი კონტრასტი, რომელსაც დაბალი ხალხის ქოხები მათი ბატონების სასახლეებთან შედარებით წარმოადგენენ, არამედ ისიც, რომ ასეთი უზარმაზარი შენობების აგება შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ დროს, როდესაც ხალხის მასა დამონებული და უფრო პატრონყმურ დამოკიდებულებაში ცხოვრობდა და, როდესაც დიდი იყო დესპოტიზმი ბრძანებელთა. ჩვენ ვიცით, რომ ეგვიპტის ეგრედ-წოდებული „პირამიდების აღმშენებელთა“ ეპოქა (30 საუკ. წინ ქრ. დაბ.) იყო დრო სასტიკი ცენტრალიზაციისა და ბიუროკრატიზმისა, ამასთანავე დრო დაბალი ხალხის უკიდურესი სილარიბისა და პატრონყმური მორჩილებისა. სამწუხაროდ მინოსიანთა ცხოვრების შესახებ ჯერ-ჯერობით არა გვაქვს სხვა წყაროები, რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ დაბალი ხალხის მდგომარეობა.

კრეტას სასახლეები მათი სხვა და სხვა ოთახებით, ფრესკებით და საგნებით თვალწინ გვიშლის საზოგადოდ მდიდარ კულტურას, რომელიც იმ დროს ყოფილა ამ კუნძულზე გაბატონებული. ამ კულტურას უპირველესად ყოვლისა ახასიათებს ძვირფასი და მაღალი ხარისხოვანი ხელოვნება. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოდ კრეტის—მიკენის, ხელოვნების განხილვა ძნელია ცალკე, მხატვრულ-ხელოსნურ ნაწარმოებთაგან დამოუკიდებლად. იმ დროს ხელოვნება და მხატვრული ხელოსნობა ჯერ კიდევ თითქმის ერთ მთლიან დარგს წარმოადგენდენ. ეს განსაკუთრებით ამ კულტურის უუძველეს პერიოდს შეეხება. მხატვრულ ხელოსნურ ნაწარმოებთა შორის პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ამოჭრა ქვაზე, ოქრომჭედლობა და დასურათებული ჭურჭლების შეზავება. კრეტის-მიკენის კულტურის თითქმის ყველა ადგილში ქვაზე ამოჭრის ნაშთებს ჭრავლად ვპოულობთ შიგნით მოკვეთილი ბეჭედებისა და სამკაულის სხვა საგანთა სახით. ამ ნაშთების მიხედვით, შეგვიძლია ვავითვალისწინოთ თანდათანობით გადასვლა ადამიანთა და ცხოველთა ჭარტივი ორნამენტიდან ნადირობისა და ბრძოლის ვადმომცემ სცენებზე. ასეთ ბეჭედსა და ქვებზე, განსაკუთრებით ხსენებული კულტურის განვითარების ხანაში, ვხედავთ კარგად შეცნობილ, ჭაგრამ გრძელ ფიგურებს წერილი ტალიით; ვხედავთ ცოცხალ და მიმზიდველ მოძრაობათ. მათზე აღბეჭდილ მამაკაცთა ტანსაცმელი უმთავრესად წინსაფრებია, რომლებიც ცურვის დროს სახმარ პერანგის ამხანაგებს წაგავს, ხოლო ქალების—ფართე გრძელი ჩასაცმელები. ამოჭრილ ქვებზე, როგორც უკვე იყო ნათქვამი ზოგჯერ ანიშნულია სცენები ნადირობისა და ბრძოლისა [1]). კრეტას ერთ ქაზე წარმოდგენილია დემონი ვირის თავით, რომელიც მხრებზე გადადებული ხარიხით ოთარეს ნანადირევ ხეცს.

უფრო საყურადღებოა ოქრომჭედლობის ნაშთები. ამ ხასიათის ნაწარმოებთა მეოხებით ჩვენ საშუალება გვეძლევა გავითვალისწინოთ მინოსიანთა ხელოვნებაში ორნამენტიკისა და პლასტიკის განვითარების ყველა საფეხური. ოქროს ფურცლისაგან გამოჭედილი საგნები ხშირად შემკულია გამობერილი კონცენტრიული ფოთლიანი გვირგვინებით, ნარგიზის ყვავილებისა და ეარსკელავების მსგავს ხელნათი („როზეტკით"), ჩანგლის მსგავს და სპირალური ხაზების სხვა და სხვა

---

1) ე'ს განსაკუთრებით მიკენის ეპოქაზე ითქმის, რომელზედაც საუბარი ქვემოდ იქნება.

ვარიაციით. ამას გარდა შეეხვდებით ადგილობრივი ბუნებიდან ამოღებულ მოტივებსაც [1]). მცენარეთა სამეფოთაგან უმთავრესად ამოღებულია ფორმები მარაოს მზგავს ფურცეელთა და როგორც მარტივი, ისე რთული შემოხაზულების ფურცლოვანი გვირგვინებისა.

ოქროს საგნებზე ვხედავთ ზოგიერთ შემთხვევაში ირმებისა, კატებისა, გველებისა, არწივებისა და ხანდახან ადამიანების გამოხატულებათ. მინოსიანთა მხატვრულ ხელოსნობის განვითარებაზე მიგვითითებს აგრეთვე კერამიკა [2]). ე. ი. თიხისაგან შექმნილი აკრეულებული ჭურჭელი. აკრეტას კერამიკის წარმოშობას და განვითარებას ცნობილი ინგლისელი მკვლევარი ევანსი [3]) ჰყოფს სამ პერიოდათ: 1) ადრე მინოსური, 2) შუა—მინოსური და 3) გვიან—მინოსური [4]). პირველ ხანის კერამიკა ხასიათდება უბრალო ორნამენტით, რომელიც უმთავრესად ზოლებით და ლენტებით გამოიხატება; ეს ზოლები თუ ლენტები ან თეთრი ან შავი ფერის არიან და ამის მიხედვით ან შავ ფონზე და ან მოწითალოზე არიან გატარებული და რკალივით შემოვლებიან ჭურჭელს. შემდეგში ამას თან ერთვის წერტილებით აღნიშნული უბრალო



სურ. № 5—კრეტას ჭურჭლები შუა—მინოსის ხანაში.

[1]) ეს სურათები საკმაოდ განვითარებულ ხელოვნებას გვაცნობენ.

[2]) კერამიკის შესახებ იხ. კაგაროვის: „Основные моменты в истории критско-микенскаго искусства" (Зап. Одесск. Общ. Истор. и древности 1911 წ. XXIX). და Reisinger, „Kretische Vasenmalerei Vom kamares bis zum Palaststil", ბერლინი.

[3]) იხ. მისი: „Essai de classification des epogues de la civilisation minoenne". ლონ. 1906 წ.

[4]) ამ პერიოდების შესახებ უფრო ვრცლად ქვემო იქნება საუბარი.

გეომეტრიული მოტივები, რომელთაც ამ ხანის დასასრულს ემატება მოხრილი ხაზებისა და სპირალების ორნამენტები. სპირალები განსაკუთრებით ახალ მხატვრულ ტეხნიკასთან ერთად ხშირად გვხვდება შუა—მინოსურ ხანაში. ეს ახალი ტეხნიკა ხასიათდება თეთრი, ყვითელი და წითელის ფერის მატი სურათებით, რომლებიც აბეყვრიალებულ შავ ფონზე არიან აღბეჭდილნი.

შემდეგ განვითარებას წარმოადგენენ ცხოველთა და მცენარეთა კონტურებით შესრულებული სურათები. დასასრულ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სტილი „კამარეს", რომელსაც ასე იმიტომ უწოდებენ, რომ ამ სტილის საუკეთესო ვაზები იპოვეს სოფელ კამარეს მახლობლად მდებარე გამოქვაბულში. ამ ვაზებს აქვთ მომრგვალებული ხელები და თხელი აჭრელებული გვერდები. მათ მხატვრობაში გადმოცემულია: წრეები, ხელნა, სპირალები, სოსანი და სხვა მცენარეები, რვაფეხა, რომლის სხეულის ნაწილები ცოცხლად მოსჩანან და სხვ. ზოგიერთი ასეთი ვაზა ისე წმინდათაა შესრულებული, რომ შეგვიძლია შეეადაროთ ჩინეთის კარგ ფაიფურს.

სურათი № 6—ვაზა კამარეს.

საზოგადოდ მკვლევარები ამტკიცებენ, რომ შემდეგში მათზე უკეთესი არა შექმნილა რა, რომ იგინი თავისი საღებავთა შთაბეჭდილებით, უფრო სრული არიან, ვიდრე ვენეციის ძველი ჭურჭელი. ჭურჭლების გასალამაზებლად ხშირად ხმარობდენ ფორმებს, რომლებიც ხუროთმოძღვრებასთან იყვენ დაკავშირებული, რასაც ნათლად ამტკიცებს ერთი ვაზა კნოსიდან გვიან მინოსური ხანისა, ეგრედწოდებული „სასახლის სტილისა". სამწუხაროდ მინოსიანთა ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში ბუნებრიობა, მკაფიობა და ლამაზი შესრულება დაეცა და გაბატონდა თავისებური დეკადენტური სტილი.

ფრიად საყურადღებოა ჩვენთვის: აგრეედვე კრეტას - სასახლეთა ფრესკებისა და საზოგადოდ მხატვრობის შესწავლა. დიდ ყურადღებას



სურ. № 7—კნოსის ორი ჭურჭელი

იპყრობს მაგ. მინიატურული სურათები კნოსის სასახლისა, სადაც გადმოცემული არიან მანდილოსნები, რომლებიც სხედან და ბაასობენ, მათ გარშემო თავი მოუყრიათ მ.მაკაცებს.

ეს ალბად მაღალი წრეა, რომელიც საუბარით თავს ირთობს. პირდაპირ გვაკვირვებს ამ ქალების თმის დაკარცხნილობა, დეკოლტე, შემოკრული ტალია, ნაოჭებიანი და ფართო სახელოებიანი ყვითელი და მტრედის ფერი ტანსაცმელი; გეგონებათ, რომ თქვენ თვალწინ სხედან მეცხრამეტე საუკუნის 20—30 წლების მანდილოსნები. მათი თავისუფალი პოზები, უსწორო, მაგრამ მიმზიდველი სახეები, მათი დახვეული თმები იწვევენ დიდ გაკვიფრებას, რადგან ყოველივე ეს ჩვენი დროის მხატვრულ შესრულებას მოგვაგონებს და თითქოს ჩვენი თანამედროვე საზოგადოებას გადმოგვცემს. არა ნაკლებ საყურადღებოა

სურათი № 8. პარიზელი ქალი.

ენოსის ერთი ფრესკა— პორტრეტი ქალიშვილისა, რომელიც გამოხატულია პროფილით მკერდამდი, ცხვირ აწეული, ალისფერი ტუჩებით, ტალღის მზგავს თმით, ზურგზე დიდი ლენტით. როგორც სჩანს, იგი საჩქაროდ და დაუკვირვებლად არის შექმნილი, არც მაინც და მაინც სწორეა (მაგ. თვალი), მაგრამ თამამი და მკაფიო შესრულება კია. ეს სურათი იმდენად ჩვენი დროისათ მოსჩანს, რომ მას „პარიზელი ქალი“ უწოდეს. დამახასიათებელ სურათებს ვხედავთ აგრეთვე პატარა ქანდაკებებსა და გემებზე (ქვები ამოკრეფილი ნახატებით). კრეტას ერთი ქანდაკება გადმოგვცემს ტანსაცმელს ზევით რამდენიმე ზოლით და ქვევით მცენარეებით, ხოლო ერთ გემზე ვხედავთ ქალის ფიგურას ხის და სამსხვეულოს წინ, რომლის სხეულის ზედა ნაწილი ძლიერ მოხრილი და წინ წამოწეულია და რომლის შემოკრული ტალია თავისებურ მუხლებთან მოწეულ ქვედატანშია გახვეული. ყოველივე ეს ჩვენი დროის სხვა და სხვა მოდის ჟურნალებში მოთავსებულ სურათებს გვაგონებს.

აღნიშვნის ღირსია უმთავრესად ისიც, რომ ბევრი ფრესკა შესრულების მხრივ ხასიათდება სრული დაკვირვებით და ,,რეალისტურ გადმოცემით. ერთ ფრესკაზე, როგორც უკვე იყო აღნიშნული, გადმოცემულია ყმაწვილი წინსაფრით, რომელსაც ,,ერძელი თმები აქვს და ნახევრად შიშველია, სამაგიეროდ მას ყელზე ფარღული და ხელებზე და ფეხებზე სამაჯურები აქვს გაკეთებული. მარჯვენა ხელში ვაზა უკავია, ხოლო მარცხენაზე ივიეე ვაზა აქვს დანდობილი; ცხადი მღელვარებით მიემართება იგი და ტანი ძლიერ გადაუზნექია. მუშაობა, მოძრაობა, საერთო გამომეტყველება საუცხოოდ არის გადმოცემული ამ სურათში და ძლიერ შთაბეჭდილებასაც სტოვებს. უნდა ვიფიქროთ, რომ იმ დროის მხატვართ საკმაოდ შესძლებიათ სხვა და სხვა საღებავის ენათა თავისებური ამეტყველება და მათი ზედმიწევნითი სისწორით გამოყენება დასახული გეგმის სრულსაყოფად. დიდის რეალიზმით არის აღბეჭდილი აგია ტრიადის ფრესკაზე ბუნება და ცხოველები; ეს ფრესკა უკვე სხვა ადგილას დავახასიათეთ, ხოლო უნდა აღინიშნოს, რომ მასზე ბუნება ისეთი სიცხადითაა გადმოცემული, რომ შეიძლება სხვა და სხვა მცენარის თავისუფლად გამოცნობა: აგერ ფათალო, აგერ შმაგა და სხვ. თვისი სინამდვილით და მოხერხებული გამოხატულებით არა ნაკლებ ძვირფასია აგია ტრიადის სტეატიტის ვაზა, რომელსაც ეხლა „მკელთა ვაზას“ ეძახიან და რომლის შესახებაც ზევით იყო ლაპარაკი. ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ ამ ვაზას თვისი შესრულებით ისე მაღლა აყენებენ, რომ

ადარებენ აღორძინების ხანის ფლორენციის ხელოვანთა ნაწარმოებთ. მეორე, ძაბრის მზგავს, ვაზაზე, ოთხ ჰორიზონტალურ სარტყელში, რომელთა შორის გადმოცემულია ტანთვარჯიშობაში შეჯიბრების მრავალგვარი სცენა, გასაოცარი ხელოვნებით არის შესრულებული შეჯიბრებულთა სხვა და სხვა მდგომარეობა. მეოთხე სარტყელში ერთი მოჰიდავეთაგანი ორივე ბეჭით არის მიწაზე დაცემული და ფეხები მაღლა აუწევია, იგი ალბად დამარცხებულთაგანია; მეორე მოჰიდავე მიწაზე ზის და ცდილობს თავიდან აიშოროს დამარცხება, ამ მიზნით იგი მარჯვენა ფეხს უქნევს მოპირდაპირეს და მით საშუალებას არ აძლევს, რომ იგი მიუახლოვდეს. მეორე სარტყელზე—ხარს რქებზე აუტაცნია მამაკაცი, და სხვ. ყოველივე ეს ცოცხალ და ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს. ასეთივე ხასიათისაა სურათი კნოსის ერთ ფაიფურის ფირფიტაზე. სურათი გადმოგვცემს თხას თიკნებით; ერთი თიკანი მიკვრია დედის ძუძუებს და გაცხარებული სწოვს მათ. საკმარისია დაუკვირდეთ ამ სურათს, რომ გაოცებაში მოხვიდეთ, იმდენად ცოცხლად და ლამაზად არის გადმოცემული ეს დედა თხა და მისი თიკნები.



სურათი № 9. თხა თიკნებით.

კრეტას მხატვრების ბუნებისა და ადამიანის სხეულის მშვენივრად ცოდნას ამტკიცებს სხვათა შორის მასზე აღმოჩენილი ადამიანის ხელის ნატეხი ბუნებრივი სიდიდისა, რომელზედაც გარკვეულად და განწყობილებულად გადმოცემულია ყველა ნაკვთი და ძარღვი. ამასვე გვე-

უბნება ის შემთხვევა, რომელიც ევანს დაემართა: მან კნოსში აღმოაჩინა თიხისაგან შემზადებული კიბორჩხალა, რომელიც იმდენად მიაგავდა ნამდვილს, რომ მკვლევარმა იგი ბუნებრივად, მაგრამ დროთა ვითარებაში გაქვავებულათ ჩასთვალა.

სურ. № 10—კედლის მხატვრობა კნოსის სასახლეში.

კრეტას ფრესკებისა და რელიეფურ გამოსახატულებათა შესწავლის დროს ვამჩნევთ, რომ ძველად კრეტაზე იშვიათად მოიპოვებოდა სამხედრო პირთა თუ სამხედრო სცენების მხატვრული დასურათება. მართალია, ერთ ვაზაზე ვხედებით ამაყი და ბრძანებლობითი გამომეტყველების მამაკაცს, რომელიც სარდალი ან მეფე უნდა იყოს, მის წინ დგას მხარზე იარაღ-გადაკიდებული მხედარი, ესეც ალბად პირველის ხელქვეითი, მაგრამ ასეთი სურათები იშვიათია კრეტას ხელოვნებაში. ის გარემოება, რომ კრეტაზე სამხედრო სცენები ნაკლებად არის, იმას უნდა ამტკიცებდეს, რომ აქ მშვიდობიანი ცხოვრება სუფევდა.

ნათქვამი საკმარისია იმისი გასათვალისწინებლად, თუ განვითარების რა დიდ საფეხურისათვის მიუხწევია კრეტას ხელოვნებას და რა ბრწყინვალე ხანა განუცდია მას.

რამდენადაც ეს კრეტას სასახლეთა აგებულობიდან სჩანს, როგორც უკვე იყო ნათქვამი, ძველად კრეტაზე **თეატრიც არსებობდა.** ამას ამტკიცებს როგორც კნოსის, ისე ფესტის სასახლეთა დასავლეთ გარე ეზოში არსებული თავისებური კიბეები ფართე საფეხურებით, რომელთაც არსად არ მივყევართ და რომლებიც თავდებიან მათზე მიბჯენილ მაღალ კედელთან[1]). კნოსის დასავლეთ ეზოში არსებობდენ აგრედვე მზგავსი კიბეები ფართე საფეხურებით, რომლებიც ერთი მეორეს უერთდებოდენ და ჰქმნიდენ სწორ კუთხეს. დაკვირვება გვარწმუნებს, რომ ეს საფეხურები არ შეადგენდენ სასახლეში შესასვლელ კიბეებს, რაც

[1]) იხ. სურათი № 3.

მათი მოყვანილობიდანაც სჩანს; ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ იგინი იყვენ საჯდომები მრავალრიცხოვანი მაყურებელთათვის, რომელთაც შეეძლოთ კარგად დაენახათ მოქმედება ან წარმოდგენა ქვევით ამ საფეხურებით გარშემორტყმულ ეზოში.[1]) შეიძლება ეს წარმოდგენები იყო საახალწლო ფერხული და ცეკვა და ხარებთან ბრძოლა[2]), რომელნიც დიდად იყვენ გავრცელებული იმ დროს. თუ ეს აზრი მართალია, მაშინ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ თვით საბერძნეთის თეატრი და დრამატიული ხელოვნება მინოსიანთა ამ თეატრებისა და კულტის წარმოდგენებისაგან იყვენ წარმოშობილი. ბერძნული თეატრი მაყურებელთათვის საჯდომებით, რომლებიც თანდათან წრის მზგავსად ამაღლებულ საფეხურებს წარმოადგენდენ, ხოლო ეს უკანასკნელნი კი გარს ერტყმოდენ სრულიად მრგვალ ორხესტროს, სადაც სწარმოებდა დრამატიული წარმოდგენები, ისეთივე აგებულობისა უნდა ყოფილიყო, როგორისაც იყვენ კრეტას უძველეს სასახლეების ეზოში მოთავსებული თეატრები.

მინოსიანთა სხვა და სხვა ნაშთების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ერთგვარი წარმოდგენა ვიქონიოთ იმ დროის ტანსაცმელზედაც. ზევით უკვე გაკვრით შევეხეთ ამ საკითხს, როდესაც მანდილოსანთა ჯგუფს და „პარიზელ ქალს“ ვახასიათებდით. საზოგადოდ ტანსაცმელი, რომელსაც ეგეოსის ეპოქაში ხმარობდენ, არსებითად განსხვავდებოდა შემდეგში ბერძენთა ჩვეულებრივი ტანისამოსისაგან. სხვა და სხვა ნაშთებზე აღნიშნული სურათების მიხედვით მამაკაცებს ერტყათ ქამარი, ალბად ტყავის, რომლისაგანაც დაშვებული იყო წინსაფარი წვივამდი, ხოლო ფეხები თასმებით შემოკრულ ფეხსაცმელებში ჰქონდათ გახვეული. წინსაფრები უბრალო ხალხის და საზოგადოდ ყოველდღიური ტანსაცმელი უნდა ყოფილიყო. საზეიმო შეხვედრის, თუ დღესასწაულების დროს ჰქონდათ სხვა ტანისამოსიც, ამას ამტკიცებს სხვათა შორის აგია-ტრიადის კედლის სურათი, რომელიც რაღაც პროცესიას გადმოგვცემს. [3]) მამაკაცებს აცვიათ გრძელი ფერადი ტანსაცმელი, რომლის ზევით მოუსხამთ ბადის მგზავსი შესამოსი. ბეჭდებზე გამოხატულ მამაკაცთ ხშირად აცვიათ ისეთი ტანსაცმელი, რომელიც ფართო ტომარას ჰგავს და ორივე ფეხს ჰფარავს თეძოდან მუხლამდი. ეს ტანსაც-

[1]) ამგვარად ჩვენ საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ბერძნების მიერ თეატრის მოწყობამდი, მინოსიანებმა უკვე დიდი ხნით ადრე შემოიღეს იგი.

[2]) ამაზე უფრო დაწვრილებით ქვემოდ გვ ქნება ლაპარაკი.

[3]) ეს სურათი ეხლა კანდიის მუზეუმში ინახება.

მელი ძლიერ მოგვაგონებს დღევანდელ კრეტელების განიერ შარვლებს.

ქალები კრეტას სასახლეთა კედლების სურათების მიხედვით ატარებდენ თეძოებიდან ტერფამდი დაშვებულ ქვედატანს, რომელიც ერთი მეორეს ზევით დაკერებულ მატერიის ნაჭრებს წაგავდა და ამიტომაც მაყურებელთათვის რამდენიმე ქვედატანად მოსჩანს. გარე ქვედატანი იყო მოკლე, მის ქვეშ დაშვებული იყო ფართო ჰორიზანტალურ ზოლის სახით შიგნითა ქვედატანი; ქალებს სხეულის ზედა ნაწილი ან ში-

სურათი № 11—ქალის ქანდაკება.

შველი ჰქონდათ, ან დაფარული სახელოებიანი მოკლე კოფტით, თმები მათ ნახვევებად და ნაწნავებად აქვსთ ზურგზე დაშვებული.

იმ დროის ცხოვრებიდან უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც: კნოსის სასახლეში აღმოაჩინეს ძვირფასი ჭადრაკის დაფა, რომელიც გაკეთებულია სპილოს ძვლისაგან და შემკულია ოქროთი, ვერცხლით და მთის ბროლით. როგორც სჩანს, იმ დროის კრეტელები სხვათა შორის ჭადრაკის თამაშითაც ირთობდენ თავს.

კრეტაზე აღმოჩენილი სხვა და სხვა ნაშთი თავის სურათებით საშუალებას გვაძლევს ნაწილობრივ მაინც შევიგნოთ იმ დროის მცხოვრებლების **ხარწმუნოებაც**. ამ მხრივ დიდ დახმარებას გაგვიწევენ: კრეტას სასახლეების ფრესკები, აგია ტრიადის სარკოფაგის სურათები, სხვა-

დასხვა ფიგურები, ქანდაკებანი, და დასასრულ საფლავები, რომელთა დაკვირვებით შესწავლა გაგვაცნობს მიცვალებულთა დასაფლავების წესებსა და საერთოდ კულტს. მაგრამ თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ჩამოთვლილი საგანი, სანამ არ ამოუკითხავთ კრეტას დამწერლობა, სავსებით ვერ გაგვირკვევს კრეტას მითოლოგიისა და კულტის მრავალ საკითხს და ნათელ სურათს ვერ მოგვცემს მათი სათანადოდ გათვალისწინებისათვის. ამიტომაც ბევრ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით კულტთან დაკავშირებული საგნების უბრალო აღწერით დავკმაყოფილდეთ.

უძველეს სარწმუნოებრივი ხასიათის ნაშთებათ, რომლებიც ნახეს საერთოდ ეგეოსის კულტურის სფეროში, შიშველი ღმერთ-ქალის გამოხატულებანი ჩაითვლებიან. კნოსში, ეგრედ-წოდებულ „სამეფო ვილის" მახლობლად იპოვეს მთელი რიგი ქაშანურის (ფაიანსის) პატარა ქანდაკებათა, — რომლებიც უმეტესად ქალის ფიგურებს წარმოადგენენ. ეს ფიგურები ქალის კერპები უნდა იყოს. ამ კერპებში ხშირად ვხვდებით ქალ-ღმერთის თუ ქურუმის გამოხატულებას, რომელსაც უმეტესად თავი შემოკრული აქვს ქუდის, თუ ძველ სპარსელ მეფეთა გვირგვინის მგზავსი თავსახვევით. მართალია, არსებობს აზრი, რომ ეს გამოსახვა კერპი კი არ არის, არც ქურუმი, არამედ გველების დამამშვიდებელი ქალი, მაგრამ ერთი რამ უდაოა, რომ ყველა ასეთ ფიგურას უეჭველად კავშირი აქვს კულტთან. მათი გასაოცარი სიმრავლე, აგრედვე ისიც, რომ ისინი ყოველთვის გვისურათებენ ქალს, სხვა და სხვა ბუნებრივი თვისებით შემკულს, გვარწმუნებს, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ღვთაებასთან, რომლის მიმართ ხაზგასმით აღნიშნულია იდეა დედობისა. მართლაც პირველ უდიდეს საიდუმლოებად, პირველ ამოცანად, რომელიც გაუნათლებელი ადამიანის გონებას იტაცებდა, ბორკავდა და მის ბალღურ აზროვნებას ხიბლავდა და ამოძრავებდა, იყო შეუწყვეტელი ცვალებადობა ბუნების მოვლენათა, მათი წარმოშობა და მოსპობა, გაჩენა და გაქრობა. ადამიანის თვალწინ ყოველდღიურად სწარმოებდა ეს პროცესი წარმოშობისა და მოსპობისა; ამ პროცესს ხედავდა იგი თვის მზგავს არსებათა და ცხოველთა და მცენარეთა შორის, აპასვე ამჩნევდა დღისა და ღამის და წელიწადის დროთა ერთი მეორის შე ვლაში, და სრულიად ბუნებრივად ებადებოდა კითხვა: ვინ განაგებს ამ პროცესს, ვინ არის ამ დაუსრულებელი მოძრაობის ხელმძღვანელი და საქვეთმპყრობელი? თავისთავად ხდება ყოველი-

ვე ეს, თუ რომლიღაც უმაღლესი არსების ნებისყოფით? და მისმა გონებამ ირწმუნა, რომ ამ შეცვლას ხელმძღვანელობს უხილავი ძალა, რომელიც ჰქმნის და სპობს, წარმოშობს და ჰკლავს; იგი აზიარებს ყოველივეს სიცოცხლეს და იგივე აიძულებს განვიდეს სიცოცხლისაგან, მიიცვალოს. ამ ძალას იმ დროის მარტივი აზროვნების ადამიანი ყველაზე უკეთესად ქალ-ღმერთის სახით წარმოიდგენდა. უნდა ვიფიქროთ რომ ეგეოსის ყველა კერპი ამავე ქალღმერთს — დედას გამოხატავდა. გარდა ამისა კრეტის—მიკენის დროის სარწმუნოების დასახასიათებლად საყურადღებოა აგრეთვე ქვის ანუ თიხის ქალის ფიგურები, გულზე დაკრეფილი ხელებით, ხაზგასმით აღნიშნული სქესის მაჩვენებელი ნიშნებით, რომლებიც მრავლად აღმოაჩინეს როგორც კრეტაზე, ისე მის გარეშე. ყველა ეს შიშველი კერპი ალბად აღნიშნავს ღმერთ ქალის წარმოშობისა და სიცოცხლის თვისებებს. კრეტას ერთი პატარა ქანდაკება, რომელსაც არა აქვს არც თავი და არც ხელები, როგორც სჩანს, გამოხატავს არსებითად არა თვით ღმერთ.ქალს, არა მედ მის საკურთხეველში მისდამი შეწირულ ტანსაცმელს. ამ ტანსაცმელზე აღნიშნულია, ღმერთ-ქალის სიცოცხლის მომნიჭებელი თვისება.

სურ. № 12 და 13—ღმერთ-ქალის სურათი კნოსიდან.

ტანსაცმელი შესდგება კოფტისგან მოკლე სახელოებით, კოფტის ქვეშ მოთავსებულია ორგრეხილად შემოვლებული ქამარი, ხოლო ქვედატანს გავლებული აქვს მარაოს მზგავსად დაწყობილი ჰორიზონტალური ზოლები, როგორც ეს ჩვეულებად იყო ეგეოსის ქვეყანაში. ქვედატანის ნაოჭები არ აღწევენ ბოლომდი და უმეტესი ნაწილი წინა პირისა დატოვებულია თავისუფლად; მასზე გატარებულია ტალღის მზგავსი ორფა ხაზი. ქვედატანის თავისუფალ სივრცეზე დასურათებულია ვაზა, რომლისაგანაც ამოსულან დიდ ღეროიანი ყვავილები თუ ნაყოფები.

ეს ტანსაცმელი თვისი სურათით ღმერთ-ქალის ნაყოფიერებისა

და წარმოშობის თვისებას გვიჩვენებს. მეორეს მხრივ ჩვენ ხელთაა ისეთი ფიგურები, რომლებიც ღმერთ-ქალის სხვა თვისებებზე მიგვითითებს, მაგ., არის ერთი პატარა ქანდაკება, რომელიც ღმერთ-ქალის სხვა ბუნებას გვიხასიათებს: ამ შემთხვევაში მას მარჯვენა ხელში უკავია გველის თავი, რომელიც შემოხვევია მის ყელს და მარჯვენა ხელს, ხოლო კუდი გველისა ღმერთ-ქალს მარცხენა ხელში დაუჭერია. ვინაიდგან გველი ძველად საზოგადოდ ქვესკნელის სიმბოლო იყო, როგორც მიწის ხვრელების სულდგმული, ამიტომ ამ ღმერთ-ქალის სახით ჩვენ ალბად საქმე გვაქვს ქვესკნელის ღვთაებასთან. შესაძლებელია, პირველი წარმოდგენა ერთიან ღმერთ-ქალზე თანდათანობით შეიცვალა ორი ღმერთ-ქალის გათვალისწინებით.

სურ. № 14—კნოსის ფიგურა.

სხვა ძველ ხალხებსაც მოეპოვებათ იგივე იდეა მარადიული ცვალებადობის ღმერთ-ქალისა, რომელზედაც დამოკიდებულია დაბადება და სიკვდილი. მცირე აზიაში ასეთი „დიდი დედა“ იყო კიბელა, სეკიანებს ჰყავდათ—იშტარი, ეგვიპტელებს გატორი და სხვა. ჩვენ ყოველ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით არ ვიცით, რას ეძახდნენ ეგეოსის, კულტურის მატარებელნი ამ ორ ღმერთ-ქალს, მაგრამ სამაგიეროდ მათი მოქმედებისა და კულტის ხასიათის გასარკვევად საკმაოდ მრავალი ძეგლი მოგვეპოება.

ამ ძეგლების მიხედვით შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ იმ ძალის ფრიად გავრცელებულ სიმბოლოდ, რომელიც განასახიერებდა დაბადებას, იყო ხე. ამიტომ თითქის ყველა სარწმუნოებაში და მითოლოგიაში ვხვდებით ხეს ქვეყნისას და ხეს სიცოცხლისას. ეგეოსის კულტურის ადგილებში აღმოჩენილ ბეჭდებსა და გამოკრილ ქვებზე ხშირად ვხედავთ ხეების კულტის სცენებს (დენდროლატრიას). იმ ხის მთავარ ღეროს, რომელიც თაყვანისცემის საგნად ხდებოდა, ხშირად შემოვლებული ჰქონდა საკურთხეველის მზგავსი ხის შენობა.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ მინოსიანთა ქალები, რომელთა ხელშიაც იყო კულტის შესრულება, ხშირად ამკობდენ სამსხვეპლოებს ხის ტოტებით; ზოგიერთ შემთხვევაში მათ თვით ეკავათ ხელში სარწმუნოებრივი პროცესიის დროს ასეთი ტოტები. საერთოდ უდაოა დიდი მნიშვნელობა ხეებისა ეგეოსის ეპოქის კულტში. ფესტის ერთ

ოქროს ბეჭედზე შიშველი ქალი ხეს ებღაუჯება და მიწიდან სდგება. ლიგორტინის (კრეტაზეა) ერთ ქვაზე გამოხატულია სხეულის ზედა ნაწილში შიშველი ქალი, რომელიც ლოცვის პოზაში სდგას დაბალი საღვთო გალავანის წინ; გალავნიდან ამოდის შტოებიანი ხე, რომლის წინ ქალი ადორაციის ჟესტით აღმართავს მარცხენა ხელს. გალავანის ერთ მხარეზე დასურათებულია ნახევარი მთვარე, რომელიც ნაყოფიერების ცნობილ სიმბოლად ითვლებოდა და რომელიც მინოსიანთა კულტში ქალურ დასაწყისთან იყო დაკავშირებული [1]).

ძველად ადამიანებმა მალე შეამჩნიეს, რომ მარადიული შეცვლა წარმოშობისა და მოსპობისა სწარმოებს არა მარტო დედამიწაზე, არამედ ვარსკვლავთა ცაზედაც და დღისა და ღამის ერთი მეორის რიგ-რიგობით შეცვლაშიაც და ამ შეცვლის ხელმძღვანელი ძალები წარმოიდგინეს მაღლა, მიუწდომელ სივრცეში, შორს ვარსკვლავთა შორის. ამ სახით წარმოიშვა აზრი ზეციურ ქვეყანაზე, რომელიც გარდაიქცა დედამიწის პირველ სახეთ. ახალმა წარმოდგენამ დედამიწა ზეცის გამოკრთომად ჩასთვალა და ყოველი თვისი მითოლოგიური წარმოდგენა ვარსკვლავთა ქვეყანას დაუკავშირა.

ძველი სარწმუნოებრივი შემეცნება ამ დროიდან ასტრალურ ხასიათს იღებს. რომ ასეთი ცვლილება კრეტას მცხოვრებელთა სარწმუნოებრივ შემეცნებაშიც მოხდა, ამ აზრის დამამტკიცებლად, სხვათა შორის, ჩაითვლება კრეტას ერთი სტეატიტის გემმა, რომელიც შემდეგს გადმოგვცემს: საკურთხეველზე, რომელსაც ტახტის ფორმა აქვს, იზრდება ხე, მის წინ სდგას ქალი, რომელსაც ხელი მკერდზე მიუკრავს, ხოლო გვერდით მოსჩანს მთვარის ნაჭგალი. ასეთ გამოხატულებას კრეტის—მიკენის კულტურის სხვა ადგილებშიაც ვხედავთ. ასეთი სურათები უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ რომ ასტრალურ-მითიური წარმოდგენა ეგეოსის კულტურის მატარებელთა რწმენასაც ახასიათებდა, თუმცა უფრო ძველი შეხედულებაც, იმ მითებში რომ გამოიხატებოდა, რომელიც წმინდა დედამიწური, ნატურალისტური სახეებით მეტყველებდა, სავსებით არ ყოფილა მათში დავიწყებული.

სურათი № 15 კრეტას გემმა.

---

[1]) ყველა ხალხს მთვარე ქალურ არსებად არ წარმოუდგენია, მაგ. ქართული ხალხური შეხედულებით მთვარე სქესით მამაკაცია (იხ. პროფ. ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“ I. გვ. 117).

ზევით ჩვენ აღვნიშნეთ ის ფაქტი, რომ ეგეოსიანთა კულტში თვალსაჩინო ადგილი ეკავა ხეს. ამ აზრის დასამტკიცებლად საჭიროდ მიგვაჩნია მოვიგონოთ კიდევ რამდენიმე ‘ბაგალითი.

კრეტას მახლობლად მდებარე კუნძულ მოხლის ერთ ბეჭედზე გამოხატულია გემი, რომელზედაც ანძის მაგიერ ამართულია ფოთლებიანი ხე, მის წინ კი მჯდომარე მლოცველი ქალი. ეს ხე ალბად სიცოცხლის და ნაყოფიერების სიმბოლო უნდა იყოს.

სიცოცხლის ხე ეგეოსის ხელოვნებაში გადმოცემულია ხშირად დამოუკიდებლად და გამოხატულია საკმაო სიცხადით. კრეტას სარკოფაგზე ხე ალბეჭდილია მცენარის სახით, რომელსაც ოთხი დიდი ფოთოლი აქვს; ფოთლებზე სხედან გედები, ხოლო თავისუფალ სივრცეში დაცურავენ თევზები. ხეები და ფრინველები ალბად სიმბოლიური განსახიერება უნდა იყოს, როგორც ამ ქვეყნიური მსოფლიოსი, ისე ზექვეყნიურის დანაწილებისა წყლის, მიწის და ჰაერის მხარეებად.

სურათი № 16—კნოსის ბეჭ დი ლმერთ-ქალით.

როგორც ზევით უკვე იყო აღნიშნული, გარდა სიცოცხლის მომნიჭებელი თვისებისა, ლმერთ-ქალის მეორე თვისების-სიცოცხლის მოსპობის-აღნიშვნასაც ხშირად ვხვდებით კრეტას ძეგლებზე. კნოსის ერთ ბეჭედზე ლმერთ-ქალი სდგას კლდეზე, მის იქით მოსჩანს საკურთხეველი, ხოლო საკურთხევლის წინ მამაკაცი, კლდის ორივე მხარეზე უკანა თათებით სდგანან ლომები; ლმერთ-ქალს აცვია ნიკეცოვანი ქვედატანი და მარცხენა ხელში უკავია მშვილდი, რომელსაც იგი მარჯვენა ხელით სწევს. ამ სურათში ლმერთ-ქალი გადმოცემულია მონადირედ, რომელიც შორს სტყორცნის ისარს.

საზოგადოდ სხვა და სხვა ადგილას ეგეოსის გემმებზე ლმერთ-ქალი ხშირად არის დასურათებული, როგორც „მხეცთა მბრძანებელი“. იგი ნადირობს მათზე და მის გვერდით ჩვეულებრივად ვხედავთ ლომებს, რომლებიც მას ალბად ნადირობაში ეხმარებიან. ეგეოსის ეს ლმერთ-ქალი, მხეცთა მბრძანებელი, თვით ბერძენთა არქაულ ხელოვნებამდის ხშირად აღიბეჭდებოდა ლითონის საგნებზე და ვაზის მხატვრობაზე.

ამოკრილ ქვებზე ხშირად გვხვდება სხვა და სხვა გამოხატულებანი მრავალგვარი სახის ფანტასტიურ არსებათა—**დემონების**, რომლებიც ადამიანთა და ცხოველთა ფიგურების უცნაურ შეერთებას წარმოად-

გენენ. ასე, მაგალითად, ვხედავთ ფიგურას ხარის თავით და გრძელი კუდით, მისი მარცხენა ხელი შტოს წააგავს, წინ კი ჩამოშვებული აქვს გასაოცრად დიდი ქალის მკერდი. ვნახავთ აგრეთვე ფრთოსან მამაკაცთა ფიგურებს ვერძის თავით, ხოლო ქალების ფიგურებს ფრინველების სახით. ასეთ გამოხატულებას განსაკუთრებით შეხვდებით კრეტაზე კატო ზაკროს მახლობლად აღმოჩენილ ბეჭედებზე. ერთ მათგანზე გამოხატულია გრძელ ნისკარტიანი ფრინველი, რომელსაც წინ ქალის ორი გრძელი მკერდი აქვს. მეორე ფიგურას ფრინველის თავი და ფრთები აქვს, ხოლო ნათლად გამოსახულ ქალის მკერდების ქვემოთ მოსჩანს ქალის სხეული ტანსაცმელში. აქვე შიშველი ქალის ფიგურას აგრეთვე ქალის დიდი ორი მკერდით აქვს ფრინველის ფრთები და კუდი და ხარის თავი. ასეთი შერევა ადამიანის სხეულისა ფრინველთა ნაწილებთან და სხვა და სხვა ცხოველთა თავებთან გვხვდება სხვა და სხვა ვარიანტით. არიან მათ შორის ისეთებიც, რომელთაც ხელთ უკავიათ დოქები.

შეიძლება ყველა ამათ კავშირი ჰქონდეთ ნაყოფიერების ღმერთქალთან. ამ აზრს ოდნავ ასაბუთებს ის გარემოება, რომ ულანასკნელი სახის არსებათ ხშირად დოქები კი არ უკავიათ, არამედ მხრებზე მიეზიდებიან მოკლულ ცხოველებს. შეიძლება ეს უცნაური არსებანი ღმერქალის მეორე თვისების—მოსპობის განსახიერებას წარმოადგენდენ. საერთოდ ამ დემონების შესახებ დღემდის დაბეჯითებით ამაზე მეტის თქმა არ შეიძლება.

კნოსში და ბევრგან სხვა ადგილას გვხდება ხარის რქების გამოხატულება. ჩვენ შევხვდებით მათ კედლებზე, ვაზებზე, ქვებზე, საფლავებზე. მათ აკეთებდენ გიპსისაგან, სტეატიტისაგან და ლითონისაგან. უნდა ვიფიქროთ, რომ ხარი კრეტაზე ითვლებოდა საღვთო ცხოველად, თვით ღვთაების განხორციელებად თუ მის კუთვნილებად. ხოლო რადგან რქები ხარის უმთავრესი ნაწილია, მაშასადამე იგი ამავე დროს ღვთაების კუთვნილებად თუ ნიშნად, კულტის საგნად იქნებოდა მიღებული. უფრო გარკვეულად სხვა რამის თქმა კრეტის კულტში ხარების რქების მნიშვნელობის შესახებაც ამ ჟამად არ შეგვიძლია.

კულტს უკავშირებენ აგრეთვე ისეთ მოქმედებათ, როგორიც არის დაპერა და მოშინაურება ხარებისა, მათზე გადახტომა, მათთან ბრძოლა. ალბად ყოველივე ეს რიტუალში, ღვთის მსახურების წესში შედიოდა. რასაკვირველია, შემდეგში მათ თანდათანობით დაეკარგებოდათ კულ-

ტის ხასიათი და ხარების ბრძოლა გადაიქცეოდა უფრო სპორტად, გასართობ მოვლენად. მრავალ ადგილას გვხვდება ჩვენ გაქცეული ხარი

სურათი № 17—ხარის თავი ორპირი ცულით.

და მის რქებზე მამაკაცი. კნოსის სასახლის კედელზე გადმოცემულია ხარი, რომელიც გაჩქარებული გარბის, მის წინ კი დამშვიდებულ პოზაში სდგას ქალი, რომელიც შესაფერ წამს უცდის, რომ ხარს რქებში ხელი სტაცოს. ხარის ზურგზე ხელებით გადაკიდებულია მამაკაცი. კრეტას ერთს ამოჭრილ ქვაზე აბრის აგრედვე ასეთი სურათი: ფეხებ-მოკეცილი ხარი წყნარად წევს მიწაზე, ხოლო მამაკაცს მისთვის რქებში წაუვლია ხელი და ერთგვარად გადაკიდებული გადადის მასზე. ყველა ასეთი სცენის შესახებ მეცნიერებში დღემდის სხვა და სხვა აზრი არსებობდა: ზოგი ფიქრობდა, რომ მათში გადმოცემულია გარეული ხარების დაჭერა, ზოგიც—რომ საქმე გვაქს აკრობატთან, რომელიც მაყურებლებს თვისი სიმარჯვის და მოხერხების მაგალითს უჩვენებს. მაგრამ ყველაზე უფრო

სურათი № 18—კრეტას გემმა ხარით.

მართებულად მათი ახსნა შეიძლება, თუ ძველ მითოლოგიურ გადმოცემებს მოვიკონებთ. უძველეს დროს დიდად ყოჟილა გავრცელებული გადმოცემა იმ გმირის სასახელო საქმეებზე, რომელსაც იტაცებდა და ჰყლაპავს გველეშაპი, მაგრამ რომელიც გველეშაპის გვამში ყოფნის დროს ამარცხებს მას და მესამე დღეს უვნებლად გამოდის საოცარ არსებაზე გამარჯვებული [1]). ამ მითს უეჭველად კავშირი აქვს მთვარის ფაზებთან. უკვირდებოდა რა მნათობებით და ვარსკვლავებით დაფარულ ცას, ადამიანი ცხადად ხედავდა, რომ ნათელ მთვარეზე ჩნდება ბნელი ნაწილი პირველად პატარა ზოლის სახით; შემდეგ იგი თანდათან იზრდება და მთვარის დისკოს უფრო დიდს ადგილს იკავებს, სანამ სრულიად არ დაფარავს მას; მაგრამ მთვარის ბნელით მოცულ დისკოზე სამი დღის შემდეგ კვლავ იწყება გაბრწყინვება, ჩნდება ვიწრო ნათელი—ნამგალის სახით; ასევე სამი დღის შემდეგ მითის მიხედვით გველეშაპის მუცლიდან გამარჯვებული გამოდის გმირი. ხშირად მითებში გველეშაპის ადგილს იკავებს ზღაპრული შენობა მრავალი დაბნეული შესაველელით. ამ მიხვეულ-მოხვეულ შენობაში შიდის გმირი, ერკვევა მის ტალანებში, ამარცხებს გველეშაპს და უვნებლივ ბრუნდება თანხლებით თვისი ამხანაგებისა, რომელნიც ყოველთვის ან 7 და ან 9 არიან. ეს რიცხვი მთვარის კვირის ლამეთა რიცხვს უნდა ეთანაბრებოდეს. ზემოდ ხსენებულ შენობის მზგავსად უნდა ჩავსთვალოთ კრეტას ლაბირინტი, რომელშიც თეზეოსმა მოჰკლა მინოტავრი. კნოსის ფულებზე ხშირად ვხედებით გამოხატულებათ მინოტავრისას და ლაბირინტისას.

ამგვარად, თვისი ფაზების მუდმივი ცვალებადობის გამო, მთვარე მითებში იღებს სახეს მარადიული დასაწყისისა და დასასრულის გმირისას. ამ ნიადაგზე შემდეგში კულტთან დაწესებულ იქნა მითების წარმოდგენა და მთავარი მითის გმირებს განასახიერებდენ სიმბოლოების საშუალებით. ხოლო როცა მზის წლის კალენდარული ანგარიში შემოიღეს, ამ სიმბოლიურ საზეიმო წარმოდგენათ ასრულებდენ წლის დასაწყისში—ახალ წელს. მთავარი მოძენტები ამ დღესასწაულებისა იყო წარმოდგენა გმირის გამარჯვებისა ხარის მზგავს არსებაზე და ფერხული მისი თანამგზავრთა, რომელნიც თვისი ცეკვით თითქოს განასახიერებდენ გმირის და მის თანმხლებელთა მსვლელობას და მოძრაობას ლაბირინტის მიხვეულ—მოხვეულ ტალანებში. სხვათა-

1) შეადარე ყოველივე ეს წინასარმეტყველის იონას ამბავს.

შორის მინოსიანთა კულტთან დაკავშირებული ცეკვის შესახებ დღეს აღმოჩენილ ძეგლების მეოხებით უკვე შეგვიძლია ვიქონიოთ ერთგვარი წარმოდგენა. კნოსის მახლობლად არსებულ პატარა გორაკ სოპატზე, რომელიც ცნობილი ნეკროპოლისის ზაფურ-პაპურის დაახლოებით მდებარეობდა, 1904 წელს ევანსმა აღმოაჩინა ძვირფასად აგებული აკლდამა, რომელიც მასში ნახული საგნების მიხედვით გვიან-მინოსური ეპოქის მეორე ნაწილს უნდა ეკუთვნოდეს. რამდენიმე წლის შემდეგ, სახელდობრ, 1909 წლის ივნისში ამ აკლდამის მახლობლად ევანსმა აღმოაჩინა მეორე აკლდამა, სამწუხაროდ ძველადვე გაძარცვული, მაგრამ შემთხვევით მასში შენახულიყო რამდენიმე საგანი, რომელთა მიხედვით ეს მეორე აკლდამა გვიან-მინოსური ეპოქის პირველ ნაწილს უნდა მივაკუთნოთ. სოპატის აკლდამაში აღმოჩენილ ნივთთა შორის ყველაზე ძვირფასია ერთი ოქროს ბეჭედი.

ეს ბეჭედი კარგად არის შესრულებული და ძვირფასად შენახული[2]. მასზე მოთავსებული სცენა საკმაო სიცხადით და სითამამითაა აღბეჭდილი, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ემჩნევა არა—თანასწორობა შესრულებისა. მაგ., ფიგურების გადმოცემისას ხელოვანს ერთისათვის გაუკეთებია ადამიანის თავის მზგავსი რამ, სხვებისთვის კი მიუცია რალაც უფორმო ბოლო. აგრედვე დაუდევრობით არის გამოხატული მათი თმა. ერთ ფიგურას თმები აღნიშნული აქვს წერტილებით,—ორს საოცარ ტალღის მზგავს ხაზების სახით, ერთს კი სრულიად არ აქვს იგი. ამასთანვე მხატვარს არ დაეიწყებია მინოსიანთა მოდა და წერტილებით აღუნიშნავს თითოეული ფიგურისათვის „პრიჩოსკა", რომელიც მათ დაშვებული აქვსთ შუბლზე პატარ-პატარა კულულებათ. უყურადღებოდაა აგრედვე შესრულებული ფიგურების ფეხები; მარტო ერთი ფიგურის ფეხებია ბუნებრივ მდგომარეობაში გადმოცემული. მიუხედავად ყოველივე ამისა, ბეჭედზე მოთავსებული სცენა თავის დროის მიხედვით საკმაოდ კარგად არის შესრულებული. მაგრამ რას წარმოადგენს თვით სცენა?

ბეჭდის მარჯვენა მხარეზე გამოხატულია ორი ქალი. ერთ მათგანს, რომელიც ნიადაგის ხაზზე იმყოფება და ფეხის წვერი წინ წამოუწევია, აცვია ქვედატანი cloche სიგრძეზე ფართო ზოლით, რო-

---

[2]) იხ. ბოგაევსკი: „Новое минойское кольцо с изображением культового танца." (Записки классич. отдел. импер. русск. арх. общ. ტომი VII 1913 წ. გვ. 52—78).

მელთან თავს იყრის წერილი გარდი-გარდმო ნაკეცები. ზევით ქვედატანი თავდება ფართო რამდენადმე წინ წამოწეული ქამრით, რომელიც მოგვაგონებს კნოსის სასახლეში აღმოჩენილი ღმერთ-ქალის ფაიფურის ქანდაკებების ქამრებს. ქალის სხეულის ზედა ნაწილი მკაფიოდ წინ წამოწეული მკერდით—შიშველია; ხელებზე იდაყვის ზემოთ მას, თანახმად მინოსიანთა გავრცელებული მოდისა, წამოცმული აქვს ფართო მრგვალი სამაჯური.

პირველი ქალის ზემოთ, მისგან ცოტა დაშორებით, სდგას მეორე ქალი, რომელსაც იმავე გამოპრილობის ქვედატანი აცვია; მარცხენა ხელის სამაჯურიდან მას დაშვებული აქვს შვიდი ბურთული, რომლებიც, ალბად, ძეძკვის მზგავს შანას უნდა გამოხატავდეს. ორივე ქალს სხეული ოდნავ უკან გადაუხრიათ, თავი მაღლა აუწევიათ და სდგანან დანდობილი მარცხენა ფეხზე, მარჯვენა კი წინ გამოუწევიათ, ხოლო ხელები ბეჭდის ზედა ნაწილში მოთავსებულ პატარა ფიგურისაკენ მიუპყრიათ. მეორე ფიგურის ქვემოთ, რამდენადმე მარცხნივ და მისკენ ზურგით, არის ქალის მესამე ფიგურა; ამ ქალის წინ სურათზე მოსჩანს ბუჩქი ფართო ფურცლებით და ყვავილებით, რომლებიც წერტილებითაა გადმოცემული. ამ ბუჩქის აღნიშვნით მინოსიანთა მხატვარს, რომელიც არ იცნობდა პერსპექტიულ დამოკიდებულებათა წესებს, ალბად სურდა ეჩვენებია, რომ მესამე ქალი სდგას უფრო სხვა გეგმაზე, ვიდრე ორი პირველი ფიგურა.

პირველი ორი ქალის მზგავსად მესამე ქალსაც ქვედატანი cloche აცვია, მაგრამ უფრო ძვირფასად შემკული. მისი ქვედატანის ორივე მხარეს ზემოდ დატანებული აქვს გაგრძელებული სამკაულები, რომლებიც უნდა წარმოადგენდენ ოქროს ვიწრო და თხელ ფირფიტებს, რაც აგრე ხშირად გვხვდება მინოსიანთა კრეტას საფლავებში. ქალების სამკაულთა შორის უნდა იყვენ პატარა ჯვრებიც, რომელთაც საერთოდ ეგეოსის კულტურაში უეჭველად საკრალური ხასიათი ჰქონდათ.

მესამე ქალის პოზა საყურადღებოა: ის სდგამს დიდ ნაბიჯს, მარცხენა ფეხი მოუხრია, ხოლო აგრეედვე მოხრილი მარჯვენა წინ გამოუწევია. სხეული მას რამდენადმე წინ გადაუწევია და ძლიერი მოძრაობით ჰხრის „თავს“, მარცხენა ხელი თავისუფლად აქვს დაშვებული, ხოლო იდაყვთან მოხრილ მარჯვენა ხელში ოკავია მარაოს ბზგავსი საგანი, რომელიც თითქოს ყვავილთა კონას უნდა წარმოადგენდეს გვიან-მინოსური ეპოქის სტილიზაციის ჩვეულებრივ ფორმაში. ბეჭდის

მარცხენა მხარის ხაზზე, რომელიც ნიადაგს გადმოგვცემს და რომელზედაც პირველი ფიგურა სდგას, არის კიდევ ერთი ქალი, რომელსაც აგრეთვე ძვირფასად მორთული ქვედატანი აცვია. ეს ქალი გადმოცემულია ძლიერ მოძრაობაში. მას სხეული უკან გადაუწევია და ოდნავ დაუხრია თავი. იგი, მარცხენა ფეხზე დანდობილი, მარჯვენათი სდგამს ჩქარ ნაბიჯს. ქალს ცხადი მღელვარებით ორივე ხელი სახის პირის-პირ აუპყრია. მეოთხე ქალის უკან ვხედავთ პატარა ბუჩქს, რომლის გვერდით ნიადაგის ხაზის ქვევით, მოსჩანს მეორე დიდი ბუჩქი ფართო ქვედა ფურცლებით და სამი მაღალი ღეროთი, რომლებზედაც იშლება ყვავილები.

გარდა ქალების ფიგურათა სურათზე მოთავსებულია რამდენიმე წვრილი საგანი. ბექდის ზედა მარჯვენა ნაწილისაგან, მეორე ქალის გამოშვერილ ხელების და ჰაერში მონავარდე პატარა ფიგურის გვერდით, მიემართება თმასავით წვრილი ტალღის მზგავსი ხაზი, რომელიც მცირე შეწყვეტის შემდეგ, ისევ გრძელდება მესამე ქალის მარცხენა მხარეზე.



სურათი № 19—სოპატის ბექდის სურათი.

ეს ხაზი წინასწარ განზრახვით უნდა იყოს გატარებული და შეიძლება იმ ადგილების ნაკეცებს აღნიშნავდეს, სადაც ამას მოითხოვს ფიგურათა ხელების და თავების მდებარეობა. ბექდის ზედა მარცხენა ნაწილში მოთავსებულია ვამოსატულება საგნისა, რომელიც ხის შტოს უნდა

წააგავდეს. ხსენებული საზის ქვემოთ მესამე ქალის წინ მხატვარს გადმოუცია თვალის გამოხატულება. ასეთია სოპატის ბეჭდის ფრიად საყურადღებო სურათი. რაკი მის გარეგან ხახეს გაეცანით, საჭიროა გავითვალისწინოთ მისი შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობა და ბგრეედვე სცენის საერთო დანიშნულება.

ამ მხრივ უპირველესად ყოვლისა ყურადღება უნდა მივაქციოთ ბეჭდის ზედა მარჯვენა ნაწილში მოთავსებულ ჰაერში მონავარდე პატარა ფიგურას, რომელიც პროფილით არის გადმოცემული. [1]) ეს ფიგურა, რომელსაც მინოსიანთა ჩვეულებრივი ქვედატანი აცვია, ალბად ქალურ არსებას გადმოგვცემს. იგი, როგორ სჩანს, ძლიერ მოძრობას განიცდის; თმები, რომლებიც, როგორც მეორე ქალს, წერტილებით აქვს აღნიშნული, მას თავის უკან ძალზე გაშლია. ერთი ფეხი მას წინ მიუმართავს, ხოლო ხელები მესამე ქალის ფიგურისაკენ მიუქცევია.

ჰაერში მონავარდე ასეთ პატარა ფიგურებს სხვა ძეგლებზედაც ეხედავთ; მაგ. კნოსის ერთ ვერცხლის ბეჭედზე ქალის წინ, რომელიც აპყრობილი ხელებით სდგას საღვთო ზღუდის მახლობლად, ჰაერში დასრიალობს ღვთაება გაშლილი თმებით. საზოგადოდ შეიძლება ვი-



სურათი № 20 ღვთაების გამოცხადება ქალისადმი.

ფიქროთ, რომ სოპატის ბეჭდის პატარა ფიგურა არ არის უბრალო არსება. ადვილად დასაშვებია, რომ იგი ღმერთ-ქალი იყოს. თუ ამ აზრს გავიზიარებთ, მაშინ ამ სცენას სარწმუნოებრივ ხასიათი ეძლევა. მაგრამ როგორი? ან რაში ვამოიხატება სურათზე აღბეჭდილი ქალების როლი?

---

[1]) ჩემის აზრით სურათის შინაარსი კარგად აქვს განმარტებული ბოგაევსკის ხსენებულ წერილში. რომლის ახსნასაც ზოგადად მეც ვიზიარებ.

ამის გასარკვევად საჭიროდ მიგვაჩნია ერთხელ კიდევ გადავავლოთ თვალი იმ მდგომარეობას, რომელშიაც ხსენებული ქალები იმყოფებიან. პირველი და მეორე ქალის ფიგურები მხატვარს ერთ ხაზზე მოუთავსებია, მეორე პირველის უკან, ცოტა ზევით, ხოლო მესამე დანარჩენებზე მაღლა. ქალთა ყველა ეს ფიგურა წრეში უნდა იყოს მოთავსებული. გარდა ამისა ორი პირველი ქალი გადმოცემულია მშვიდობიან პოზაში, მესამე პირიქით ძლიერ მოძრაობაში, რაც შემდეგიდან სჩანს: იგი ნელა მიიწევს წინ, სხეული წინ დახრილი აქვს, თავი რამდენადმე დაშვებული, მარჯვენა ხელი ოდნავ გადაგდებული. მეოთხე ქალიც დიდ მოძრაობაშია: მას თავი ოდნავ დაუხრია და ორივე ხელი მაღლა აუპყრია. ამგვარად ეს სცენა ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ორი ქალი მშვიდად სდგას და ხელები ქალ-ღმერთის ფიგურისაკენ მიუშვერია, ორი კი ძლიერი მოძრაობის სხვა და სხვა პოზაში იმყოფება. თუ ამ სცენას ასეთ ახსნას მივსცემთ, მაშინ ჩვენ თვალწინ წარმოსდგება წრის ცეკვა: თითოეული მათგანი ცეკვავს დამოუკიდებლათ და ასრულებს ირგვლივ მოძრაობას. მათკენ მოისწრაფვის ღვთაება, რომელიც ეს არის გამოჩენილა და სიჩქარით ეშვება ზევიდგან. ქალები ცეკვავენ ახდილ ცის ქვეშ მინდორზე, რომელიც დაფენილია საუცხოო ბუჩქებით, და ცეკვის შესრულების დროს, მის დამთავრებამდი, ცაზე უკვე ჩნდება ღვთაება და ორი ქალი ლოცვით აღავლენენ მისდამი ხელებს. ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვქონდეს მაგიური ხასიათის კულტის ცეკვასთან. ირგვლივ აჩქარებულ ტრიალში მინოსიანთა ქალები ასრულებენ ცეკვას და იმორჩილებენ ღვთაებას, რომელიც ცეკვის ზეგავლენას განიცდის და ჩნდება ცეკვის დამთავრებამდი. ორმა პირველმა ქალმა ყველაზე წინ დაინახა გამოჩენილი ღვთაება და მისდამი მიაპყრო ხელები. მეოთხე ქალი ის იყო ათავებდა თვის მოძრაობას, რომ შეამჩნია ღვთაების ეპიფანია, გაცვიფრებით და სარწმუნოებრივი პატივისცემით აუწევია მას ხელები და ალბად თვისი ამხანაგების მზგავსად იგიც მათ ღვთაებისაკენ მიაპყრობს. მესამე ქალი ჯერ კიდევ ძლიერ მოძრაობაშია და ყვავილების კონით ხელში განაგრძობს ირგვლივ ტრიალს.

ამ ფიგურათა შორის მესამე ქალი ცენტრალური პიროვნების შთაბეჭდილებას ახდენს. იგი უფრო თვალსაჩინო ადგილზეა მოთავსებული და მის გარშემო ანიშნულია სხვადასხვა სიმბოლო. მას ცეკვის დროს ხელთა აქვს, როგორც უკვე იყო ნათქვამი, ყვავილების კონა, რომლისაგანაც იგი თითქოს ისუნთქავს ძლიერ სურნელოვანებას.

ბარჯვნივ ამ ქალისაკენ სიჩქარით ეშვება ღვთაება და მისკენ იშვერს ხელებს. მის მარცხნივ არის სხვადასხვა სიმბოლო; ზევით კი გამოხატულია ხის ტოტი, რომელსაც, მართალია, ეგეოსიანთა ყველა სარწმუნოებრივ პროცესიაში თვალსაჩინო ადგილი ეკავა და მისი მოხმარება დაკავშირებული იყო ხეების კულტთან, რომელსაც თავის მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მინოსიანთა სარწმუნოებრივ შემეცნებაში, რადგან მოზარდი ხე, ალსავსე ცოცხალი წვენით, იმ დროის წარმოდგენით ციწროდ იყო დაკავშირებული ადამიანის ნაყოფიერების ძალასთან და ანიმატიურ შეხედულებათა მიხედვით განუწყვეტლივ იღებდა მონაწილეობას ადამიანის ცხოვრებაში; მაგრამ ამ შემთხვევაში შეიძლება ის აზრი აღვიაროთ, რომ სოპატის ბეჭედზე გამოხატულ ტოტს არ ჰქონდა მხოლოდ ბუნების ნაყოფიერების სიმბოლოს მნიშვნელობა; არამედ ადვილად მისაღებია, რომ მესამე ქალის წინ ხის ტოტის, ყვავილების კონის და ბუჩქების დახატვით მხატვარს უმთავრესად ის უნდოდა ხაზგასმით აღენიშნა, რომ ქალების ცეკვა გაშლილ სივრცეში, მცენარეთა სამეფოში სწარმოებსო. ჩვენ დავინახეთ, რომ მესამე ქალის მარცხნივ მოთავსებულია აგრეთვე თვალი ხარისა, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მიკუთვნილი მინოსიანთა სარწმუნოებაში. რაკი ჩვენ სოპატის ბეჭდის სცენა—კულტის ცეკვათ ვსცანით, უნდა დავუშვათ ისიც, რომ ეს თვალი მოცეკვავე ქალებისაგან განსდევნის ყოველვვარ ბოროტ მოელენას, ცუდ ზრახვებს და მოფიქრებათ და ამით ჰქმნის მათთვის სრულ შესაძლებლობას, რათა მთელი არსებით მიეცენ ღვთაების ხილვის მოლოდინს და სარწმუნოებრივ ექსტაზს.

ამ სურათის მიმართ აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება, სახელდობრ ის, რომ ცეკვაში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ ქალები და რომ მოქმედება სწარმოებს ბუნების წიაღში, ყვავილებით დაფენილ მინდორზე.

ყოველივე ზემოდ ნათქვამს რომ სათანადო დასკვნა გავუკეთოთ, სოპატის სურათი ასე უნდა წარმოვიდგინოთ: საუცხოო ბუჩქებით და ყვავილებით დაფარულ მინდორზე ოთხი ქალი, რომელთაც ოქროს სამკაულებით შემოვლებული ფართე ქვედატანი აცვიათ, ასრულებენ ექსტატიურ ცეკვას თვალის მფარველობის ქვეშ, რომელიც ყოველივე ბოროტს განაშორებს მათ. ქალები გულმოდგინეთ და გატაცებით იწვევენ ღვთაებას. მათ მინოსიანთა ქვეყანაში დაწესებული ჩვეულებისამებრ სხეულის ზედა ნაწილ შიშველი აქვსთ; ქალების მკერდი მხატვარს

წინასწარი განზრახვით განსაკუთრებული სიცხადით გადმოუცია; ბათი მკერდი თითქოს ისევე ივსება გარემოცული მცენარეთა ნაყოფიერი ძალებით, როგორც ჯეჯილი იღებს და ივსება დედამიწის მაცოცხლებელი წვენით. ქალთა შორის განსხვავებულია ერთი. იგი იწყებს ცეკვას: დანარჩენები მისდევენ მას და ასრულებენ ცეკვის სხვა და სხვა მოქმედებას, რომელსაც მიზნად აქვს ღვთაების მოვლინება.

განხილული კულტის ცეკვის თვალთაზრისით საყურადღებოა კნოსის სასახლეში აღმოჩენილი დიდი ფრესკაც: რამდენიმე ათეული ქალი შეკრებილა დიდი გალავანის იქით და მოწყობილა მაღალი განფენილი ხეების ქვეშ. სხვა ქალები წინა გეგმაზე ასრულებენ ცეკვის მოძრაობათ; მათ წინ გაუშვერიათ ხელები ისე, როგორც პირველ ორ ქალს სოპატის ბექედზე. მთელი ეს სცენა კულტისა სწარმოებს გალავანში, რომლის იქით თავი მოუყრიათ მამაკაცებს. აღსანიშნავია, რომ ძველად საბერძნეთშიც არსებობდა კულტის მოქმედებათა განსაზღვრული ციკლი, რომელთა შესრულების დროს მამაკაცებს დასწრება აკრძალული ჰქონდათ. კულტის ცეკვის ხასიათი უნდა ჰქონდეს აგრეთვე სიტიის (კრეტაზეა) ტერაკოტურ ჯგუფს: მასზე აღნიშნული ჯგუფი თითქოს გადმოგვცემს თავისებურ ფერხულს; სამი ქალი (მეოთხეც უნდა ყოფილიყო, რადგან ამის ნიშნები ნათლად სჩანს), რომელთაც ერთი მეორესათვის ჩაუკიდებიათ ხელი, ფერხულში ჩამბულან და წრის ცეკვას მისცემიან. წრის შუაგულში წდგას ქალი, რომელიც რომელიღაც ინსტრუმენტზე უკრავს. ფრთებ გაშლილი მტრედი, რომელიც მოცეკვავეთა წინ არის მოთავსებული, გვაფიქრებიებს, რომ ცეკვა სრულდება მის, როგორც მინოსიანთა ერთ-ერთი ღმერთქალის ფრინველის, საპატივცემოთ. [1]) მაგრამ ვერც ერთი ეს სურათი ვერ გადმოგვცემს იმ განწყობილებას და ცხად განსახიერებას, რომელიც ახასიათებს სოპატის ბექედის სცენას. ეს უკანასკნელი მართლაც ძვირფასი ნაშთია მინოსიანთა კულტთან დაკავშირებული ცეკვის გათვალისწინებისათვის.

ძველ კრეტას ნაშთებზე ხშირად არის მოთავსებული გამოხატულება **ორპირიანი ცულისა.** კნოსში მას, როგორც იყო ნათქვამი, განსაკუთრებული დარბაზი ჰქონდა აგებული — „**დარბაზი ორპირიანი ცულის**" საზოგადოდ ეგეოსის კულტურაში ორპირიან ცულს დიდი ადგილი ეკავა: იგი არა მარტო საოჯახო საგანი იყო, არამედ მას ხშირად აკე-

[1]) თუმცა საეჭვოა, ეს მტრედი ეკუთვნოდა თუ არა ამ ჯგუფს, თუ შემდეგში მიუმატეს მას.

ოებდენ ძვირფასი მასალისაგან და მაშინ იგი მეფეებისა და მაღალი



სურათი № 21—სიტიის ტერაკოტური ჯგუფი.

წოდებათა წარმომადგენლებისთვის მათი მაღალი ღირსების გამომხატველი გარეგანი სიმბოლო იყო, ესე იგი რაღაც სკიპტრის მზგავსი ნიშანი. გარდა ამისა მას დამოუკიდებელი სიმბოლის მნიშვნელობაც ჰქონდა. აგიბ ტრიადის სარკოფაგზე გადმოცემულია კულტის სცენა, რომელშიაც თვალსაჩინო ადგილი უკავია ორპირიან ცულს. იგი მიკრულია მაღალ ვერტიკალურ ხარიხაზე, ხოლო მის ზევით ზის მტრედის მზგავსი ფრინველი. მეორე შემთხვევაში ცული მოთავსებულია ქვებით შემოკრულ საძირკველზე; ეს უკანასკნელი კი ამართულია სამსხვერპლოს მზგავს დაბალ შენობის წინ, რომლისაგან გამოდის მცენარე; მარცხნივ მის წინ სდგას ქვის ბოძი, ამის წინ კი ქალი, რომელსაც ხელში უკავია კალათი ხილით და დოქი. იგი ალბად მსხვერპლს სწირავს. სხვა ადგილას ეხედავთ ორ ცულს ფრინველებით. მათ შორის სდგას დიდი ჭურჭელი შესაწირავის მისაღებად. ამ ადგილს უახლოვდება სამი ქალი, ორი მათგანი, როგორც სჩანს, უკრავენ ჩონგურზე, მეორე კი მხრებით მიეზიდება ორ კალათს, ალბად შესაწირავი ხილით. კრეტას ერთ ქვის ფორმაზე სხვა და სხვა სიმბოლოებს შუა, რომლებიც წრეს წარმოადგენენ პატარა ჯვრებით, სდგას ქალი,

როგორც სჩანს ღმერთ-ქალი, მას მკერდი შიშველი აქვს და აპყრობილ ხელებში უკავია ყვავილები; აქვე ეხედავთ მეორე ქალს, პოზით და

სურათი № 22—აგია ტრიადის სარკოფაგის სცენა.

ჩაცმით ისეთსავე, როგორც პირველი, ხოლო იმ განსხვავებით, რომ მას ყვავილების მაგიერ ხელში უკავია ორ პირიანი ცულები. [1]) ცხადია, ცულს დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ძველ კულტში. მაგრამ იბადება კითხვა, რა ადგილი ეკავა მასში? ამის შესახებ ძნელია საბოლოოდ გარკვეული აზრის გამოთქმა. და ეს არც გასაკვირველია, რადგან წერილობითი საბუთები არ მოგვეპოება და ან თუ მოგვეპოება, არ არის ამოკითხული და უფრო სურათების დაკვირვებისა და შედარების მიხედვით გვიხდება დასკვნების გამოტანა. ერთის მხრივ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ცული ნიშანი იყო მამაკაცური ღვთაების, ქეხილისა და ელვის ღმერთის, ზეციური ღმერთის, დედამიწის განმაყოფიერებელის; მაგრამ მეორეს მხრივ ასეთივე უფლებით შეგვიძლია დავუშვათ, რომ იგი ქალური ღვთაების სიმბოლოა, დიდი ღმერთ-ქალის-დედის, ნაყოფიერების ღმერთ-ქალის, სიცოცხლის შემომქმედი ძალის.

თვით ცულის ბერძნულ სახელწოდებას—Labrys (რომელიც ლიდიურიდან არის ნასესხები) უკავშირებენ ლაბირინტს, რომელიც თით-

[1]) ამის შესახებ იხ. კარო „Altkretische kultstätten“ გვ. 146.

ქოს საცხოვრებელი ადგილი იყო უმაღლესი ღვთაების — ლაბრისისა — ე. ი. ორპირიანი ცული სახისა. ვინაიდგან ორპირიანი ცული ხშირად გვხდება ხარის თავთან ერთად[1]), შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეგებ იგი იყო ის იარაღი, რომლითაც კლავდენ სამსხვერპლო ცხოველებს და რომ ის გახდა სიმბოლოდ იმ ღვთაებისა, რომლის კულტში მსხვერპლის შეწირვისას იხმარებოდენ ასეთი ცული. რასაკვირველია, ამ მხრივ შეიძლება მხოლოდ ასეთი საეგებო მოსაზრების გამოთქმა, თუმცა საკითხი მაინც სავსებით ღიად რჩება.

როგორ ცკრეტას ძეგლები გვიჩვენებენ, საღვთო სიმბოლოთა შორის უნდა ჩაირიცხოს ავრედვე **სვეტები** და **კოლონები**, რომელთაც დიდი ადგილი უკავიათ კრეტას სასახლეებში. სვეტებისა და კოლონების კულტზე მიგვითითებს კრეტაზე ნაპოვნი ტერაკოტური სურათი სამი სვეტისა, რომლებიც ერთსა და იმავე დასაყრდნობზე სდგანან. თითოეულ მათგანს ზევით აქვსთ სწორ-კუთხოვანი ფიქალი, მასზე კი ორი მრგვალი კოქი რომლებზედაც სხედან მტრედები. რასაკვირველია, ამჟამად არც ამ სვეტების მნიშვნელობის სრული გამორკვევა შეგვიძლია.



სურათი № 23—კრეტას სვეტები.

ჩვენთვის საჭიროა ავრედვე გავეცნოთ **იმ დროის მიცვალებულთა კულტს.** მოწიწებითი პატივისცემა მიცვალებულთა იყო პირველი და უძველესი გამოჩენება იმქვეყნიური ცხოვრების რწმენისა, მაგრამ რადგან იმ ჭაღარა დროს მომავალი ცხოვრება ქვეყნიური ცხოვრების უბრალო გაგრძელებათ წარმოედგინათ, აქედან გამომდინარეობდა აუცილებლობა, რომ ჩაეწყოთ მიცვალებულისათვის საფლავში ყოველივე ის, რაც მას სიცოცხლეში სჭირდებოდა. ამიტომაც საფლავს სადგომის მზგავსად აგებდენ, ხოლო უფრო მაგარი მასალისაგან, ვიდრე ჩვეულებრივ სახლებს, რადგან პირველთან შედარებით საფლავი მუდმივი საცხოვრებელი უნდა ყოფილიყო. ძველად მიცვალებულებს სხვა და სხვა ადგილისა და დროის მიხედვით სხვა და სხვა გვირად ეკცეოდენ: ან მარხავდენ მიწაში, ან სწვავდენ და ფერფლს ინახავდენ ურნებში. ასეთი წესი განსაკუთრებით მიღებული იყო დიდი გადასახლების დროს. ხალხი, რომელიც ახალი სამშობლოს ძებნის დროს, გზად

[1]) იხ. სურათი № 17.

იმყოფებოდა, შიშობდა უცხო ქვეყანაში, დაეშარხა თვისი საყვარელი მიცვალებულები. გარდა ამისა, თუ კი უცხო ქვეყანაში დამარხავდენ, ვის უნდა შეესრულებია მათვის მოსახსენებელი წესები? ამასთანავე მიცვალებულის თანწაღებაც არ შეიძლებოდა, ჯერ-ეროვნულ მათ ნაშთებს სწვავდენ და ის დრომდე ინახავდენ ფერფლს, სანამ ახალ ადგილს საბოლოოდ არ დაემკვიდრებოდენ და მას მიწას არ მიაბარებდენ. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად შეიძლებოდა მოგვეგონებია ილიადას ის ადგილი, სადაც ნესტორი აგამემნონს და სხვა სარდლებს ურჩევს: შეესწყვიტოთ ბრძოლა, რათა შეეგროვოთ გვამები და დავსწვათ გემების მახლობლად, რომ მშობელთა ძვლები თითოეულმა მიიტანოს სახლში, თუ კი მამათა ქვეყანაში დაებრუნდებითო. [1]) ურნათა უმრავლესობა თვისი გარეგანი სახით თითქოს განასახიერებდა ის ქოხთა მოდელს, რომელშიაც სიცოცხლის დროს ცხოვრობდა მიცვალებული. მიცვალებულთა მიწაში დამარხვის დროსაც მათ განსაკუთრებულ სადგომებს უგებდენ, რომელთაც ან კლდეში გამოკვეთავდენ და ან მიწაში ქვებისაგან აკეთებდენ.

კრეტაზედაც- ჩვეულებრივად ვხვდებით დამარხვას მიწაში, მაგრამ არის შემთხვევები დაწვისაც. საფლავები ხშირად საერთო იყო: ძვლების და თავის ქალასათვის ცალკე ადგილს არჩევდენ. საერთოდ ორი სახის საფლავები ყოფილა ძველად კრეტაზე: მაღაროს—მზგავსი და გუმბათის მზგავსი; უკანასკნელთათვის სანიმუშოდ ალბად მრგვალი თუ წოწოლა ფორმის პირველ-ყოფილი სადგომები იყო. ერთი ასეთი საფლავთაგანი აღმოაჩინეს აგია ტრიადის მახლობად. სამწუხაროდ, სამეფო სასაფლაო ისოპეტში, კნოსის მახლობლად, ჯერ კიდევ ძველად იყო დარბეული, ასე რომ მასში თითქმის არაფერი აღმოჩნდა. სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის გაგრძელებაზე რწმენის არსებობას უნდა გვიმტკიცებდეს კრეტას სარკოფაგი, რომელზედაც გამოხატულია სიცოცხლის ხე და მისი დამოკიდებულება წყლისა, მიწისა და ჰაერის სამყაროსთან. [2])

საერთოდ იმ ქვეყნიური ცხოვრების წარმოდგენას და მასთან დაკავშირებულ მსხვერპლის შეწირვას საუცხოოდ გადმოგვცემს უკვე მოკლედ აღწერილი აგია-ტრიადის დასურათებული სარკოფაგი, [3]) რომელიც ამავე—

[1]) იხ. „ილიადა" VII 331 შემ.

[2]) იხ. Drerup. „Omero." გვ. 176.

[3]) მინოსის კულტურის შემდგომ ხანაში შემოიღეს თიხის სარკოფაგები—„ლარნაკები", რომელნიც თვის ფორმით გვაგონებენ ბალოშებს. მიცვალებულთა გვამებს მოხრილი ფეხებით სდებდენ მის ძირში.

დროს იმითაცაა საყურადღებო, რომ დიდის მხატვრული გემოვნებითაა შესრულებული, მასზე გადმოცემულია მიცვალებულთა მოსაგონარი მსხვერპლის შეწირვა საფლავის წინ თუ ბის ახლოს. სისხლიანი მსხვერპლის შეწირვის სცენები ანიშნულია მტრედის ფერ ფონზე, ხოლო უსისხლო მსხვერპლის—თეთრ ფონზე. ერთგან გამოხატულია ხარის მსხვერპლად შეწირვა: შეკრული ხარი, როგორც სჩანს, უკვე მკვდარი, დევს ორ პატარა მრგვალ საყრდნობზე ისე, რომ მისი სხეულის დანარჩენი ნაწილი თავისუფლად ქანაობს ჰაერში. ხარის ქვეშით გდიან ორი ცოცხალი ხბო, მათ წინ კი ჭურჭელი, რომლისგანაც გამოდის კვამლი. ხარის მახლობლად სდგას მოკლე ტანსაცმლიანი ქალი, რომელიც ფლეიტაზე უკრავს, მარცხნივ ამ ადგილს უახლოვდებიან სამი წყვილი გრძელ ტანისამოსიანი ქალებისა. ხარკოფაგის მეორე გვერდზე ორ მამაკაცს მოაქვს, თითოეულს, თითო ხბო, მათ წინ კი მოდის მესამე მამაკაცი, რომელიც მოათრევს გემის თუ კასრის მზგავს რაღაც ჭურჭელს, შეიძლება სამსხვერპლო ცხოველის სისხლის მისაღებად. მამაკაცები წელამდის შიშველი არიან, ხოლო ქვეშით აცვიათ ქვედატანი ჩხეცების ტყავისაგან, მათ უკან კიდევ მოსჩანს ტყავის კუდი. მიზანი, რომლისაკენაც მიისწრაფის ეს სამი პირი, არა მტრედის ფერ ფონზეა, არამედ თეთრზე. კასრით ხელში მამაკაცის წინ მოსჩანს სამი ქვის კიბე, რომელიც უმეშველოდ მიკერებულია ხესთან. შემდეგ მარჯვნივ აღმართულია სპირალებით შემკული ნაშენი, რომელიც საკურთხეველი უნდა იყოს. ხესა და ამ შენობის შორის სდგას ადამიანი, ალბად ქურუმი, რომელიც უცდის მსხვერპლს: მასაც მხეცის ტყავი აცვია, რომელიც უფრო მოსასხამს მოგვაგონებს. ზემოდ დასახელებულ ქალებიდგანაც ორს მხეცის ტყავი აცვია, სხვებს კი ჩვეულებრივი გრძელი ტანსაცმელი. აგია ტრიადის სარკოფაგის მსხვერპლის შეწირვის აღწერილ სურათს უნდა ჰქონდეს მაგიური ხასიათი. მსხვერპლის შეწირვის გადმოცემაში მხატვარი ცხადად ცდილა აღეზეგდა არა მარტო ერთი მომენტი, არამედ რიტუალის მთლიანი მოქმედება. ფლეიტისტი, რომელსაც თავი გადაუწევია, უკრავს თვის ინსტრუმენტზე, რასაც ამტკიცებს ის გარემოება, რომ ლოყები მას გაბერილი აქვს იმ ძლიერი ცდისაგან, რომელსაც იგი დაკვრის დროს მიმართავს. სამსხვერპლო ხარის წინ ცოცხალ პოზაში სდგას ქურუმი ქალი. მისი წუნარი და ღრმა გამოხედვა გაშტერებით წინ არის მიმართული და ოდნავ ზევით აწეული მიქცეულა მიმინოსაკენ. ეს უკანასკნელი

დაშვებულა ლაბრისის ქურუმის წინ მდგარ მაღალ დასადგომზე და ჯერ კიდევ ვერ მოუსწრია შეეკრა თვისი მარცხენა ფრთისა. როგორც სჩანს, მიმინო დამორჩილებია მსხვერპლის შეწირვის რიტუალს და საჩქაროდ მოფრენილა. ამგვარად, ჯერ კიდევ კულტის მოქმედებათა შესრულების დროს ღვთაება, თუ მისი განსახიერება ფრინველში, შოვლინებია მორწმუნეთ და თვისი გამოჩენით ალბად აკურთხებს მათ მოქმედებას. კულტთან დაკავშირებულ მოქმედებათა ღვთაების ეპიფანიასთან ასეთი კავშირი, რომლის განმარტებას სიმპატიური მაგია იძლევა, ადგილთან გადასხვაფერდა და შემდეგში საბერძნეთის კულტში სავსებით მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა მიეცა. საბერძნეთის კულტი, რომელმაც შეინარჩუნა სიმპატიური მაგიის ელემენტი უმთავრესად აგრარულ-სარწმუნოებრივ შემეცნებაში, განსხვავდებოდა უფრო თხოვნითი—შეწყალებითი, თუ მადლობითი ხასიათით. კულტის ასეთ ფორმაში, რომელსაც უკვე ალარ ჰქონდა იმპერატიული ხასიათი, ღვთაება თავისუფალი იყო თვის მოქმედებაში და ამქლავნებდა თვის ნებისყოფას ჩვეულებრივად დაწესებული კულტის მოთხოვნილებათა შესრულების შემდეგ. ამგვარად აგია-ტრიადის სარკოფაგი გვაძლევს მშვენიერ სცენებს მსხვერპლის შეწირვისას და მასთან დაკავშირებულ კულტის წესებისას. უნდა ითქვას, რომ ეს სარკოფაგი თვისი მასალებით ერთად ერთია ჯერ-ჯერობით და საკვირველი არაა, თუ იგი კულტის სრულ სურათს ვერ იძლევა.

ასეთია საზოგადოდ კრეტას ის ძეგლები, რომელნი მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ერთგვარი წარმოდგენა ვიქონიოთ კრეტას მითოლოგიაზე და კულტზე.

მაგრამ იბადება კითხვა: სად ლოცულობდენ იმ დროს კრეტას მცხოვრებლები? სად ასრულებდენ თვის ღვთის—მსახურების წესებს? ჰქონდათ თუ არა მათაც ტაძრები? ამაზე ამჟამად გარკვეული პასუხის მიცემაა შესაძლებელი. აღმოჩენილი ძეგლების მიხედვით უნდა ვიფიქროთ, **რომ საერთოდ ეგეოსის ეპოქაში ტაძრები არ არსებობდნენ.** კულტი სრულდებოდა მეფის სასახლის განსაკუთრებულ ნაწილებში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მას ხალხის მეტი რიცხვი უნდა დასწრებოდა, სპეციალურ საღვთო ადგილებში. აგია-ტრიადაში სალოცავის წინ მოთავსებულია ნიშნები ორპირიანი ცულისა. ფესტისა და კნოსის სასახლეებში აღმოჩენილ იქნენ ოთახები კულტისათვის. მათ შორის უფრო ძველი უნდა იყოს ფესტის სამლოცველო. იგი წარმოადგენს პატარა ოთახს; მას ჩრდილოეთის და დასავლეთის კედლებთან მიშენებული აქვს.

საჯდომები. იქ, სადაც თავდება ჩრდილოეთის სკამი, არის პატარა ადგილი, რომელშიაც სხვათა შორის იპოვეს ვაზები „კამარეს“ სტილისა; სხვა ჭურჭლები სკამებზე და იატაკზე იყო მოთავსებული. ამ ოთახის დასახასიათებლად, რომ იგი მართლაც სამლოცველოა, ყველაზე მეტად გამოგვადგება სამსხვერპლო დაფა; იგი წარმოადგენს თიხისაგან გაკეთებულს ფიქალს რომელიც შუა ადგილას ამოღრმავებულია, ალბად სურნელებათა მოსათავსებლად, მისი გარეგანი მხარე შემკულია რელიეფებით, რომელებიც გამოხატავენ ნიშნებს, ასო მზგავსად, და ხარების ჯგუფებს, რომელნიც შეერთებული არიან სამ-სამად, ექვს—ექვსად და ცხრა-ცხრად.

უფრო ცხადია კნოსის სამლოცველოს სარწმუნოებრივი დანიშნულება. სამლოცველო წარმოდგენს პატარა კვადრატს საფეხურებით; იგი განიყოფება სამ განსხვავებულ ნაწილად; იატაკის უფრო ღრმა ნაწილში, რომელიც სხვებზე მეტად ახლოს არის სამლოცველოს შესავალთან, აღმოაჩინეს რამდენიმე ჭურჭელი, როგორც სჩანს, სარწმუნოებრივი საჭირეებისა. იატაკის მეორე ცოტა ამოწეული ნაწილის შუაგულში იდგა თიხის სამფეხა, ხოლო კუთხეებში ვაზები. ამას იქით იყო ყველაზე მაღალი მესამე ნაწილი სამლოცველოსი, რომელსაც პატარა საჯდომის სახე ჰქონდა; მასზე იდგა კულტის სიმბოლოები. ესენი არიან პატარა ქანდაკებანი ღმერთ—ქალისა. ერთ შემთხვევაში მას ხელები მკერდზე აქვს მიკრული, მეორეში—მას ხელები აუპყრია ისე, რომ ხელის ზედა ნაწილს ჰორიზონტალური მდებარეობა აქვს, ხოლო ქვედა ნაწილს ვერტიკალური,

ყველა ასეთი სამლოცველო პატარა იყო და ალბად მხოლოდ მეფექურუმს და მაღალი წრეების წარმომადგენლებს იტევდა. კულტის საზეიმო ღვთის მსახურება მთელი ხალხისათვის, როგორც სჩანს, სრულდებოდა ღია ჰაერზე. ბექდებზე და ამოჭრილ ქვებზე ჩვენ გვხვდება გამოხატულებანი საკურთხეველისა და საღვთო ხეებისა, რომელთაც შემოვლებული აქვსთ ხის გალავანი. საკურთხეველთა უმეტეს ნაწილს ზევით თანდართული აქვს სამსხვერპლო რქები. ჩვენამდის მოახწია ასეთი საკურთხეველის გამოხატულებამ სხვათა შორის კნოსის სასახლიდან. საკურთხეველი წარმოადგენს უბრალო ოთხკუთხიან დასადგამს. მასზე აღმართულია ოთხი წყვილი სამსხვერპლო რქებისა, რომელნიც თავის მხრივ ოთხკუთხედს შეადგენს. კნოსის სასახლის კედლის ერთი სურათი გვაჩვენებს, რომ ასეთი სახის

შენობებს გარს ერტყა გალავანი, რომლის იქით, ეზოში, ჩვეულებრივად იდგა რამდენიმე ხე. ამ შემთხვევაში ჩვენ თვალწინაა თითქოს **თემენოსი**, შემოზღუდული საღვთო ადგილი, ან საღვთო ჭალა, სადაც **ეზო** წარმოდგენილია მრავალ რიცხოვანი ხალხით.



სურათი № 24 კნოსის სამსხვერპლო.

კრეტას ძველები საკმაოთ განვითარებულ კულტურას გვიხასიათებს. მაგრამ ბუნებრივათ წარმოიშვება კითხვა: ჰქონდა თუ არა ძველ კრეტას **ლოვისი დამწერლობა?** ამ მხრივ მართლაც დიდ **ყურადღებას** იქცევს **კრეტაზე** აღმოჩენილი **უუძველესი ხატოვანი და ხაზოვანი დამწერლობა.** [1]) პრობლემა ძველი საბერძნეთის დამწერლობის დასაწყისისა განსაკუთრებული მსჯელობის საგნად ხდება ფრიდრიხ ვოლფის „Prleqomena ad Homerum"-ის (Haile, 1795 წ.) გამოქვეყნებას შემდეგ. იმ დროს, რასაკვირველია, ეს საკითხი ჯეროვანათ ვერ გადაწყდებოდა იმ მასალის მიხედვით, რომელიც მეცნიერთ ხელთა ჰქონდათ. მხოლოდ შლიმანისა, ევანსისა და სხვების აღმოჩენათა შემდეგ შესაძლებელი შეიქნა უფრო ჯეროვანათ ამ საკითხის დასმა და გადაწყვეტა.

შლიმანმა აღმოაჩინა ძველი ტროადისა და მიკენის ნანგრევებში



—სურათი № 25—დამწერლობის ნიმუშები ტროადადან.—

რამდენიმე წვრილი ნივთი მათზე ამოკრილი ნიშნებით, რომლებიც დამწერლობას წააგავდა. ასეთივე ნივთები იპოვეს სხვა მკვლევარებმაც, მაგრამ ამ მხრივ ყველაზე მდიდარი იყო თვის შედეგებით არტურ-ევანსის აღმოჩენანი: მან ბერლინისა და ათინის მუზეუმებში იპოვა გემშებზე

[1]) იხ. „Evans. Scripta Minoa", ოქსფორდი, 1909 და Larfeld, „griechische Epidrafic." VIII. 192—198.

ანუ „კუნძულის ქვებზე“ ამოკრილი სხვა და სხვა გვარი ნიშნები, ამ ნიშნებმა ევანსის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. დიდი დაკვირვებას შემდეგ იგი დარწმუნდა, რომ ეს გემმები ძველად ისეთსავე როლს თამაშობდა, როგორსაც ბაბილონის ბეჭდები. მზგავსი საგნები შემდეგში აღმოჩენილ იქნა აგრეთვე ციკლადებზე და კრეტაზე. 1894 წელს კრეტაზე ევანსმა მოაგროვა დიდი რიცხვი ასეთი ქვებისა, რომლებიც ნაწილობრივ მაინც ალბად კრეტას ქალების ამულეტებს, ან სამკაულს წარმოადგენს.



—სურათი № 26—დამწერლობის ნიმუშების მიკენიდან.

ამ ქვებზედაც ამოკრილია ჯგუფებად დალაგებული ნიშნები ხატოვანი დამწერლობისა, რომელთაგანაც ევანსმა შეადგინა 82 სხვა და სხვა



სურათი № 27—დამწერლობის ნიმუშები კნოსიდან.

ნიშნის ტაბლიკა. გარეგნულათ ამ ნიშნებს თითქოს ეტყობა ნათესაობა ხეთურ წარწერებთან, მაგრამ ნამდვილათ იეროგლიფების დამოუკიდებელ სისტემას უნდა ეკუთვნოდეს. მათზე აღბეჭდილია: ნაწილები ტანისამოსში გახვეული, თუ შიშველი ადამიანის სხეულისა, იარაღები, ცხოველები, მცენარეები და საზღვაო საქმის სხვა და სხვა ნივთი, ასტრონომიული და გეომეტრიული სიმბოლოები და სხვა. ნიშნების ზოგიერთი დეკორატიული თვისებები მიგვითითებს მე-12-ე დინასტიის დროის (2500 წ. ქ. დ.) ეგვიპტის გავლენაზე. აღმოჩენილ ნიშნებისაგან ევანსმა შეადგინა აგრეთვე ტაბლიკა 32 ხაზოვანი ნიშნისა, რომლებიც ხატოვან ნიშნებთან ერთად გვხვდებიან, ამ უკანისკნელთაგან წარმოსდგენ და ალბად თითოეული მათგანი მარცვალს გადმოგვცემს. ასეთი ნიშნები ევანსმა აღმოაჩინა არა მარტო კუნძულის ქვებზე, არამედ პრაისტორიულ თიხის ჭურჭლებზე და სასახლეთა კედლებზე. ევანსის მიერ გამოკრებილ და აღნუსხულ 32 ხაზოვანი ნიშნიდან 22 თვისი მოხაზულობით და საერთოდ გარეგნობით კუნძულ კიპრის უძველეს მარცლოვან ნიშნებს მიემზგავსება.

კრეტას ძველ ქალაქში—კნოსში ეგრეთ წოდებული მინოსის სა-

სახლის ნანგრევთა შორის ევანსმა აღმოაჩინა კიდევ უფრო მეტი რიცხვი თიხის ფირფიტებისა, რომლებზედაც დამწერლობის ნიშნები იყო მოთავსებული და რომელთაც უმთავრესად სალესი ქვის ფორმა ჰქონდათ. საშინელ ცეცხლს, რომელმაც იმსხვერპლა ეს პრაისტორიული დინასტიური რეზიდენცია, ხსენებული თიხის ფირფიტებიც მაგარ აგურებად გადაუქცევია. ხატოვანი წარწერებით მოცული ფირფიტები უმთავრესად აღმოჩენილ იქნა უფრო გვიანი სასახლის ნანგრევთა განსაკუთრებულ ნაშენში. მათი რიცხვი არ არის დიდი, ისინი წარმოადგენენ სალესი ქვის მზგავს სამ და ოთხ კუთხოვან ფირფიტებს, რომელთა ნაპირები ერთ ადგილას გახვრეტილია, თიხის გახვრეტილ ნატეხებს, და ხატოვანი დამწერლობით მოცულ თიხის ბეჭდებს. დამწერლობა ამ თიხის ფირფიტებისა უფრო მეტად ხაზოვანია, ვიდრე წინედ განხილულ ბეჭდებზე. ეს გარემოება საკმაო საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ხატოვანმა დამწერლობამ ამ ხნის განმავლობაში თვალსაჩინო განვითარება განიცადა. ახალ აღმოჩენათა გამო მისი ცალკე ნიშნების რიცხვი 135-დი ავიდა. ხატოვანი დამწერლობის ზოგიერთი ნიშნის განსაზღვრულად დეტერმინატიული (იდეოგრაფიული) ხასიათი შეიძლება მიგვითითებდეს იმ გასაღებზე, რომელიც საშუალებას მოგვცემს მათი შინაარსის ამოკითხვისას. ამ ფირფიტებზე სხვათა შორის ამოხაზულია ხომალდები, ხარების თავები, ჭურჭლები პურის მცენარეებით და ეგვიპტური ნიშანი სასახლისა. მათი ნაწილი, როგორც გარეგნულად სჩანს, რაღაც ანგარიშებს უნდა შეიცავდეს, რადგანაც მათზე მოთავსებულია ციფრების ნიშნები. ეს ციფრები დღეს გარკვეულად ჩაითვლება, რადგან საშუალება გვაქვს მათი მნიშვნელობის გათვალისწინებისა. ირკვევა, რომ ძველ კრეტაზე გაბატონებული ყოფილა ათეული სისტემა და რიცხვების გადმოსაცემად ასეთ საშუალებას მიმართავდენ: ერთეულებს აღნიშნავდენ ნიშანით), ან |, მაგ. —5=||| ||, ათეულებს—●, მაგ. 50=●●● ●●, ასეულებს—/, მაგ., 500=/// //, ათასეულებს—◇; მაგ. 5000=◇◇◇ ◇◇ ნაწევარს V (მეოთხედი?). ვსთქვათ, კრეტელებს სურდათ დაეწერათ 6355³/₄; ამ რიცხვს ისინი ასე გამოხატავდენ: ◇◇◇ ◇◇ /// ●●● ●● ||| || V V V. ამგვარათ, აღმოჩენილმა თი-

ხის ძეგლებმა გაგვაცნეს კრეტას ციფირების ნიშნები და შეგვაგნებიეს მათი იდეოგრაფიულ გამოხატულება, მნიშვნელობა და სისტემა. უფრო მერმინდელ სასახლეში, რომელიც ძველი სასახლის ნანგრევებზე იყო აგებული, აღმოჩენილ იქნა ახალი ხაზოვანი დამწერლობის ნიმუშები, რომელნიც ალბად წინა დროის ნახევრად ხატოვანი წარწერებისაგან წარმოადგენენ. საერთოდ ევანსის მუშაობამ კრეტაზე მოგვცა საფუძველი ვიფიქროთ, რომ უფრო შემდგომი სასახლის აშენება მოხდა ორ სხვა და სხვა პერიოდში, ალბად შინაური არეულობის გამო, რომელსაც შეიძლება თან მოჰყვა მართველობის შეცვლაც. მართლაც ზედა სასახლის იატაკ ქვეშ ამოთხარეს ოთახები და სადგომები, რომლებიც თვისი ნიშნებით უფრო წინა დროს ეკუთვნის; ერთ სადგომში, რომელშიაც თითქოს სამსხვერპლოს ნანგრევები უნდა იყოს დაცული, აღმოჩენილ იქნა თიხის ფირფიტები და ბეჭდები წარწერებით, რომელთა მოხაზულობაც ბევრ რამეში განსხვავდება უფრო მერმინდელი სასახლის ნიშნებისაგან მაშინ, როდესაც ფირფიტების ფორმებში, ციფირების ნიშნებში და ზოგიერთ სამწერლობო აღნიშვნაში შეიძლება დავაწესოთ მათი უფრო მახლობელი ნათესაობა ხატოვან წარწერებთან.

უნდა აღნიშნულ იქნას აგრედვე „Hagia Triada"-სწპატარა სასახლის ნანგრევთა შორის იტალიის მისიის მიერ 1902/3 წელს აღმოჩენილი წარწერები და პალეოკასტროში ბრიტანეთის შკოლის მიერ მოპოვებული დამწერლობა, რომელთაც მზგავსება და ნათესაობა ემჩნევათ, როგორც ურთიერთ შორის, ისე საზოგადოდ კრეტას ხატოვან დამწერლობასთან. ეს გარემოება უნდა ვიფიქროთ, იმაზე მიგვითითებს, რომ აქ ერთი ენა იყო გაბატონებული. ხაზოვანი დამწერლობის საბუთებიდან, რომლებიც უფრო მერმინდელ სასახლის პერიოდს ეკუთვნის, აღმოჩენილ იქნა 1600 ფირფიტა. ისინი წარმოადგენს თიხის ნაპრებს, რომლებიც უმეტესად კვადრატიული ფორმისაა და თვის გარეგნობაში ააშკარავებს ერთგვარ ნათესაობას ბაბილონის თიხის ფირფიტებთან. მათზე წარწერები მოთავსებულია ჰორიზონტალურად მიმართულ ხაზთა შორის და მათი სტრიქონები ყოველთვის მარცხნიდან მარჯვნივ არის მიქცეული; ცალ-ცალკე სიტყვებს შუა გატარებულია ვერტიკალური შტრიხები, ალბად მათ განსაცალკევებლად. ხაზოვანი დამწერლობის განსხვავებულ ნიშანთა რიცხვმა ახალ აღმოჩენათა მეოხებით 80-ს მიაღწია. ლარფელდის აზრით[1]), ამ ნიშანთა შორის დაახლოებით

[1]) იხ. O. C. გვ. 195.

ათი საერთოა კრეტას ხატოვან დამწერლობასთან, ასეთივე რიცხვი ემზგავსება ბერძნულ დამწერლობას და ამდენივე კიპრის მარცლოვან დამწერლობას. აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ამათშიაც შენარჩუნებულია დამწერლობის ხატოვანი ხასიათი, მაგალითად გვხვდება ადამიანის თავი, კისერი, ხელი, გადაქცეული ხელები, ფრინველები, ეშკრები სამი თუ ოთხ წყება მოაჯირით, ზღუდეები, ტახტი მაღალი საჯდომით, ხეები, ფურცლები და სხვა. ყოველივე ამის გამო შეიძლება ვიფიქროთ, რომ ასეთ ნიშნებს უეჭველად ჰქონდა დეტერმინატიული ხასიათი. გვხვდება მათზე აგრეთვე ზომა და რაოდენობა, რომლებიც ყოველთვის რიცხვებთან არის დაკავშირებული. ამ საბუთების შესწავლა გვარწმუნებს, რომ მათი უდიდესი ნაწილი ალბად შეიცავდა სასახლის სხვა და სხვა გვარ ჩაწერას, რადგან ზოგი ხატოვანი ნიშანი თვისი შინაარსით სწორედ მასზე მიგვითითებს: მაგ., ზოგიერთ მათგანზე ეხედავთ მამაკაცსა და დედაკაცს, სიმბოლოების სახით, რომლებიც ვგონებ განასახიერებენ განსაზღვრულ სიებს, რეესტრს ჯარებისას, ტყვეებისას, დახოცილ მეომართა, მონათა და სასახლის დაარამხანის მოსამსახურეთა შტატისას; გვხვდება აგრეთვე საბარგო ურმები და ცხენები, იარაღი, ცული, ლითონების ნატეხები, ძვირფასი ვაზები, სხვა და სხვა სითხისთვის ჭურჭლები, სახლები და საჯინიბოები, ღორები, პურის მცენარეები, მრავალგვარი ხე, ყვავილი და სხვა. აქაც ალბად სასახლის მეურნეობის ალრიცხვასთან გვაქვს საქმე. დამწერლობის სხვა საბუთები, რომლებზედაც არ გვხვდება არც რიცხვები და არც ხატოვანი ნიშნები, შეიძლება შეიცავდა მეფეთა დიპლომატიურ მიწერ-მოწერას-კორესპონდენციას-ისე, როგორც მათი თანამედროვე საბუთები სირიიდან და ბაბილონიდან, როგორც სჩანს, კრეტაზე ფირფიტებს დამწერლობით პირველ ხანებში ინახავდენ ხის, თიხის თუ გიპსის სკივრებში, რომლებიც გარედან დაბეჭდილი იყო. ეს გარემოებაც გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს მეფის სასახლის არქივებთან. ფრიად საყურადღებოა ისიც, რომ კრეტაზე აღმოჩენილ იქნა ვაზები მელნის წარწერებით, რაც ცხადათ გვიჩვენებს, თუ რა უძველეს დროს ხმარობდენ წერისათვის პაპირუსებს თუ მის მზგავს მასალას. დასასრულ, ფესტში აღმოჩენილ იქნა უდიდესად საყურადღებო **უცნობი დისკო**, რომლის ორივე მხარე წარწერებითაა მოცული. [1]) დისკო გაკეთებულია გაწმენდილი და კარგად

[1]) მის შეს. ob. Ed. Meyer, „Der Diskus fon Phestos und die Philister auf kreta" (Sitzungsberichte de k. Preus. Akad. d. Wiss., 1900. II.), ევანსის ხსენებული თხზულების I ტომი, გვ. 22—28. 273—293. და ბეუშტრების „Загадочный диск" (ж. м. н. п. 1911. დეკემბერი).

გამომწვარი. თიხისგან; იგი ხელით არის შექმნილი და ამიტომაც მისი ფორმა გეომეტრიულად სწორი არ არის. შენახულია იგი ძვირფასად, ნიშნები თითქის უვნებლად და გარკვეულად აქვს დაცული; ნაპირებზე რამდენიმე ნახეთქის გამო მხოლოდ ზოგიერთი ნიშანია დაზიანებული და ერთი კი სრულიად წამხდარი. დისკოს ორივე გვერდზე გატარებულია ამოკაწრული (გრაფიტული) ხაზები და ფიგურები, რომლებიც იმ დროს უნდა იყოს ამოქნილი, როდესაც თიხა ჯერ კიდევ რბილი იქნებოდა. გრაფიტული ხაზები გატარებულია მაგარი პირით სპირალზე, რომელიც ევანსის აზრით ცენტროდან იწყება და ფანდათან გაშლილი პერიფერიისაკენ მიემართება, ხოლო ძველ ხელოვნებათა მკვლევარის პერნიეს შეხედულებით, მისი დასაბამი პერიფერიაში უნდა მოვძებნოთ, საიდანაც იგი იშლება და დისკოს ცენტროსაკენ მიდის პატარა ხაზების სახით, რომლებიც ალბად ერთგვარ ფიგურებს მეორეთაგან განყოფს და, დასასრულ, სხვა და სხვა ვერტიკალური ხაზების სახით, რომლებიც სპირალის ერთი ნაკეცისაგან მეორესაკენ სხივის მზგავსად მიემართება და ნიშანთა ერთი ჯგუფის მეორე ჯგუფისაგან გარჩევას ხელს უწყობს.



სურათი № 28—ფესტის დისკო.

მკვლევარნი იმ აზრს იზიარებენ, რომ დისკოს ტექსტი ცენტროდან იწყება და მარცხნიდან მარჯვნით უნდა იკითხებოდეს. ამ ძეგლის შესწავლის საქმეში პირველად ყოვლისა ბუნებრივად წარმოიშვა კითხვა დისკოს სადაურობის შესახებ; როგორ უნდა ვიფიქროთ: იგი ადგილობრივი ნაწარმოებია, თუ სხვა ადგილიდან შემოტანილი ისტორიული ძეგლი? ამ საკითხზე მეცნიერებაში თანხმობა არ სუფევს. ბეკშტრემი ამბობს: „ის, რომ დისკო ფესტის სასახლეში ნახეს, კიდევ

ვერ გვარწმუნებს იმაში, რომ იგი მინოსური ცივილიზაციის ნაწარმოებია; დამწერლობის თუ ხელშეკრულების სახით იგი შესაძლებელია შემოეტანათ ხმელთა შუა-ზღვის ერთ-ერთი ქვეყნიდან, რომელთანაც მინოსის კულტურას კავშირი ჰქონდა, ე. ი. ლიბიიდან და ეგვიპტიდან, ან ხეთელების ქვეყნიდან და საზოგადოდ იმ ქვეყნებიდან; სადაც დამწერლობის იეროგლიფური, უფრო პიქტოგრაფიული სისტემები იყო გავრცელებულიო". [1]) მაგრამ დისკოს იეროგლიფების სხვა დამწერლობათა ნიშნებთან შედარება გვიჩვენებს, რომ მზგავსება მათ შორის ძლიერ ცოტაა და რომ ეს მზგავსი ნიშნები დისკოზე საერთოდ უფრო სხვა ხასიათისაა და სხვა კულტურასა და ხელოვნებაზე მიგვითითებს.

მართალია, მიკენზი, რომელიც დიდი სპეციალისტია სხვა და სხვა ქვეყნის ნიადაგის გარკვევაში, ამტკიცებს, [2]) რომ თვით ის თიხაც კი, რომლისაგან არის გაკეთებული დისკო, არ არის კრეტას ნიადაგისა და მაშასადამე სხვაგან და სხვა გვარი თიხისაგან არის შექმნილიო, მაგრამ სამაგიეროდ უკვე ხსენებული პერნიე დაბეჯითებით გვარწმუნებს, რომ დისკო კრეტას ნაწარმოებია. იგი ასე მსჯელობს: თუ ჩვენ დაკვირვებით შევისწავლით დისკოს ფიგურებს, ნათლად დავინახავთ, რომ ისინი დაკავშირებული არიან უმეტესად მინოსის ხელოვნების ფიგურათა მოხაზულობასთან და რომ ყველა ესენი ერთად გადაბმულია თავის მხრივ კრეტას დიდ სასახლეთა ეპოქის კულტურასა და ხელოვნებასთან. ამ კულტურაზე მიგვითითებს: ქალებისა და მამაკაცების თმის დავარცხნილობა, ცხოველთა და მცენარეთა მრავალფეროვანება, იარაღის ფასონი და სხვა; ამავე დროს ნატურალიზმი, რომლითაც დისკოზე გადმოცემულია სხვა და სხვა ფიგურა, გვაგონებს მინოსის ხელოვნების დამახასიათებელ თვისებასა.[3]) არტურ ევანსი, მართალია, ზოგირთ შემთხვევაში თითქოს აღნიშნავს დისკოს დამწერლობის არა მინოსურ, თითქვის არა კრეტულ ხასიათს, მაგრამ იგი უფრო მისაღებად სთვლის, დისკოზე აღნიშნული რელიგიოზური ელემენტები დიდი ღმერთ-ქალის დედის ანატოლიის რომელიმე საკურთხეველს მიაწეროს. იგი ამავე დროს ფიქრობს, რომ კრეტაზე ხმარებაში იყო ღვთის მსახურების განსაკუთრებული ენა, რომელიც ადგილობრივი ენის უძველეს საფეხურს წარმოადგენდა და რომელზედაც სრულდებოდა სხვა და სხვა წესები, როგორც ჩვენ დროშიაც

[1]) ბეკშტრემი გვ. 555.

[2]) იხ. Scripta Minoa I. 274.

[3]) ბეკშტრემი, გვ. 556.

მართლმადიდებელ ბერძნულ და რომაულ კათოლიკურ ეკლესიების ღვთის მსახურებაშია დაცული ძველი ენები. კრეტას ეს ძველი ენა შესაძლებელია კარგად უდგებოდა იმ ენას, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხლობდა ხმელეთის ერთ უძველეს სარწმუნოებრივ ცენტრში—ანატოლიაში, რომლის სარწმუნოებაც ალბად ენათესავებოდა პრაისტორიულ კრეტას კულტს. გარდა სარწმუნოებრივი ელემენტებისა ევანსი დისკოზე აღნიშნავს სამხედრო ხასიათის ნიშნებსაც: თავს ჩაჩქანით, რქის ისარს, გემებს ისრებით და სხვ. ამიტომაც ევანსის აზრით დისკოს წარწერები უნდა წარმოადგენდეს კომბინაციას სამხედრო და სარწმუნოებრივი ელემენტებისას. ყოველ შემთხვევაში ევანსი დისკოს მაინც კრეტულ ნაწარმოებად სთვლის [1]). უკვე ხსენებული ბეკშტრემის აზრით დისკო უფრო ანატოლიური წარმოშობის უნდა იყოს. იგი ამბობს: ყოველ შემთხვევაში დისკოს ანატოლიური წარმოშობა ჩემთვის უდაოა, თუმცა მისი წარწერების ენა არ შეიძლება დაახლოებით მაინც იქნას გარკვეული. ღიად რჩება საკითხი, თუ როგორ მოხვდა კრეტაზე ეს ანატოლიური ძეგლი. მე ვრიქრობ, რომ იგი ფესტში მოტანილ იქნა სხვა ნადავლთან ერთად მინოელების მცირე აზიაზე რომელიმე დაცემის შემდეგ, მაგრამ მე ვერ ვხედავ მიზეზს, მის დაწერლობას რათ უნდა ჰქონდეს საკრალური ხასიათი; იგი შეიძლება მოეტანათ მცირე აზიის რომელიმე ქალაქის, როგორც სალოცავიდან, ისე მეფის საფლავიდან, როგორც სასახლიდან, აგრეთვე სახელმწიფო არქივიდან და ამ საკითხის სხვა და სხვა გვარი გადაწყვეტით შევვიძლიან დისკოს მივაწეროთ სხვა და სხვა გვარი შინაარსიც. მაგ. ზოგიერთი მას ისეთსავე ძვირფას მასალაზე ამოკრილი ტრაქტატის პირად სთვლის, როგორიც იყო მაგალითად რამზეს II-ის ხელშეკრულების ვერცხლის ფირფიტებიო. [2]) ასეთი სხვა და სხვა შეხედულება არსებობს ამ დისკოს სადაურობის შესახებ და სანამ მისი დამწერლობა არ გაურჩევიათ, ანალოგიების საშუალებით მისი სადაურობის სისწორით გამორკვევა უფრო პრობლემატიური ხასიათის იქნება, ვიდრე მისი საბოლოო მეცნიერული გადაწყვეტა. თუმცა სასწორი დისკოს კრეტას ნაწარმოებად აღიარებისაკენ [3]) გადახრილი,

[1]) Evans „Report", 1903, 74 შემ.

[2]) Ibidem გვ. 602.

[3]) პაინი ს, ხეტა, ევანსის, მეიერს და რეინაკის მიერ წარმოებულმა დისკოს ნიშანთა დაკვრილებითმ ანალიზმა დააწესა უეკველად მახლობელი შეგავსება დისკოს იეროგლიფებისა კრეტას დამწერლობასთან.

კვეულია საკითხი დისკოს ათი ნიშნის კრეტას იეგროგლიფებთან ნათესაობისა, მართალია ზოგიერთი განსხვავებით და აგრედვე მასზე ბევრი ახალი ნიშანი მოიპოვება, მაგრამ ამ მოვლენას ასე განმარტავენ: ის გარემოება, რომ დისკოზე მრავალი ახალი ნიშანი მოიპოვება, უნდა იმით აიხსნებოდეს, რომ დისკოს წარწერები თვისი შინაარსით ალბად არსებითად განსხვავდება კრეტას სხვა ხატოვან დამწერლობისაგანო. მაგრამ შეუუდგეთ თვით დისკოს ნიშნების აღწერას. სულ დისკოზე 242 ნიშანია, 123 A გვერდზე და 119 B გვერდზე. ნიშნები შეერთებულია ჯგუფებად (A გვერდზე სულ 31 ჯგუფია, B გვერდზე—30); ჯგუფებს ერთი მეორისაგან განაცალკევებს ვერტიკალური ხაზები; თითოეული ჯგუფი შეიცავს ორიდან შვიდ ნიშანს, უმეტესად 3-4 ნიშანს. დისკოს ნიშნები წარმოადგენს 45 განსხვავებულ ტიპს. გარეგანი სახის მიხედვით ნიშნები 7 ჯგუფად დაიყოფება და მათში გადმოცემულია: ადამიანთა სხეული და მისი ნაწილები, იარაღი, ინსტრუმენტები და საოჯახო ჭურჭეულობა, შენობები, გემები, ცხოველები და მათი ნაწილები, მცენარეები და ხეები და გაურკვეველი საგნები. ფიგურათა შორის აღსანიშნავია მამაკაცის თავი, რომელსაც გვირგვინი თუ ფრთებიანი ჩაჩქანი (შლემი) ახურავს. ეს მოკაზმულობა მოგვაგონებს დიდი მწვანე ზღვის ჩრდილოეთის მეკობრეებს, რომლებიც მე-18-ე დინასტიიდან დაწყებული მე-XXI-დი ათასწლეულებიდან და სცარცავდენ ფლოტას და რომელთაც ეგვიპტური ძეგლები იცნობენ შაკარას, დანანას და განსაკუთრებით Poulasati-ს სახელით. ასეთივე თავის მოკაზმულობის ფიგურებს ვხედავთ სხვა ქვეყნების ძეგლებზედაც. [1]) ამ მეომარ ხალხთა ჩვეულებრივი ტანსაცმელი—მოკლე წამოსასხამი (ტუნიკა) და ქამარი უნდა ყოფილიყო. [2]) ფესტის დისკოს ნიშანთა ნაწილს მაინც უნდა ჰქონდეს ფონეტიური და შესაძლებელია სილაბიური მნიშვნელობაც, დანარჩენთ კი უფრო იდეოგრაფიული ხასიათი. თუ ეს ასეა, მაშინ ვერტიკალური ხაზები ერთი მეორესაგან ანცალკევებს არა ფრაზებს თუ წინადადებებს, არამედ მხოლოდ სიტყვებს, როგორც ამას ვხედავთ ფინიკურ დამწერლობაში, ძველ ბერძნულში და ეტრუსკულში. ასეთია ფესტის დისკოს ორივე გვერდის გამოხატულება. ეინ იცის, ეგებ მომავალმა სავსებით

---

[1]) ამ სურათს დღეს დიდ მნიშვნელობას აძლევენ ძველი კრეტას მოსახლეობის გამორკვევის საკითხში, რადგან სხვათა შორის მისი მეოხებით ფიქრობენ წარმოიდგინონ ეგეოსის კულტურის მატარებელი ხალხის ვინაობა.

[2]) იხ. ევანსი „Scripta Minoa", I, 25.

დაამტკიცოს დისკოს ნიშნების კრეტას დამწერლობასთან [1]) უფრო მეტიდრო კავშირი და მიშინ ალბად კრეტას იეროგლიფების შესწავლას ბევრი რამ მიემატება.

თუ ფესტის დისკოს შეხახებ დღემდის გარკვეული შეხედულებისათვის ვერ მიუხწევია მეცნიერებას, იმის თქმა კი შეიძლება, რომ ევანსის აღმოჩენებმა საერთოდ დამტკიცა ხმელთა-შუაზღვის აღმოსავლეთ ნაწილის წიპირებსა და კუნძულებზე არსებობა პრაისტორიული ხატოვანი დამწერლობისა. მისი ნაშთების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერთის მხრივ ეს დამწერლობა მხოლოდ ადგილობრივი წარმოშობისაა და მეორეს მხრივ „ეტეოკრეტელების“ სამშობლოში ანუ მინოსის კრეტაზე ერთი ენა იყო გამეფებული. პროფ. დერპფელდის აზრით უფრო ძველი კულტურული პერიოდი, რომელსაც საერთოდ ეკუთვნის ხატოვანი წარწერები, უნდა ჩაითვალოს კრეტას პერიოდად, ხოლო უფრო ახალი, რომელსაც ხაზოვანი დამწერლობა ახასიათებს, მიკენის პერიოდად. [2])



სურათი № 29—სხვა და სხვა ნიშნების სქემა.

ამ გვარად სჩანს, რომ ძველად კრეტაზე გავრცელებული ყოფილა დამწერლობის ორი სახის ადგილობრივი სისტემა: 1) ხატოვანი, რომლის ნიშნები იეროგლიფებს წააგავს, და 2) ხაზოვანი, რომელიც უკვე ასოებს უახლოვდება.[3]) ამ უკანასკნელს დიდი მზგავსება ემჩნევა ფ ნიკიურ ხაზოვან დამწერლობასთან. საზოგადოდ უკანასკნელ ხანებში ევროპიულ ალფაბიტსაც კრეტას დამწერლობის ნიშნებს უკავშირებენ.

---

[1]) პროფ. ტურეევი მას ფილისტიმელთა ნაწარმოებად სთვლის. ი. ა. 338.

[2]) იხ. მისი „Die kretischen, mykenischen und Homerischen Paläste M. D. A. I 30 (1905).

[3]) კრეტას დამწერლობის ნიშანთა თანდათანობითი გაუმჯობესებაზე ლაპარაკი იქნება ქვემოდ საერთოდ კრეტას კულტურის პერიოდების დახასიათების დროს.

აღნიშნული სქემის პირველ წყებაში მოთავსებულია ეგვიპტური ნიშნები, მეორეში კრეტული ხატოვანი, მესამეში კრეტული ხაზოვანი, მეოთხეში ფინიკური, მეხუთეში ბერძნული და მეექვსეში ლათინური. პირველი შეხედვისთანავე დავინახავთ ფინიკური, ბერძნული და ლათინური ასოების კრიტულ ნიშნებთან დიდ მზგავსებას. გარდა ამისა ბერძნული „ალფა“ წარმოსდგა ფინიკურ „ალეფ“-ისაგან, რაც ხარს ნიშნავს, კრეტულ ხატოვანში კი მოთავსებულია ხარის თავი რქებით; ბერძნული „დელტა“ უდრის ფინიკურ „დალეტ“-ს; ეს უკანასკნელი ნიშნავს კარებს, კრეტულ ხატოვანში გვხვდება იდეოგრაფიული ნიშანი—კარები; ბერძნული „კაპა“=ფინიკურ „კაფ“-ს=ხელის ტოტს ანუ მტევანს, კრეტულში—ხელის მტევანი ან ორი ერთი მეორეზე გადადებული ხელის ტოტი. ბერძნული „ნი“, „ნიუ“=ფინიკურ „ნუნ“-ს=თევზს, თუ წყლის გველს; კრეტულში—წყლის გველი თუ თევზი; ბერძნული „ომეგა“=ფინიკურ „აინ“ (თვალი); კრეტაზე—იეროგლიფი თვალის სახით[1]). ეს მაგალითები შეიძლება უფრო გაფართოვდეს და უფრო სრული მზგავსება დაწესდეს კრეტულ ნიშნებსა და ბერძნულ-რომაულ ანბანის შორის, და, რადგანაც ევროპიული ენათა ალფაბიტი თავის მხრივ ბერძნულ-რომაულიდგან წარმოსდგა, თუ ზევით ხსენებული მზგავსება დამტკიცდა, მაშინ ცხადი იქნება, რომ ევროპიული ალფაბიტიც ეგეოსის კულტურისაგან უნდა მიმდინარეობდეს[2]. თუმცა უკანასკნელ ხანებში ამ საკითხზე გარკვეულად საწინააღმდეგო მოსაზრებაც იქნა გამოთქმული: მკვლევარი კალინკა ამტკიცებს, რომ ბერძნული ალფაბიტი განვითარდა არა კრეტას დამწერლობითი ნიშნებისაგან, არამედ ფინიკიელთა მონათესავე რომელიაც სემიტიური ხალხის ალფაბიტისაგან, და ეს უცნობი ხალხი კი თავის მხრივ შუამავალი იყო ამ ალფაბიტის წარმომშობ ხალხისა და ბერძნების შორისო.[3]) საერთოდ ეს საკითხი მეცნიერთა დიდს ყურადღებას იპყრობს, რასაც თუგინდ ისიც ამტკიცებს, რომ უკანასკნელ წლებში მის შესახებ გერმანულ ენაზე რამდენიმე სერიოზული წერილი დაიბეჭდა.[4]). მართალია, სხვათა შორის ეს გა-

[1]) სქემა ამოღებულია ბ. ფარმაკოვსკის შესავალ წერილიდან ლიხტენბერგის თხზულებაში გვ. XVII.

[2]) ხსენებული სქემის შესახებ იხ. ევანსი „Scripta Minoa“ გვ. 89, 240, 258.

[3]) იხ. მისი წერილი „Der Ursprung Buchstabenschrift“ (Klio 16, 3—4, 302—317).

[4]) მაგ., Lehmann—Haupt, zur Herkunft des Alphabets (Zeitschr. der deutsch. morgenland. geselchaft LXXIII. 1919 წ.) Herm. Bauer, Zur Entzifferung der neuentdeckten Sinais—schrift und zur Entshehung des semitischen Alphabets. 1918. და სხვ.

რემოებაც უნდა აცხოველებდეს ჩვენს ინტერესს ამ კულტურის შესწავლისადმი, მაგრამ ცხადია ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია შესასწავლი და გასარკვევი, რომ მიღებულ დებულებათ ნამდვილი მეცნიერული მტკიცების ხასიათი მიეცეთ.

კრეტის კულტურის განვითარებაში პირველესად ყოველისა უნდა აღინიშნოს ორი მთავარი ხანა: ნეოლიტიური და ბრინჯაოსი. ჩვეულებრივად კრეტას კულტურის განვითარების საფუძვლად ითვლება კერამიკა, რომელიც ყველაზე უფრო ნათლად გამოხატავს მისი ევოლუციის ყველა საფეხურს. აღმოჩენების მიხედვით ჩვენთვის დღეს ნათელია, რომ ბრინჯაოს საუკუნეს კრეტაზე წინ უსწრებდა—ნეოლიტიური ხანა. მისი ნაშთები ამოაჩინეს კნოსში, ფესტში, პალაიკასტროში და სხვა ადგილებშიც. ყველაზე უფრო ღრმა ნეოლიტიური შრე გათხარეს კნოსში, იგი სიღრმით 8 მეტრისაა. მასში იპოვეს განსაზღვრული ტიპის კერამიკის ნატეხები, რომელთა საშუალებით შეიძლება გავითვალისწინოთ კერამიკის ფორმისა და ორნამენტის თანდათანობითი განვითარება. პირველ შრეში გვხვდება კერამიკა ყოველგვარ სამკაულს მოკლებული, გარდა ზოგიერთ შემთხვევაში რაღაც მაგარი საგნით ჩაბეჭდილი ხაზებისა. შემდგომ შრეში კი უკვე მათზე ჩნდება წერტილები. ამგვარად წარმოიშვა დაპრელებულ ნახატებიანი კერამიკის პრიმიტიული სახე. ზედა შრეში იპოვეს უკვე გაელვარებული კერამიკა. ფესტის ნეოლიტურ შრეში აღმოაჩინეს ნეოლიტიური საუკუნის ქოხის ნანგრევები და მათში მრავალი ძვალი გაელვარებული ცული და დანა; აქ, ქვედა შრეში წავაწყდებით ნატეხებს შავი და მიხაკის ფერის კერამიკისას, ხოლო ზედა შრეში უკვე საკმაოდ სრულ ორნამენტიან კერამიკებს. ნეოლიტიური ხანის არსებობა კრეტაზე ქრ. წ. სამი ათასიან წლებს უნდა უახლოვდებოდეს. როგორც უკვე იყო ნათქვამი, მას თან მოსდევს ბრინჯაოს საუკუნე [1]. ამ უკანასკნელს კრეტაზე ევანსი სამ მთავარ ხანად ჰყოფს: 1) ადრე მინოსურად, 2) შუა-მინოსურად და 3) გვიან მინოსურად; თითოეული მათგანი კიდევ თავის მხრივ სამ ნაწილად არის განკვეთილი ა) ადრე მინოსური ხანის დაახლოებით (ქრ. წ. 2200 წ.) პირველ ნაწილში სწარმოებს თანდათანობითი გადასვლა ნეოლიტიური საუკუნიდან ბრინჯაოს ეპოქაზე. ამ დროს ჭურჭლებს ხელით ამზადებენ და კერამიკა ჯერ კიდევ წააგავს ნეოლიტიურ კერამიკას. ბრინჯაოს საუ-

[1] იხ. ევანსის, ლარფელდის და კაგაროვის ზეპოდ დასახელებული შრომების გარდა: Fimmen, „Zeit und Daurer der kretich. mykenischen kultur“.

კუნის მოვლინების დამამტკიცებელ საბუთად ჩაითვლება ბრინჯაოს ხანჯლების მზგავსი ლითონის საგნები.

II ნაწილში ვითარდება ფორმა კერამიკისა, რაც უმთავრესად იმაში გამოიხატება, რომ ვაზებს უკეთებენ ნისკარტის მზგავს გრძელ ყელს, ხოლო ორნამენტი გადმოცემულია სწორი თუ მეხვეულ-მოხვეულ ხაზებით. ამ დროს უფრო ხშირია ბრინჯაოს ხანჯლები.

III ნაწილში შემდეგ განვითარებას განიცდის, როგორც ფორმის, ისე ორნამენტის მხრივ კერამიკა, უფრო გავრცელებულ ორნამენტად ითვლება კონცენტრიული წრეები და თითქმის სპირალებიც; გვევდება აგრეთვე გეომეტრიული ორნამენტიც, ჩნდება საპურეელი, ბორბალი, ქვის ბეჭდები პიქტოგრაფიული ნიშნებით, ხოლო მარმარილოს და სტეატიტის კერპები, რომლებიც ჯერ კიდევ ამაზე წინ იყო გავრცელებული, უფრო სრულ გამოხატულებას იღებს. ადრე მინოსის ხანის დასასრულს გვეევლინება რბილი ქვის სამკუთხიანი ბეჭდები, პრიმიტიულ ხატოვანი დამწერლობით.

ბ) **შუა - მინოსური ხანის** (ქრ. წ. 2200—1600 წ.) **პირველ ნაწილში** გეომეტრიულ მოტივთა შორის განსაკუთრებულ მიმზიდველობას იწვევდა მრუდხაზიანი უზორები. დამახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ ის კერამიკა, რომლის ორნამენტი კომბინაციაა მრუდე ხაზებისა, რომლებიც პეპელას ფრთებს მოგვაგონებს, რისთვისაც მას „პეპელას მოტივის“ კერამიკა უწოდეს, თუმცა არ იქნება მოკლებული აზრიანობას, თუ ვიფიქრებთ რომ ხსენებული კერამიკის ორნამენტი უფრო კრეტაზე გავრცელებულ ორპირიანი ცულის გამოხატულებას შეიცავს. ამ ნაწილში ვხედავთ იმავე სამკუთხიან ბეჭდებს, უმთავრესად რბილი ქვისაგან, პირობითი პრიმიტიული იეროგლიფური ზედწარწერილობით (კლასი A).

II ნაწილში დიდად განვითარებულია კერამიკა; მრუდხაზიანი მოტივები ბატონობს საერთოდ; საღებავების შეფარდება ააშკარავებს უფრო მაღალ საფეხურს ორგანიული განვითარებისას; ფერადების კომბინაცია უცნაურია, საღებავების სისტემები უფრო შედარი და მრავალ ფეროვანი და ყოველივე ეს სტოვებს სასიამოვნო ესთეტიურ შთაბეჭდილებას, თუმცა ჰარმონიას არღვევს საღებავის შერჩევაში ხშირად ყოველ გვარი ბუნებრიობის დავიწყება. ამ დროის ლირს შესანიშნავი კერამიკები „კამარეს“ სტილისა არის. გარდა ამისა იწყება თანდათანობითი შემოღება ბეჭდებისთვის მაგარი ქვისა და ხატოვანი დამწერლობა განიცდის შემდეგ განვითარების (კლასი B).

ამ დროს უნდა ეკუთვნოდეს კნოსის და ფესტის უძველესი სასახლეები. მის დასასრულს მოხდა საერთო კატასტროფა.

III ნაწილში იქნა აგებული მეორე სასახლე, როგორც კნოსში, ისე ფესტში. ამ დროს საზოგადოდ ეცემა ჩრავალფეროვანი კერამიკა. პოლიხრამიული კერამიკა ადგილს უთმობს მონოხრამიულს, სამაგიროდ ძლიერდება ნატურალისტური გადმოცემა, რომელიც ხელოვნების ნაწარმოებთა საერთო დამახასიათებლად ჩაითვლება. ფრიად საყურადღებოა სხვა და სხვა ფერის ფაიფურისაგან გაკეთებული ქალის პატარა ფიგურები, რომელთა შესრულებაშიაც სჩანს ბუნების ღრმა ცოდნა და ადამიანის სხეულის გამოქანდაკებაში კი გასაოცარი ხელმარდობა. უკვე ჩვეულებრივად ხდება მაგარი ქვის მოხმარება ბეჭდებისათვის. მათზე მოთავსებული ხატოვან დამწერლობა ისეთივე ნატურალიზმითაა აღსავსე, როგორიც საერთოდ ახასიათებს მხატვრობას. ამ ნაწილის დასაწყისში გვხვდება იეროგლიფიური დამწერლობა საუცხოოდ შესრულებული სურათებით. ხოლო მის დასასრულს იწყება უკვე ხაზოვანი დამწერლობა (კლასი A, მისი ძეგლები სასახლის დიდ საცავში).

გვიან მინოსური ხანის (1600—1400) პირველ პერიოდში სწარმოებს დიდი გადაკეთება სასახლისა. ამ ეპოქაში უფრო ეითარდება ნატურალიზმი. კერამიკაზე გარდა მცენარეებისა და ცხოველებისა ხშირად გვხვდება ადამიანთა გამოსახა. დამახასიათებელ ვაზებად უნდა ჩაითვალოს ვაზები. რელიეფური გამოხატულებით. მათ შორის საუცხო არის სტეატის ვაზები ამ პერიოდს ეკუთვნის უკვე ხსენებული „მკელთა ვაზა“ და ვაზა გიმნასტიური შეჯიბრების სცენებით, სადაც ფიგურები და მოძრაობა სრულის სინამდვილით არის გადმოცემული. დიდად განვითარებულია აგრეთვე კედლის მხატვრობა. ავიღოთ თუ გინდ აგია ტრიადის სარკოფაგი, რომლის მარჯვენა მხარეზე დიდი სიცხადით არის გადმოცემული მიცვალებულის მოსაგოშნარი მსხვერპლის შეწირვა, ხოლო მარცხენაზე რაღაც საღვთო ცერემონია. ამ დროს იეროგლიფური წარწერები საბოლოოდ უთმობენ ადგილს ხაზოვან დამწერლობას (კლასი A, რომლის ძეგლები უმთავრესად აღმოჩენილი იქნა „Hagia Triada“-ში, გურნიაში და პალეოკასტროში).

II ნაწილში სასახლის გადაკეთება დამთავრდა; სრულ განვითარებას განიცდის ეგრეთ წოდებული „სასახლის სტილი“, რომლის განმასხვავებელ თვისებად ითვლება პირობითი სურათი ნათელ ფონზე. ნა-

ტურალიზმი დაცემის გზაზე სდგას, მის მაგიერ ძლიერდება სტილიზაცია. ჩნდება ახალი დეკორატიული ელემენტი, არხიტექტონური მოტივები. ორნამენტი ფარავს თითქმის მთელ ჭურჭელს. საერთოთ მინოსიანები აღწევენ უმაღლეს საფეხურს, როგორც ნივთიერი, ისე მხატვრული კულტურის განვითარებისას. ბევრ რამეში ეს კულტურა გასაოცრათ მოწინავეა; მრავალ სართულიანი სასახლეები მათი ძვირფასი კიბეებით, კერძო სახლები მათი სილამაზით და ფუფუნებით, დუქნები და მაღაზიები, კანალიზაციის სისტემა, თითქმის ქალების მოდებიც ჩვენს გაოცებას იწვევს; ყოველივე ამას თანასწორი არა ჰყავს ძველ დროში. ეს მედიდურული ფუფუნება არ იყო შედეგი აჩქარებული და მოულოდნელი განვითარებისა; იგი არც უკბო ქვეყნების იდეათა პირველ ყოფილი ხალხის მიერ შეთვისებისაგან წარმოსდგა. მიუხედავად ახლო კავშირისა მეზობელ ერებთან იგი იყო შედეგი ხანგრძლივი ეროვნული განვითარებისა, რომლის ფესვები შორს, ნეოლიტიურ ხანაში იმარხება, როდესაც ადამიანი პირველად დასახლდა კნოსის გორაკზე. დაახლოებით ქრ. წ. 1450 წელს, მინოსიანები გაბატონდნენ მთელ ხმელთა შუა ზღვაზე. საზღვაო ვაჭრობა ევროპასა, აზიასა და აფრიკას შორის სავსებით მათ ხელში იყო. ფინიკიელების ვაჭრობა ჯერ კიდევ სრულიად უმნიშვნელოა, ისინი ამ მარივ მხოლოდ მეჰკვიდრეები შეიქმნენ კრეტასი იმ დროიდან, როდესაც მინოსის სამეფო აღგავეს დედამიწიდან. თითქმის ტირის შესანიშნავ პურპურითაც კულტურა მინოსიანთა მოვალეა. არა ნაკლებ საოცარია მათი ინდივიდუალური ხასიათი. ისინი განსხვავდებოდნენ აქეელებისაგან და სრულ კონტრასტს წარმოადგენდნენ ეგვიპტელებსა და აზიის ხალხებთან, როგორც ტანსაცმელით, ისე აგებულობით და ხასიათით. ეს თავისებურობა უფრო ღრმავდებოდა იმ ფაქტით, რომ ისინი ბატონობდენ საიდუმლოებით მოცულ ზღვაზე. ამ დროს მინოსის საბრძანებელი, რომლის გეოგრაფიული და პოლიტიკური ცენტრო კნოსი იყო, შეადგენდა ფართო და შეკავშირებულ სახელმწიფოს ძლიერი ცენტრალიზაციით. მინოსიანების სამფლობელო თავისი სიმდიდრით, კულტურით და ძლიერებით ადვილად მოეჩვენებოდა ძველ ქვეყნებს რაღაც მეოთხე ხმელეთის მზგავსად, თავისებურ ავსტრალიად. [1]) ამ დროს ეკუოვნის სასახლის დიდი საცავები ფირფიტებით, რომლებიც დაფარული არის საკმაოდ განვითარებული ხაზოვანი დამწერლობით (კლასი B.)

[1]) Frost, The critias and Minoan Crete (The Journal of Hellenic, vol. 33. (1913) გვ. 192—193.)

ეს ეპოქა დიდი კატასტროფით მთავრდება, რომლის დროსაც ინგრევა კნოსის და ფესტის სასახლეები.

გვიან—მინოსური ხანის მესამე ნაწილი არის დრო კრეტას კულტურის შემდგომი დაცემისა. კრეტას ორიგინალური კერამიკა ჰქრება, მის ადგილს იკავებს მიკენის კერამიკა, საზოგადოდ ერცელდება მიკენის გავლენა, რაიც განსაკუთრებით ბრინჯაოს იარაღებს ემჩნევა. ასე ეღება ბოლო იმ დიდ კულტურის განვითარებას, რომელიც საფუძვლად დაედვა ბერძენთა ხელოვნებას. შემდგომი ეპოქის საფლავები კნოსში უკვე თავისთავად გვიჩვენებს იმ ღრმა ცვლილებას რომელიც რწმენასა და ზნეჩვეულებაში კრეტას მცხოვრებლებმა განიცადეს. ბრინჯაოს საუკუნეს [2]) სცელის რკინის ეპოქა: კერამიკის ორნამენტი უბრალო ფორმას ღებულობს, სამაგიეროდ განვითარების უდიდეს საფეხურს ახწევს სტილიზაცია და მხატვრები სრულიათ ჰკარგავენ ბუნებრივობის ყოველგვარ გრძნობას.

---

[2]) ბრინჯაოს საუკუნეს ჰოეტი ჰესიოდი ასე ახასიათებს (ΕΡΓΑ ΚΑΙ ΗΜΕΡΑΙ, 150 შემ.): τῶν δ'ἦν χ'αλκεα μὲν τεύχεα, χάλκεοι δέ τε οἶκοι· χαλκῷ δ'εἰργάζοντο, μέλασ δ'οὐκ ἔσκε σίδηροσ." (-„ჰქონდათ სპილენძის საჭურველი, სპილენძის სადგომები, შუშაობდენ ისინი სპილენძით და არ მოეპოებოდათ მათ შავი რკინაო.").

თ ა ვ ი III.

„მიკენის“ პერიოდი.[1])

ტროადა და მისი ნაშთები. მიკენი, ტირინთი, მათი ძეგლები. „მიკენის“ კულტურა. მისი დრო, მისი დამოკიდებულება კრეტას კულტურასთან.

კრეტის-მიკენის კულტურის გავრცელებაში უნდა განვსაზღვროთ სამი მთავარი მხარე, სადაც ადგილობრივათ ამ კულტურამ თავისებური ევოლიუცია განიცადა. ასეთ მხარეებად უნდა ჩავსთვალოთ: კრეტა, ტროადა და საბერძნეთის ხმელეთი. პირველს უკვე შეეხეთ. განვიხილოთ მეორე.

როგორც პირველ თავში იყო ნათქვამი, ჰისარლიკზე, ძველი ტროადის ადგილას, შლიმანისა და შემდეგ დერპფელდის მიერ აღმოჩენილ იქნა ათი თუ თერთმეტი მოსახლეობა, რომლებიც თანდათანობით ერთი მეორის ნანგრევებზე უნდა ყოფილიყო წარმოშობილი[2]). პირველი—ყველაზე ქვედა მოსახლეობა ეკუთვნის ჯერ კიდევ ქვის ეპოქას (ქრ. წ. მესამე ათასიან წლებს). ადამიანთა ის თაობა, რომელიც აქ დასახლებულა, როგორც ძეგლები გვიჩვენებს, კმაყოფილდებოდა, ფრიად პრიმიტიული სადგომებით და ძელის თუ ქვის სრულიად უპრალო ჭურჭლეულობით. ამ ადგილას აღმოაჩინეს რამდენიმე ტლანქი პარალელური კედელი, ქვის იარაღი, ცული, დანა, ხე-

[1]) დამატებით იხ. შლიმანის „Troja“ ლაიპ. 1884 წ., „Trojanische Alertümer“ ლაიპ. 1874., და „Bericht üb. die Ausgrabungen in Troja“. ლაიპ. 1890, დერპფელდის: „Troja und Ilion“ ათინა 1902 წ., შუჰარდტის „Schliemanns Ausgrabungeu im Lichte der heutigen Wisssenschaft“. ლაიპ. 1891 წ. და „Греческая древность“ Микенский период. (კოლეკტ. შრომა ბაუმგარტენის რედაქციით).

[2]) შლიმანი დარწმუნებული იყო, რომ აღმოაჩინა 7 „ქალაქი“, მათ შორის ხუთს იგი პრაისტორიული დროისათ სთვლიდა, მეექვსეს—ლიდიურად და მეშვიდეს ბერძნულ-რომაულ „ახალ ილიონად“.

ლით გაკეთებული შავი თიხის ჭურჭელი, რომელიც სრულიად მარტივად შემკული არის თისაზე ამოკაწრული და ცარცისაგან ამოვსებულ მიხვეულ-მოხვეულ ხაზებითა და წერტილებით; ძელები ხარისა, ვერძისა, თხისა, თევზისა, გარეული ღორისა და აგრეთვე ნიჟარები. ეი ყოველივე ან თითქმის ყოველივე ის, რაც დაუტოვა ისტორიას ამ უუძველესმა მოსახლეობამ. ამ ძეგლების თანახმათ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პირველი „ქალაქის“ მცხოვრებლები კულტურული განვითარების უმდაბლეს საფეხურზე იდგენ და მესაქონლეობას და მეთევზეობას მისდევდენ.

უფრო მდიდარი და მრავალფეროვანი მოსჩანს კულტურა მეორე **„ციხე ქალაქისა“**. იგი მოცული იყო მაგარი კედლით, რომლის შიგნით მოთავსებული ყოფილა დიდი შენობები და მათ შორის სამხრეთისაკენ გახსნილი სასახლე. ეგი ალბად ადგილობრივ უმაღლეს ხელისუფალთ ეკუთვნოდა. ამ ხელისუფალთა სიმდიდრეზე მიგვითითებს ის ძვირფასი საგნები, რომლებიც მასში იპოვეს, და განსაკუთრებით **„დიდი გვნძი“** [1]), მრავალი ვერცხლის და ოქროს წვრილი სამკაულისა,



სურათი № 30.—ტროადის დიადემა.

ოქროს დიადემისა, ძვირფასი ჭურჭლებისა და სხვა საყურადღებო ნივ-

[1]) იხ. სურათი № 1.

თებისაგან რომ შესდგებოდა. მათ შორის შესანიშნავი იყო ორი ძვირფასი დიადემა, ოქროს ქინძისთავები და საყურეები. ტროადის დიადემა წარმოადგენს ვიწრო ოქროს ლენტს, რომელზედაც დაკიდებულია მრავალი პატარა ძეძკვი; ამ ძეძკვების ქვედა ნაწილებს მიკრული აქვსთ ოქროს ფირფიტები, რომელთა ფიგურებიც თითქოს კერპებს განასახიერებს. ტროადის სულ ქვედა ფენებში აღმოჩენილი საგნები გვარწმუნებს, რომ მათი პატრონები ერთსა და იმავე დროს ხმაურობდენ ქვასა და სპილენძს. ეს გარემოება შეიძლება იმას გვეუწნებოდეს, რომ წმინდა ქვის საუკუნეში აქ ჯერ კიდევ არ არსებობდა რაიმე მოსახლეობა. მართალია, იარაღის უმრავლესობა ბრინჯაოსაგანაა, მაგრამ სამაგიეროთ ჭურჭლეულობის ნაწილი შემზადებულია ლითონისაგან, ნაწილიც თიხისაგან. ჭურჭლებს უმეტესად გახვრეტილი ყური აქვსთ, ალბად ბაწრის გასაყრელად. მათი დასურათება სრულიათ მარტივ ორნამენტს შეიცავს, ასე, მაგ. გვხვდება თავისებური გამოხატულებანი ცხოველებისა და ადამიანის პირისახისა; ეს ეგრედ-წოდებული „პირისახის ვაზები" ისეთ ჭურჭელს წარმოადგენს, რომლის ყელზე, ან დასახურავზე ხაზებითაა აღნიშნული ადამიანის თვალები და ცხვირი; გარდა ამისა ასეთ ჭურჭელს გადაკრული აქვს მომრგვალო ნაპრები მკერდის და



სურათი № 31—ტროადის ვაზები.

სქესის აღსანიშნავად. ასეთი, თუ შეიძლება ითქვას, მხატვრული ხერხი უძველესი მითოლოგიური სიმბოლო იყო ადამიანის ფიგურის გამოხატვისათვის. ამ მხრივ საყურადღებოა აგრეთვე ტროადის კერპები. მათ დასახასიათებლად უნდა გვახსოვდეს, რომ მათი უმრავლესობა ქვის ისეთ პატარა ფირფიტებს წაგვავს, რომლებზედაც ადამიანის ფიგურა მიახლოებით არის გადმოცემული და მათი ფორმა კი კონტურების მიხედვით სკრიპკას მოგვაგონებს. ზო-

გიერთი კერპის ზედა მომრგვალებულ ნაწილზე აღნიშნულია პირისახის მოხაზულობა, რომლის გადმოსაღებად საკმარისად მიუჩნევიათ მხოლოდ თვალებისა და მათ ზევით წარბების რკალის მზგავსი ხაზებით ნამოხატვა. ამ რკალების მახვილი კუთხის ქვეშ შეერთება კი ვითომ ცხვირს გამოსახავდა: ტროადის კერპთაშორის საუგლისხმოა ქალის შიშველი ფიგურა, რომელსაც ხელები გულზე დაუკრეფია და ყურებთან რქის მზგავსად თმის კულულები დაუხვევია; მას ხაზგასმით აქვს აღნიშნული სქესი. სამწუხაროდ შემდეგში, როდესაც ეს ფიგურა ბერლინის მუზეუმში გაწმინდეს, სქესის ნიშანი გამოურკეველი მიზეზით გაჰქრა. საზოგადოთ ასეთი კერპები იმავე ღმერთ-ქალს, დიდ-დედას და ნაყოფიერების იმავე სიმბოლოს უნდა გვისურათებდეს, როგორსაც ჩვენ კრეტას მითოლოგიაში გავეცანით. ვხედებით ტროადაში ცულებსაც; ისინი წარმოადგენს მწვანე თუ ცისფერი ქვისაგან (ლაპის-ლაზულისაგან) დიდის გულმოდგინეობით გაელვარებულ და ორნამენტებით მდიდრად შემკულ საალლუმო ცულებს. უნდა ვიფიქროთ, რომ აქაც მათ კულტთან გარკეეული კავშირი ჰქონდა.

სურ. № 32—ტროადის კერპი.

№ მეორე „ქალაქის" ნანგრევთა შორის აღმოჩინეს აგრედვე ხორბლის მომარაგება: ეს გარემოება საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მისი მცხოვრებლები გარდა მესაქონლეობისა მისდევდენ აგრედვე ხვნათესვასაც და საზოგადოთ შეიძლება ითქვას, რომ ამ „ქალაქის" კულტურა ეკუთვნის უკვე ბრინჯაოს საუკუნეს (ქრ. წინ 2500—2000 წლებს). მის ნანგრევების დაკვირვებით შესწავლა გვარწმუნებს, რომ ეს „ქალაქი" ცეცხლისაგან დაღუპულა. აღბად სხვათაშორის ესეც იყო მიზეზი, რომ იგი შლიმანმა ჰომიროსის ტროადად ჩასთვალა და უაღრეს სიხარულს მიეცა. მაგრამ შესცდა. მიუხედავათ ამისა, პირველი ორი „ქალაქის" კულტურას მაინც „ტროადის კულტურა" უწოდეს, რომლის აყვავება ქრ. წ. მორე ათასიან წლებში უნდა მომხდარიყო. ამ დროს, როგორც ძეგლებიდან სჩანს, ციხის ქვედა კედლების ასაგებად ქვის დამრეც, დაჭანებულ ფიქალებს ხმარო-

ბდენ; ასეთი ქვისაგან აშენებულ კედლებზე თავისუფლად შეიძლებოდა ძირიდან თავამდის აკოცება, შემდეგ კი მათზე აღმართული ყოფილა თიხის აგურებისაგან და ქვით შემოწყობილ ხის კოჭებისაგან შეკრული ზედა კედლები, რომლებიც ალბად ნამდვილ თავდაცვით საფარს წარმოადგენდა; მათ საზღვრავდა ჭიშკრები და ვიწრო გამოსასვლელები. ამ ჭიშკრების წინ საკმაოდ კარგად მოკირწყლულ გზებს ვამჩნევთ. მეორე „ქალაქის“ შენობები შესდგებოდა უმთავრესათ განსაკუთრებული სამკუთხოვანი დარბაზისაგან, რომლის შესასვლელი მხარის წინ აშენებული იყო დერეფანი. ამ შენობათა კედლები აგებული ყოფილა გამოუმწვარი აგურისაგან და სიმაგრისათვის აქაც მათში ჩაუტანებიათ ხის კოჭები. ხის ყველა ეს ნაწილი შენობათა დაქანებული სახურავებით და ხისავე გალერეით მდიდარი, მასალა იქნებოდა ცეცხლისათვის, რომელმაც იმსხვერპლა კიდეც ეს „თიხის ქალაქი“.

ტროადის „ქალაქებს“ ჭიშკრების იქით ჰქონია თიხის კედლებით შემოვლებული ფართო ეზოები, სადაც ომის დროს შეეძლოთ თავი შეეფარებიათ იმათ, ვინც ციხეში მუდმივათ არ ცხოვრობდა. ამგვარად, შინა ეზოს სასახლით გარს ერტყა მეორე ფართო ეზო თვისი მაგარი კედლე-



სურათი № 33 — VI. „ქალაქის“ აღმოსავლეთი ნაწილი

ბით, ეს შოვლენა საერთოდ ახასიათებს ეგეოსის პერიოდის ყველა სასახლეს. პირველი ორი „ქალაქის“ ადგილას შემდეგში თანდათანობით წარმოიმდგარა სამი უმნიშვნელო მოსახლეობა, ეგრეედ წოდებული „მესამე, მე-

ოთხე და შეხუთე ქალაქები.“ ხოლო მათ შემდეგ „**მეექვსე ქალაქი,**“ რომელიც გამოიკვლია შლიმანის თანამშრომელმა დერპფელდმა და რომელიც მეორე ათასიან წლების მეორე ნახევარს უნდა ეკუთვნოდეს. იგი უნდა იყოს სწორედ ის ტროადა, რომელიც აღწერილია ჰომიროსის უკვდავ პოემაში. ეს „ქალაქი“ გარემოცულია ძლიერი კედლით, რომლის სამი მხარე სრულად არის დაცული, ხოლო ერთი, ჩრდილოეთ-დასავლეთით კი უკვე ძველადვე დაუტაცნიათ, ალბად მეზობელი ქალაქების ასაშენებელ მასალად. ამ კედელს გვერდებიდან იცავდა სამი კოშკი, რომელთაგანაც ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარე უფრო დიდი და მაგარი კოშკის შიგნით ყოფილა ჭა, ალბად იმიტომ, რომ მეციხოვნეთ წყალი არ გამოლეოდათ, თუ ვინიცობაა მტერი ციხეს ალყას შემოარტყავდა. კედელს ჰქონია აგრეთვე სამი ჭიშკარი. კედლის შიგნით შენობები ამართული იყო სამ კონცენტრიულ ტერასაზე, ხოლო ზევით სწორედ შუა ადგილას—მეფის სასახლე. ეს შენობები აგებული არის არა აგურისაგან, არამედ ქვისაგან, ზოგიერთი თითქმის მშვენიერად გათლილი ქვისაგან.

ამ შენობათა ნანგრევებში აღმოაჩინეს მრავალი ჭურჭელი და ფიგურეტა, რომლებიც უკვე მიკენის ეპოქას ეკუთვნის. ცხადია, ტროადას ახლო კავშირი და დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა კრეტის-მიკენის კულტურის გავრცელების სხვა ადგილებთან. მაგრამ აქ ყველაფერი უფრო მკრთალია, ვიდრე კრეტაზე, კოსში და ფესტში. აღსანიშნავია, რომ ტროადაში მეექვსე „ქალაქის“ ნანგრევთა შორის აღმოჩენილ საკუჭნაოს მზგავს ოთახში ნახეს დიდი თიხის ჭურჭლები—პითები, რომლებიც ერთი მეორეს გვერდით იდგა და რომლებშიაც ინახავდენ ხორბალს და სხვა სანოვაგეს. ეს გარემოება გვაგონებს ჰომიროსის სიტყვებს ტელემაკის მამის—ოდისეს სალაროზე: „ὡς φάνη δ' ὑψόροφον θάλαμον κατεβήσετο πατρὸς εὐρύν, ὅθι νηοῖ χρυσός καὶ χαλκὸς ἔκειτο ἐσθῆς τ' ἐν χηλοῖσιν ἅλις τ' εὐῶδες ἔλαιον. ἐν δὲ πίθοι οἴνοιο παλαιοῦ ἡδυπότοιο ἕστασαν ἄκρητον θεῖον ποτὸν ἐντὸς ἔχοντες“ [1]). „მეექვსე „ქალაქშიაც“ სჩანს კვალი დიდი ცეცხლისა და განადგურებისა, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ისიც ცეცხლისაგან დაიღუპა, რომელიც

[1]) Od. II, 338 ... შენობა ერცელი, ოქროს და ვერცხლის იქ გროვა ელავა. თახჩებში ბევრი ტანსაცმელი და სურნელოვანი ზეთი ინახებოდა; პითები თიხისახან მრავალწლოვანი და ტკბილი ღვინით კედლებთან იდგა და შეიცავდა ღვთაებრივ წმინდა სასმელსო.“

ალბად შემოსეულმა მტერმა გაუჩინა. ეს არც გასაკვირველია, რადგან ამ ადგილას, ჰელესპონტთან, სადაც აზიის ნაპირი ძლიერ ახლოს არის ევროპისასთან, ადგილას, რომელიც ერთგვარ ხიდს წარმოადგენდა ევროპასა და აზიას შორის, მუდმივ სწარმოებდა ბრძოლა. აქ ადგილი ჰქონდა ათასეული წლების ისტორიას, კულტურის სხვა და სხვა ფენებს და მრავალგვარი მოსახლეობის მთელ წყებას, რომელთაგანაც ზოგი მართლაც მტრისაგან დაიღუპა და განადგურდა.

საბერძნეთის ხმელეთზე ეგეოსის კულტურის გავრცელების მთავარი ადგილები იყო **მიკენი და ტირინთი.** ორივე ქალაქი, როგორც იყო ნათქვამი, პელოპონესზე, არგოლიდაში მდებარეობდა. აგამემნონის სატახტოქალაქი—მიკენი ზღვიდან 4 საათის სასიარულო მანძილზე არსებობდა. მისი აკროპოლისის გორაკს გარს ერტყა მაღალი მთები. წინააღმდეგ კრეტას სასახლეებისა მიკენის აკროპოლისი კარგად არის გამაგრებული. მას შემოვლებული აქვს უზარმაზარი ციკლოპიური კედელი. ციხეში მთავარი შესავალი იყო განთქმული **„ლომის ჭიშკარი“.** ეს ჭიშკარი შეიცავს ცოტა ირიბად დადგმულ რამდენიმე



სურათი № 34 ლომის ჭიშკარი.

სვეტს, რომლებზედაც დადებულია კარის ნალი სიგრძით 5 და სიგანით 1 მეტრი. ამ უზარმაზარ ქვის ზემოდ კედელში დატოვებულია „შე-

მამსუბუქებელი სამკუთხედი," და ამგვარათ შექმნილ თავისუფალ ადგილში ჩატანებულია თხელი ფილაქანი ლომების რელიეფური გამოხატულებით: ორი დედალი ლომი წინა ფეხებით სდგანან დასაყრდნობზე, რომელსაც საკურთხევლის ფორმა აქვს; უკან ამართულია ბოძი, რომელიც ზევით თან და თან წკრილდება. გარდა ამ მთავარი ჭიშკრისა, ჩრდილოეთით ციხეს ჰქონდა პატარა კარი, რომლის მახლობლად მშვენიერი წყარო ყოფილა, ამ კარების დანიშნულება მაშასადამე ცხადია, მისი საშუალებით შეეძლოთ წყაროთი სარგებლობა. ციხის შიგნით იმყოფებოდა სასახლე, რომელიც ორ ნაწილად იყო გაყოფილი, ქალების სადგომი ცალკე და მამაკაცების ცალკე. მათში ბანი დარბაზისა დამყარებულია ხის ბოძებზე კერასთან, კედლები კი შემკული არის სხვა და სხვა მხატვრობით. ციხე წყლის მიწოდების მხრივ უზრუნველყოფილად სჩანს, ხოლო წყალდიდობის დროს ყოველგვარი უბედურების ასაცდენად რამდენიმე არხი გაუთხრიათ, რომლებშიაც მოვარდნილი წყალი თავისუფლად გავიდოდა. ციხეს ზემოდ, დღევანდელ წმ. ილიას მთაზე, აღმოაჩინეს ნაშთები სამეთვალყურეო კოშკისა, საიდანაც ალბად თვალყურს ადევნებდენ იმ გზებს, რომლებიც მიკენს არგოლიდის ხვა ნაწილებთან აერთებდა[1].

იმ ძეგლებში, რაც კი ძველმა მიკენმა დაგვიტოვა, ყველაზე საყურადღებოდ უნდა ჩაითვალოს სამეფო საფლავები—ეგრედ წოდებული **მალაროს მზგავსი საფლავები.** ლომის ჭიშკრის შემდეგ გვხდება ტერასა, ორ წყება ქვის ფიქალებით შემოვლებული. ამ წრეში შლიმანმა აღმოაჩინა მალაროს მზგავსი უძველესი საფლავები, რიცხვით ექვსი, რომლებიც გამოკრილი არის კლდეში სწორკუთხოვან ჭების სახით. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს საფლავები თავის დროს ადამიანთა მოსახლეობისაგან მოშორებით იყო, თითოეულ საფლავში მოთავსებული ყოფილა ორიდან ხუთამდი მიცვალებული, ხოლო ყველაზე პატარაში (ეხლანდელი თვლით მეორეში) აღმოჩნდა მხოლოდ ერთი მიცვალებუ-

---

[1]) მიკენისა და ტირინთის შესახებ დამატებით იხ. შლიმანის „Mykenae", ლაიპციგი 1878, მისივე „Tiryns", ლაიპ. 1886 წ., Фельсберг „Микенский период истории Греции" იურ. 1907 წ., ბურკჰარდტის „Griech. Kulturgeschichte" ტომი I., Perrot et Chiniesz „Histoire de l'art dans l'antiquite" ტომი VI. პარიზი 1904 წ., Milhhöfer „Die Anfänge der Kunst in griechenland" ლაიპ. 1883 წ. და ფარმაკოვსკი „стенная живопись мик. епохи" (записки руск.-арх. общ. 1897 წ. XI).

ლი. ალბად როდესაც ციხის რაიონი გაფართოვდა და აუცილებელი შეიქნა მასში მოეთავსებიათ ძველი ადგილი საფლავებით, ამ უკანასკნელზე ბლომად დაუყრიათ მიწა. ამგვარად საფლავები დარჩენილა ღრმად მიწაში. მაგრამ შემდეგშიაც, რომ განსაკუთრებით აღენიშნათ ეს „წმინდა“ ადგილი, სადაც ძველად სამეფო საფლავები ყოფილა, მის ზევით აუგიათ მრგვალი ზღუდე ქვის ფიქალებისაგან და ამ სახით იგი განსხვა-



სურათი № 35—ტერასა სამეფო საფლავებით მიკენში.

ვებულად გაუხდიათ. ამ წრის შუა ადგილას მოუწყვიათ სამსხვერპლო ორჰო, ქვებით შემოწყობილი, მიცვალებულთა კულტისათვის. პირველ

სურათი № 36 მიკენის დიადემა.

და მესამე მაღაროს მზგავს სამარეში აღმოჩნდა მხოლოდ მიცვალებული ქალების ნაშთები.

ამ საფლავებში მრავლათ იყო დაცული ის სამკაულები, რომლებსაც მაღალი წრის ქალები ატარებდენ. ამათ შორის ყველაზე უფრო საგულისხმოა ოქროს დიადემები, რომელთაც შუბლს ზემოდ იკეთებდენ. ეს დიადემები წარმოადგენს ლენტებს, რომლებიც ორივე მხრივ მახვილი ბოლოებით თავდება. დიადემების ზედა პირი მორთულია ხელნათალა მრგვალი ბოცვებით, რომელითაც გარშემო მიემართება სპირალური ორნამენტები. სამკაულთა შორის აღსანიშნავი არის კიდევ ენის, თუ ფუტკლის მზგავსი ორნამენტიანი მრავალი ოქროს ფირფიტა და საყურე. საყურეები მაშინ ყოფილა უკვე საერთო ხმარებაში და სხვა და სხვა ფორმა ჰქონია; უფრო ხშირად ისინი წარმოადგენდენ ოქროს მავთულს, რომლის ორივე ბოლო სპირალად არის დახვეული, იშვიათად ოქროს ფირფიტებს ნახევარი მთავრის სახით, რომლის ბოლოები ერთი მეორეს ეხვდება და რომელთა ზედაპირიც შეკაზმულია ხელნათალ. საერთოდ მდიდარი სამკაულები ჰქონიათ მიკენის მაღალი წრის ქალებს; ღირსშესანიშნავი არის მათი თმის ქინძისთავებიც; ყველაზე დიდს და ლამაზს მათ შორის ბოლოში ოთავსებული აქვს ფიგურა, რომელიც ჰაერში მონავარდე დედაკაცს უნდა გადმოგვცემდეს; ამ ფიგურას გაშლილ ხელებში პაპირუსის მზგავსი მცენარე უკავია. შესაძლებელია, ამ გამოხატულებას რაიმე მითოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდეს, მაგრამ მისი გარკვევა დღეს-დღეობით შეუძლებელი

სურათი №№ 37—38 ოქროს ფირფიტები მიკენიდან.

თუ არა ყოველ შემთხვევაში საკმაოდ ძნელია. ქალების ტანსაცმელიც მრავლად ყოფილა შემკული ოქროს ნივთებით. საფლავებში ბლომად ნახეს ოქროს რელიეფური ფირფიტა სხვა და სხვა ცხოველების გამო-

ხატულებით. აგრეთვე ოქროს მრავალი რგვალი ნაპერი მორთულია ლენტის მოტივებით და ცხოველების სურათებით; მათში განსაკუთრებით ხშირად გვხვდება კარაკატიცები და პეპლები. ოქროს ზოგიერთ ფირფიტაზე ვხედავთ პალმის ფურცლებს. ყველა ამ ნივთს ალბად მიკენის ქალები ტანისამოსის ზევით იკერებდენ-სამკაულის სახით. ასეთი სიმდიდრე მოსჩანს არა მარტო სამკაულებში, არამედ საოჯახო ნივთებშიც, რომლებიც უძვირფასესი მასალისაგან მხატვრულადაა შესრულებული. საფლავებში აღმოაჩინეს მრავალი სხვა და სხვა გვარი ოქროს თასი. მათი გარეგანი მხარე შემკულია სპირალური სურათებით, თუ სხვა ორნამენტებით. ზოგჯერ მათზე გადმოცემულია დელფინები, დასასრულ, მათში გვხვდება მოტივები პირდაპირ ამართული მცენარეთა. მიკენის ერთ თასზე ვხვდებით გაქცეულ ლომთა გამოხატულებას, მეორე ვერცხლისაზე—სამ კასრს, რომელშიაც დარგულია მცენარეები, მესამე ოქროს თასის ორივე ხელზე ვხდავთ ოქროს მტრე-

სურათი № 39—მიკენის ოქროს და ვერცხლის თასები.

დებს; ამის მიხედვით მას ხშირად ადარებენ ნესტორის თასს, რომლის შესახებაც ჰომეროსი ამბობს: „საუცხოოდ მშვენიერი, ოქროს ლურსმებით დაფარული, ოთხ ხელიანი, რომელთა მახლობლად ნავარდობენ ორი ოქროს მტრედი. [1]) ყოველივე ეს ერთხელ კიდევ უნდა გვარწმუნებდეს იმაში, რომ ეპოსში დაცული იყო ხსოვნა მიკენის ეპოქისა და მასში ჯერ კიდევ სცოცხლობდა ჭალარა დროის ზღაპრული ამბები.

მრავალგვარი არის ის ფორმები, რომელთა მეოხებით ვეცნობით

[1]) ილიადა. XI. 632 შემდ.

მიკენის სტილის ჭურჭლეულობას[1]. ძველი ფორმა-დოქები მაღალი ვიწრო ყელით—ჯერ კიდევ არსებობდა, მაგრამ მასთან ერთად ისახება მრავალი ახალი ფორმა; შემდეგში მშვენიერი ფორმის დიდ დოქებს ემატებათ, ერთი ხანდახან ორი თუ სამი ხელი. ამავე დროს ჩნდება სხვა და სხვა გვარი „ფლაკონის" მზგავსი ვაზა და თასი, რომელთაც უკეთებდენ ზევით აწეულ ერთ, იშვიათად ორ ხელს. საზოგადოდ, მიკენის ჭურჭელი ძვირფას ხელოვნურ ნაწარმოებთ წარმოადგენს,

სურათი—№ 40 მიკენის ჭურჭლები.

თუმცა „კამარეს" სტილის კრეტის ვაზებს მაინც ვერ შეედრება

საყურადღებოა მიკენის ერთი ვერცხლის თასის ნატეხი მეოთხე საფლავიდან: იგი ცოცხლად გადმოგვცემს ბრძოლას ქალაქის კიდელთან. როგორც სჩანს, დამცველი ჯარი ციხიდგან გამოსულა და შეტევაზე გადადის. წინ მოდიან მეშურდულეები, რომელთაც შურდულები მაღლა აუწევიათ, მაი მოსდევენ შეილდ-ისრით შეიარაღებულნი, ბოლოს

[1]) მიკენის ვაზების შესახებ სხვათაშორის იხ.: Furtwängler und Löschke „Mykenische Uasen." ბერ. 1886 წ. და ტირა სოკოლოვსკაია „Микенская керамика." პეტ. 1904 წ.

შუბებით შეიარაღებული მეომრები. მეომართა უმრავლესობა შიშველია. გორაკზე მოსჩანს ქალაქის კედელი, მასზე ვხედავთ მცხოვრებლებს, ქალებს და ბავშვებს, მათი გამომეტყველება და პოზა დიდ მღელვარებას გამოხატავს; მათ უკან მოსჩანს შენობები, ფონზე—ხეები.

სურათი № 41. ბრძოლა ქალაქთან.

მიკენის ერთი საყურადღებო ვაზა გვაცნობს მხედრების ტანსაცმელსა და შეიარაღებას; მასზე ვხედავთ: ხუთ გმირს, რომლებიც შეტევაზე გადადიან მალლა აწეული შუბებით, ექვს მეომარს, რომლებიც ამათ წინაშე უკან იხევენ, მათ უკან ატირებულ ქალს. ყველა მეომარს ულვაშები მოპარსული აქვს, წვერები კი სოლივით ჩამოშვებული, ცხვირები გრძელად წამოშვერილი; მათ ახურავთ ტყავის ჩაჩქანი, აცვიათ თითქოს აბჯარი, რომლის ქვეშიდან მოსჩანს ფოჩებიანი პერანგი, ფეხებზე თასმებით შემოკრული აქვსთ თავისებური სახვევები; თიოთეულ მათგანს ერთ ხელში ფარი უკავია, მეორეში შუბი.



სურათი № 42 „ვაზა მეომრებით.“

მიკენის ძვირფას **ამოჭრილ ქვებს** შორის ფრიად საყურადღებოა ეოთ-ერთ საფლავში აღმოჩენილი ორი წოწოლა ქვა ოქროს ბეჭდებისათვის; ერთ მათგანზე გადმოცემულია ირმებზე ნადირობა, მეორეზე-ბრძოლა.

სამხედრო თუ მონადირეობის სცენებს შეეხვდებით აგრეთვე ქვე-

ბის იქ ფიქალებზე, რომლებიც ნახეს საფლავების ზემოთ და რომელთაც მიცვალებულთა დამარხვასთან უნდა ჰქონდეს კავშირი. ერთ ძალგანზე გადმოცემულია ეტლი, მასში ზის მხედარი, რომელიც ცხენებს მართავს; გვერდზე მას ჰკიდია ხმალი; ცხენების წინ მიდის შამაკაცი მალლა აწეული ხმლით. მეორე ფიქალზე აღბეჭდილია კიდევ რაღაც ცხოველი, ვგონებ ძაღლი.

მიკენის სამეფოდო ცხოვრების გასათვალისწინებლად საზოგადოთ აუცილებელია გავეცნოთ აგრეთვე იმ დროის ბრინჯაოს ხმლებს და ხანჯლებს, რომელთა პირები საუცხოო ხელობით არის გამმკენიერებული სხვა და სხვა ფერი ოქროს სამკაულით. აქაც თითქოს მართლდება ჰომეროსის აღწერილობა უძველესი იარაღებისა (მაგ. აქილევსის ფარისა) და მათი უძვირფასესი სამკაულების. ხანჯლების პირებზე გვიჩვენებენ სხვა და სხვა გამოხატულება, მაგ: ზდინარის ნაპირი (შეიძლება ნილოსისა, რაზედაც მიგვითითებს პაპირუსის მჭგავსი მცენარეები, გარეული კატები, რომლებიც იხეებს მისდევენ და სხვა.

სურ. № 43—სურათი ხანჯლის პირზე.

მეორე ხანჯალზე ფრიად ცოცხლად არის გადმოცემული ბრძოლა ლომებთან, მესამეზე ერთი მეორეს შემდეგ გაქცეული ლომები და სხვა. საზოგადოდ ამ იარაღების და სცენების მიხედვით შეგვიძლია გავითვალისწინოთ იმ დროის **თავდაცვითი და შეტევითი იარაღები და მათი მოხმარება.** თაკიდანვე უნდა ითქვას, რომ თუ კრეტაზე, სადაც შედარებით მშვიდობიანი ცხოვრება სუფევდა, ნაკლებად გვხვდება სცენები ბრძოლისა, მიკენში ამათ უფრო ხშირად ვხედავთ. მიკენის იარაღთა შორის უპირველესად ყოვლისა უნდა აღინიშნოს **ფარი.** მას აკეთებდენ პირველად ერთი მეორეზე დაკერებული სქელი ტყავისაგან; იგი ფარავდა მეომარს პირისახიდან მუხლებამდი; ფარს გაკეთებული ჰქონდა თასმა, რომლის მეოხებითაც მას მხედარი იმაგრებდა კისერზე და ბეჭებზე, ხოლო შუა ადგილას ხელმოსაკიდები, რომლითაც იგი მას აქეთ იქით მიმართავდა. შემდეგ ფარს ლითონისაგანაც აკეთებდენ სხვა და სხვა ორნამენტებით. აქ ძალიუნებურად გვაგონდება ჰომეროსის აღწერილობა აქილევსის ფარისა. [1]) იგი გადმოგვცემს, რომ აქილევსის ფარის შუა ადგილას გამოხატული იყო დედამიწა, ზღვა და ცა

[1]) იხ. „ილიადა“ XVIII; 478 ბოლოამდი.

ვარსკვლავებით, მის გარშემო მიემართებოდა ოთხი სარტყელი, რომლებიც შემკული იყო სხვა და სხვა გვარი ფრიად ცოცხლად გადმოცემული გამოხატულებით.

ფარის ნაპირზე წარმოდგენილი იყო ოკეანე ისე, როგორც საზოგადოდ მას ძველად წარმოიდგენდენ, იგი გარს უვლიდა დედა მიწას; შემდეგ მოსჩანდა სარტყელი, რომელზედაც აღბეჭდილი იყო ორი ქალაქი: ერთი მშვიდობიან მდგომარეობაში, სადაც სხვათაშორის სწარმოებს ქორწილი და გასამართლება ბაზრის მოედანზე, მეორე საომარ მდგომარეობაში—იგი მტრებით გარშემორტყმულია. მეორე სარტყელი თვალწინ გვიშლის სცენებს სოფლის ცხოვრებიდან: გაზაფხულზე მიწის დამუშავებას, ზაფხულში მკას, შემოდგომაზე ყურძნის მოკრეფას და ბოლოს კამბეჩების ჯოგს, რომლებსაც ლომები დასცემიან, მეოთხე ზოლი გვისურათებს ცხვრებს საბალახოზე და მწყემსების ცეკვა-თამაშს. საერთოდ ამ ფარის სხვა და სხვა სურათი ალბად ადამიანის ქვეყნად არსებობის მთელ დროს ეფნდა შეიცავდეს. თავისთავად გვებადება კითხვა: მართლაც სინამდვილეში არსებობდა ჰომიროსის მიერ აღწერილი ფარი, თუ ყოველივე ეს მხოლოდ პოეტური ოცნების ნაყოფია. მკვლევარი ჰელბიგი ფიქრობს, რომ ასეთი ფარი სინამდვილეში არ ყოფილა და იგი სავსებით პოეტის ფანტაზიის ნაყოფიაო [1]). მეორე მკვლევარი რეიხელი კი მრავალი საგულისხმო საბუთის მიხედვით ამტკიცებს, რომ ასეთი ფარები საზოგადოდ არსებობდა უძველეს დროს და მათ მგოსანს საბაბი მისცეს გადმოეცა მათი პოეტური განსახიერებაო [2]). მართალია ამ შემთხვევაში ეს უეჭველია. შესაძლებელია, პოეტს არა რომელიმე განსაზღვრული ფარი აეწეროს, არამედ სხვა და სხვა ფარის საერთო თვისებები ერთში მოეთავსებიოს, მაგრამ ცხადია, რომ ყველა ის თვისება, რომელსაც იგი ეხება, სინამდვილეში არსებულ ფარების გარეგნულ სახისაგან არის ამოკრეფილი. ერთი სიტყვით, პოეტს სინამდვილეში და არა ოცნებაში უნახავს მზგავსი ფარი და იგი თავისი მადლიანი ხელით ბრბატვრულად გადმოუცია. შემდეგში მიკენის ფარი თანდათანობით უფრო მსუბუქი და პატარა გამხდარა. გარდა ფარისა მხედრებს სხვა რამეც ესაჭიროებოდათ. აუცილებელი იყო აგრეთვე თავისა და კუნთების დაფარვაც. კუნთების დასაცავად ხმარობდენ ტყავის გამაშებს, რომლებსაც აგრეთვე ტყავის თასმებით იმაგრებდენ, ხოლო უფ-

[1]) op. c. გვ. 291—310.

[2]) იხ. „Ueber homerischen Waffen" ვენა. 1894 გვ. 41—52.

რო შეძლებული მხედრები ოქროს ძეძკვებით, თავს იფარავდენ თავისებური წოწოლა ქუდებით, რომლებიც ჩაჩქანს, შლემს წააგავდა. ეს ქუდები მოქსოვილი იყო ტყავის მაგარი ზოლებისაგან. მართალია, სურათზე მეომართ გარედან ტანზე რაღაც ტანსაცმელი აცვიათ აბჯარის მზგავსად, მაგრამ ეს ტანსაცმელი იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო აბჯარი[1]). ყველა ეს იარაღი, ასე ვსთქვათ თავდაცვითი ხასიათისაა, საჭიროა ვიცოდეთ, ჰქონდათ მიკენის მეომრებს თუ არა შესატევი იარაღი. უეკველად ჰქონდათ და ასეთებს ეკუთვნოდა: შვილდ-ისარი, ხანჯალი, ხმალი და შუბი ხელჩართული ბრძოლისათვის.

შვილდს აკეთებდენ უმთავრესად ხისაგან, იშვიათად რქისაგან; ისრის წვერს-კაჟისაგან, ბოლო ხანებში კი სპილენძისაგან. შუბი წარმოადგენდა დიდ ჯოხზე წამოცმულს ბრინჯაოს გალესილ პირს. ასეთი შუბი ნახეს მიკენის მეორე მაღაროს მზგავს საფლავში.

ხელჩართულ ბრძოლაში, განსაკუთრებით პაექრობაში, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხმალს. მიკენის საფლავებში მრავლად აღმოაჩინეს ხმლები. მათ საკმაოდ დიდი სიგრძე აქვსთ და ორივე პირი გალესილი და შუა ადგილი უფრო გაფართოებული. მიკენის ხმლის პირი ბრინჯაოსაგან არის გაკეთებული და ზოგიერთ მათგანზე შევხვდებით მკრთალი რელიეფით სხვა და სხვა გამოხატულებას. ხმლებს ჰქონდათ ხის, თუ ტყავის ქარქაშები. არა ნაკლებად ძვირფას იარაღს წარმოადგენდა ხანჯალი, მისი ორივე პირიც გალესილი იყო. და სურათებით შემკული.

მიკენის ძეგლების მეოხებით შეგვიძლია გავითვალისწინოთ მიკენის მცხოვრებთა ხარწმუნებრივი შემეცნებაც. ის ფაქტი, რომ მიცვალებულთ საფლავში თან ატანდენ მრავალ ძვირფას ნივთს, უკვე თავისთავად ამტკიცებს, რომ მათი აზრით იმ ქვეყნიური ცხოვრება ამ ქვეყნიურის უბრალო გაგრძელებაა და ამიტომაც იქაც, იმ ქვეყნად, ადამიანს ესაჭიროება ყოველივე ის, რაც მისთვის დედამიწაზეა აუცილებელია; ესაჭიროება სადგომიც, რომელთა მოწყობას დიდ ყურადღებას აქცევდენ. ამ აზრს უფრო დაგვისაბუთებს მიკენის ეგრედ წოდებული გუმბათოვანი საფლავების გაცნობა.

აკროპილისის იქით აღმოჩნდა გუმბათოვანი აკლდამები, რომლებიც აგრედვე მეფის ან მაღალი წრის მიცვალებულთა საფლავები უნდა ყოფილიყო. ესენი ეკუთვნის მიკენის ეპოქის უფრო შემდგომ

---

[1]) იხ. სურათი № 42.

ხანას, ვიდრე მაღაროს მზგავსნი. მაი შორის ყველაზე განთქმულია ეგრედ-წოდებული „ატრეოსის საუნჯე". იგი ყველაზე უკეთესად არის





სურათი № № 44—45 ატრეოსის საუნჯე—შესავალი და შიგნით.

შენახული და თვისი ძეგლებით თავისთავად მოგვიანებრობს მასში დაბარხულ მიცვალებულთა დიდ სიმდიდრეზე. მისი აგებულება დაახლოებით ასე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ: მთის ფოსოში მოთავსებულია ქვების წრე, მასზე მეორე უფრო ვიწრო, ზევით მესამე უფრო მეტად ვიწრო და ასე, სანამ მთელი ეს ნაშენი, ზევით თანდათან დავიწროებული, თავში ერთი ქვით არ დაიხურებოდა. ზემოდან მას წაყრილი აქვს მიწა, ხოლო შიგნით ერთი მეორეზე ამართული წრე თაღად არის გასწორებული. საფლავის შესავალში იდვა უზარმაზარი ქვა, სიგრძით 9, სიგანით 5 და სისქით—3 მეტრი. მისი წონა დაახლოებით 7500 ფუთი უნდა იყოს. ეს ქვა შესავალში ჰქმნის კარის ნალს. ხოლო რომ თავიდან აეცილებიათ ნალის დაზიანება, მასზე, როგორც ლომის ეიშკარზე, დატოვებული იყო, „შემამსუბუქებელი სამკუთხედი", რომელიც ოდესღაც დაფარული ყოფილა რელიეფური გამოხატულებით შემკული თხელი ფიქალით. საფლავის შიგნით მხარეზე, დაწყებული ფიქალების მე-

სამე წყეიდან, ეხედავთ რამდენიმე სწორად განაწილებულ ხერელს, რომლებიც ალბად ლითონის ხელნების ან მათი მზგავსი სამკაულებისთვის იყო დატოვებული. პატარა ჭიშკარი გაგვიყვანს მრგვალ გუმბათოვანი სივრციდან ოთხკუთხოვან დასამარხავ კამერაში. შეიძლება ვიფიქროთ, რომ აკლდამის მთავარი შენობა მიცვალებულის მოსახსენებელი ღვთის მსახურების შესასრულებელი ადგილი იყო. გრძელი შესასვლელი, რომელსაც გარედან საფლავის კარებისაკენ მივყევართ, ყოველი საზეიმო დასაფლავების შემდეგ იფარებოდა მიწით, ასე რომ მთელი საფლავი მიწის უბრალო ბორცვს წარმოადგენდა. საზოგადოთ ასეთ საფლავებში არჩევენ სამ ნაწილს: ა)დრომოსს, რომელიც მთის ფერდობში იყო გამოჭრილი, და რომელსაც გუმბათოვან ნაშენში მივყევართ, ბ) თოლოსს, ანუ თვით გუმბათს და გ) დასამარხავ კამერას. მიკენის საფლავები თვისი მოწყობილობით და ძეგლებით გვარწმუნებს, რომ იმ დროს სამეფო სახლის წევრთა შორის მაინც იყო კავრცელებული მიცვალებულ წინაპართა თაყვანისცემა.

მაღაროს მზგავს საფლავებში ნახეს განსაკუთრებული ოქროს ნიღაბები. როგორც სჩანს, მიკენის ბრძანებელთა და მათი ცოლების დასაფლავების დროს არსებობდა ჩვეულება შეენახათ მათი პირისახის მოხატულობა. ამ მიზნით მიცვალებულთა სახეზე სდებდენ ოქროს თხელ ფურცელს და ზევიდან აწვებოდენ, რომ ამგვარად გადაეღოთ მათი

სურათი № 46 მიკენის ოქროს ნიღაბი.

ფორმა. მართლაც თვისი დახუჭული თვალებით და სახის საერთო გადმოცემით ეს ნიღაბები შთაბეჭდილების ჰქმნის საშინელი სინამდვილი

სას. აკლდამებში აღმოჩნდა აგრეთვე ოქროს პატარა კერპები. ისინი უმთავრესად განასახიერებენ ასტარტის მზგავს შიშველ ქალ-ღმერთს. მას ხელები გულზე აქვს დაკრეფილი, თავზე ყოველთვის უზის მტრედი, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მის მხრებიდან გადმოფრენილან აგრეთვე მტრედები. ალბად მიცვალებულთ აქაც, როგორც კრეტაზე, თან ატანდენ წარმოშობის ღმერთ-ქალის გამოხატულებას.

იპოვეს საფლავებში გამოხატულება—ხარის თავისა, გრიფონებისა და მეფუზებისა, რომელთაც ჩვენ უკვე გავეცანით კრეტაზე. შეიძლება მითოლოგიაზე მიგვითითებდეს აგრეთვე მიკენის ერთი თმის ქინძისთავი, მასზე წრის ქვედა ნაწილს შეადგენს გველი, რომელიც რადგან მიწაში ცხოვრობს და მიწაზე ცოცავს, უძველეს დროიდან ზოგიერთი ხალხის წარმოდგენით ითვლებოდა დედა-მიწის ღმერთების ატრიბუტათ, თვით დედა-მიწის სიმბოლოდ; ზევით წყლის მცენარეები—ალბად ზეცის ოკეანეს გადმოგვცემენ; მიწა და ზეცა ერთი მეორეს ხვდება ჰორიზონტის ორ ერთი მეორესთან შეფარდებულ წერტილში; წრის შიგნით, რომელიც მიწისა და ზეცის შუა ჰაერით გავსებულ სივრცეს უნდა გამოხატავდეს, მოთავსებულია ღმერთ-ქალი, რომელსაც ორივე ხელი ჰორიზონტალურად გაუშვერია. ღმერთ ქალის ზემოდ აღნიშნულია 4 სპირალი და ფურცლები, რაიც შეიძლება სიმბოლო იყოს ქვეყნის ხისა, რომელსაც ეგოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კრეტას მითოლოგიაში.

სურათი № 47 მიკენის ქინძისთავი.

მიკენის ნივთები საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ კულტთან დაკავშირებული ცეკვაც, რომელსაც ჩვენ უკვე გავაცანით კრეტას ძეგლებზე. მიკენის ერთ ოქროს ბეჭედზე აღნიშნულია კულტის მოწყობილება. მოკირწყლულ ზედაპირზე, რომელიც საღვთო ადგილის ეზოს უნდა წარმოადგენდეს, მარჯვნივ მოსჩანს დაბალი გალავანი, რომლის იქითაც თავი ამოუყვია ხეს. მარცხნივ სდგას მაგიდის მზგავსი სამსხვერპლო, რომლის ფეხების შუა ჰკიდია ძეძკვები. ასეთ ადგი-

ლას სწარმოებს სარწმუნოებრივი ხასიათის სცენა [1]). წრის შუაგულში ცოცხალ პოზაში სდგას ქალი. მას წინ გადაუდგამს ნაბიჯი, მხრები აუწევია და თითქოს დოინჯი შემოუყრია; იგი ძლიერ მოძრაობაშია: მოძრაობისაგან თმები ყოველი მხრით გაშლია, ერთი ნაწნავი ჩამოჰკიდებია ზურგზე, ორიც მხრებზე. ეს ალბად წრის ცეკვას უნდა ასრულებდეს. მის წინ არის მამაკაცი, აგრეთვე ძლიერი მოძრაობის პოზაში, შესაძლებელია იგი ბუკნით გარს ეკლიდეს ქალს. მოცეკვავე რწყვილის მარცხნივ—სამსხვერპლოზე გადახრილა ქალი, რომლის ზემოთ მოსჩანს ხის ტოტი და ორი რაღაც ტალღისებური ხაზი. ეს ქალიც ალბად დიდხანს ცეკვავდა, მოიქანცა და ღვთაების მოვლინების გამო აფრთოვანებით დახრილა საკურთხეველისკენ [2]).

სურათი № 48—მიკენის ოქროს ბეჭედი—კულტის სცენა.

სოპატის სურათთან შედარებით მიკენის ბეჭედზე ჩვენ ვამჩნევთ ზოგიერთ განსხვავებას: პირველზე ცეკვავენ მხოლოდ ქალები, მეორეზე კი ცეკვაში მონაწილეობას იღებს მამაკაციც; გარდა ამისა პირველზე მოთავსებულია ჰაერში მონავარდე პატარა ფიგურა, ღვთაება, მეორეზე მის მაგიერ ღვთაების სამსხვერპლოს ვხედავთ. სამაგიეროდ მიკენის მეორე ოქროს ბეჭედზე, რომელზედაც აღბეჭდილია სარწმუნოებრივი სცენა, ზედა მარცხენა ნაწილში დანავარდობს ღვთაება, ორმაგი ფარით დაფარული და შუბით ხელში. ამ სურათზე საყურადღებოა აგრეთვე ორმაგი ცულის, ლაბრისის და ნაყოფებიანი ხის გამოხატულობა.

სურათი № 49—მიკენის ოქროს ბეჭედი—სარწმუნოებრივი სცენა.

დაფიქრების ღირსია ის გარემოება, რომ მიკენში აღმოაჩინეს სირაქლემას ბუნებრივი კვერცხი, რაც აღმოსავლეთზე და კერძოთ აფრიკაზე მიგვითითებს; ნახეს აგრეთვე ქარვის ბურთულები, რაც მიკენის თითქოს ბალტიის ზღვის შორეულ ნაპირებთან რაღაც დამოკიდებულებას უნდა გვიჩვენებდეს. მიკენის ძეგლების ფრიად საყურადღებო დამატებას წარმოადგენს არქეოლოგიური აღმოჩენები არგოლიდის მეორე ქალაქ ტირინთში.

[1]) იხ. ბოგაევსკი: „Новое мин. кольцо с изобр. культ. танца. (San. кл. отд. русс. арх. общ. VII 1913. გვ. 72—73).

[2]) ლანგრაჟი ფიქრობს, რომ ეს სურათი გადმოგვცემს სცენას სამგლოვიარო მოძრაობისას, რომელიც სიცოცხლის ხის ამოთხრასთან იყო დაკავშირებული (იხ. „La Crete anciene“, გვ. 94).

ეს ქალაქი გაშენებული იყო არა პირდაპირ ზღვის ნაპირზე, არა-
მედ საკმაოდ მოშორებით, ტალღის მზგავსად აწალღებულ ხმელეთზე.
ეს ალბად იმიტომ, რომ ამას მოითხოვდა ზღვის ძეკობრეების მოულო-
დნელი თავდასხმის მუდმივი შესაძლებლობა. ამაღლებული ადგილი,
რომელიც ქალაქს ეკავა, ქვის ნაშენობით გადაქცეული იყო სხვა და
სხვა გვარი სიმაღლის სამ ტერასად; მას ემთავრებდა ტირინთის აკრო-
პოლისი. ციხის კედლები ტლანქად გამოჭრილი უსწორო ფორმის უზარ-
მაზარი ქვებისაგან იყო თიხით შეკრული და გარს უვლიდა ტერასებს.
მტრების დაცემის მხრივ საშიშარ ადგილებზე ამართული იყო კოშ-
კები, რომელთაც კედლები უფრო სქელი და მაღალი ჰქონდათ. გაო-
ცებას იწვევს ის გარემოება, თუ როგორ ახერხებდენ მათი ამშენებლე-
ბი უკანასკნელი ერთი მილის მანძილიდან მაინც მოეტანათ ისეთი
უზარმაზარი ქვები, რომელთაგანაც შესდგება ხსენებული კედლები: თი-
თოეული მათგანი უნდა იწონიდეს 200—800 ფუთამდი. სამხრეთით ყვე-
ლაზე მაღალ ტერასაზე მოსჩანდა მეფის სასახლე, შუა ტერასაზე—შე-
ნობები მსახურთა და მეომართათვის, ქვევით კი სხვა და სხვა სარდა-
ფები და საკუჭნაოები. აკროპოლისის კედლები დასერილი იყო მრავა-
ლი შესავალით და ტალანით. საზოგადოდ ციხეს ორი მთავარი შესა-
ვალი უნდა ჰქონოდა: ერთი დასავლეთით, ვიწრო მაოლოდ ქვეითთა მე-
ომრებისთვის გამოსადეგი; აქედან ცალკე კიბე სასახლისაკენ მ-ემარ-
თებოდა. მეორე მთავარი შესავალი იყო აღმოსავლეთის მხრით; აქ გზა
თანდათან ზევით მიიწევს პირველად ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ,
აკროპოლისის კედლის ძირში, მისი კოშკებით დაცული; შემდეგ კი
იგი ახწევს უკანასკნელ სიმაღლეს და ციხის კედელში დატოვებული
ვიწრო გასავალით მიდის მაგარ ჭიშკრამდი, რომლის იქით გავლიერთ
უკვე ციხის სამხრეთ აღმოსავლეთ კუთხის ფარით მოკედანზე, სადაც
დიდი დახურული ჭიშკარი – პროპილეი იყო ამართული; ამ უკანასკნე-
ლიდან კი იწყებოდა შესავალი თვით სასახლის სადგომებში. საერთოდ
უნდა ითქვას, რომ ტირინთის აკროპოლისის აგებულობაში სჩანს უე-
ჭველად მოფიქრებული გეგმა: საჭირო იყო, რომ ქალაქზე დამცველი
მეომრები, რომლებიც მარჯვენა მხრით ფარით არ იქნებოდენ დაცუ-
ლი, მომზადარიყვენ მეციხოვნეთა იარაღის თავისუფლად დარტყმის
ქვეშ. ასეთი სამხედრო ხერხი მართლაც გატარებული იყო ციხის აგე-
ბულობაში. ეს და აგრედვე ის გარემოება, რომ ციხის კედლები
უზარმაზარი ქვებისაგან არის აგებული, გვარწმუნებს, რომ მათ

აშენებას ხელმძღვანელობდენ გამოცდილი ხუროთ-მოძღვრები და რომ მათი აგებისათვის აუცილებელი იყო მრავალი მუშა და დიდი ნივთიერი საშუალება.

ტირინთის სასახლის ორჯელ ნაკლები სივრცე ეკავა, ვიდრე კრეტას დიდი სასახლეებს. მისი მომიჯნავე ეზო მოკირწყული ყოფილა პატარა ქვებით და გარშემორტყმული დახურული გალერეით. ეს ფაქტი თავის თავად გვაგონებს ჰომიროსის მიერ აღწერილ ოდისეს სასახლეს, რომელსაც პოეტის სიტყვით ჰქონდა „ფართო და წმინდათ მოკირწყული ეზო“. [1]) სასახლის დიდ გახსნილ ეზოს სამხრეთით საზღვრავდა ორი მაგარი ქიშკარი; ესენი და სხვები ჰქმნიდნენ წინა და უკანა მხრიდან პატარა დერეფნებს, რომელთაც გარედან ორი სვეტისა და თვით ქიშკრების გვერდის კედლების წინ წამოწეული ნაწილების შუა დატანებული ჰქონდათ მრავალი პატარა გასავალი. პატარა ქიშკარის საშუალებით შედიოდენ უპირველესად ყოვლისა სწორ-კუთხოვან ეზოში, რომელიც გარშემორტყმული იყო სვეტებიანი გალერეით. ეზოს ჩრდილოეთის მხრიდან ადგებოდა მთავარი შენობის ერდო. ერთი მეორის შემდეგ დამაგრებული სამი კარი ხსნიდა შესავალს შიგნით-წინა დარბაზში ნამდვილად მეგარონში-ფართო სწორ-კუთხოვან ოთახში, რომლის შუა ადგილას ყოფილა დიდი კერა, დღემდის დაცული სვეტების ორი კვარცხლბეკით. პატარა ოთახების შორის განსაკუთრებულ ყურადღების იქცევს აბანოს, თუ ვანის ოთახი, მისი იატაკი შემდგარია ერთი უზარმაზარი ქვისაგან, რომელიც დაახლოვებით 1200 ფუთს უნდა იწონიდეს, მის შუა ადგილას იყო ვანა და განსაკუთრებული არხი წყლის წარსადინელად.

სასახლის მთავარი ნაწილის მარჯვნივ იმყოფებოდა მეორე, ალბად, ქალების ნახევარი, რომელსაც პირდაპირი და დამოუკიდებული კავშირი არ ჰქონდა დიდ დარბაზთან და მისგან მთელი რიგი კარებითა და ვიწრო გასავალით იყო განცალკევებული. ამ ნაწილში ყველაზე შორს არსებობდა საწოლი ოთახი, სალარო და ზარდახანი. საზოგადოდ „მიკენის“ ეპოქის სასახლეთა დაკვირვებით შესწავლა გვარწმუნებს, რომ მათი მფლობელნი ზრუნავდენ არა მარტო მაგარი კედლების აგებაზე, არამედ თვით სასახლეთა მრავალ მხრივ გამშვენიერებაზედაც. მათი მხატვრობა სიმდიდრე და სამკაული მოგვაგონებს ტელემაკის სიტყვებს, როდესაც მან მენელაოსის სასახლე იხილა: „ხედავ, რა ბევრია აქ

[1]). ἐπήσκηται δέ οἱ αὐλὴ τοίχῳ καὶ θριγκοῖσι...“ (Od. XVII, 266.)

სპილენძი, სასახლის ოთახებში რომ ბრწყინავს. აქ ყველაფერი აფერადებულია ოქროთი, ვერცხლით, გიშერით, სპილოს ძვლით... რა სიმდიდრეა, რამდენად ყველაფერი მოჭრბებულია". [1])

ტირინთის სასახლის დარბაზი კარნიზის ქვევით შემკული ყოფილა ლავეარდის ქვით, რომელზედაც ხელნა და სპირალია გამოხატული, ხელნაც და სპირალიც ფრიად ხშირად გვხვდება აგრედვე მიკენში. ტირინთის მეგარონის იატაკი წარმოადგენს თავისებურ უზორებიან ნახს წითელ და მტრედის ფერ ზოლებისაგან. საზოგადოდ სასახლეთა კედლები მოცულია მრავალგვარი მხატვრობით. მასში გვხვდება ფრესკები, რომლებიც გადმოგვცემს არა მარტო ხელნას და სპირალს, არამედ უფრო რთულ სიუჟეტებსაც. ამ უკანასკნელთა მეო-



სურათი № 50 ტირინთის კედლის მხატვრობა.

ხებით ოდნავ მაინც შეგვიძლია იმ დროს არსებული ყოფა-ცხოვრების გათვალისწინება. ტირინთის სასახლის ვანის ოთახში კედელზე გამოხატულია გაქანებული ხარი, მასზე კი მამა-კაცი, რომელსაც ერთი ფეხი ხარის ზურგზე დაუყრდნია, ხოლო მეორე ჰაერში მაღლა გაუშლია. ხარს მოკლე თავი და მაღლა აწეული რქები აქვს, იგი ოდნავ მარცხნისაკენ მოხრილა და გაჩქარებული გარბის; მამა-კაცს, რომელსაც მხოლოდ წინსაფარი აცვია და ფეხებზე კი თასმები აქვს შემოკრული, მარცხენა ხელი წაუელია ხარისთვის რქებში და მის ქვეშ ცხოველი გარბის, რაც კი შეუძლია; ამ სურათის ფონი—ლურჯია, ხარი კი ყვითელი ფერით და წითელი წინწკლებით არის გადმოცემული. აწე-

[1]) Φράζεο, Νεστορίδη, τῷ ἐμῷ κεχαρισμένε θυμῷ, χαλκοῦ τε στερεπτὴν κἀδ δώματα ἠχήεντα χρυσοῦ τ' ἠλέκτρου τε καὶ ἀργύρου ἠδ ἐλέφαντος. Ζηνός που τοιήδε γ' Ὀλυμπίου ἔνδοθεν αὐλή ὅσσα τάδ' ἄσπετα πολλά. σέβας μ' ἔχει εἰσορόωντα (Od. IV, 71. შემ.).

რილი სურათის სიუჟეტი გვაგონებს კრეტაზე გავრცელებულ მზგავს გამოხატულებათ და გვაფიქრებინებს, რომ მას აქაც რაღაც კავშირი ჰქონდა კულტთან. აკროპოლისის ერთ მიდგმულ ნაშენში აღმოაჩი-

სურათი № 51 ხარის დაჭერა, ტირინთის ფრესკა.

ნეს საუცხოო ფრაგმენტი სურათისა, რომელზედაც გამოხატული არიან ადამიანები ვირის თავებით; ისინი ერთი მეორის შემდეგ მოდიან და თან მოაქვსთ გრძელი ხარიხა.

ტირინთის უფრო ძველ სასახლეში ნახეს სურათის ნაწილი, რომელიც ორ მონადირეს გვისურათებს. მონადირეები თავშიშველი არიან, ბეჭებამდის შავი თმები აქვსთ ჩამოშვებული, აცვიათ თეძოებამდი დაშკებული და წელთან ქამრით შეკრული—მოკლე სახელოებიანი ტანისამოსი, ორივეს მარჯვენა ხელში ორ-ორი შუბი უკავია.

ფრიად საყურადღებოა ტირინთის ერთი ფრესკა, რომელიც გარეული ღორზე ნადირობას გადმოგვცემს: გარეულ ღორს დასდევნებიან და უნდა დაეწიონ კიდეც დიდი ჭრელი ძაღლები; წინ მოსჩანს ადამიანის ხელი, რომელსაც შუბი ჩაუკრავს ღორისთვის ბეჭში; მეორე შუბი ღორს ყურთან მოხვედრია. ფრესკის მეორე ნაწილში დასურათებულია კიდევ გარეული ღორი, რომელიც ბადეში გაუხვევიათ; მონადირეებს დაკავებული ჰყავთ ძაღლები, რომლებიც გარეული ცხოველისაკენ მიიწევენ. როგორც სჩანს, ნადირობაში მონაწილეობას

ილებდენ ქალებიც: სურათის ნაპირას მოსჩანს ეტლი მანდილოსნებით. ეს ფრესკა მთლად ჰფარავდა ტირინთის სასახლის მეგარონის ოთხივე ზედა ნაწილს.



სურათი № 52 ნადირობა გარეულ ღორზე.

„მიკენის“ კულტურა, ე. ი. კულტურა მიკენისა, ტირინთისა და მათი მზგავსი ნაშთებით წარმოდგენილი, ბრინჯაოს საუკუნეს ეკუთვნის; დრო მისი არსებობისა არის მეორე ათასიანი წლები ქრ. წ., მისი აყვავების დროის terminus ante gue non უნდა იყოს 1500 წელი ქრ. წ., ხოლო terminus post gue non—1200 წ. საზოგადოდ მიკენის ეპოქა კრეტას გვიან-მინოსურ პერიოდს შეეფარდება. სტილის ნიშნების მიხედვით მიკენის კულტურის ისტორიაში შეგვიძლია დავაწესოთ 4 პერიოდი. პირველი პერიოდი ხასიათდება უმთავრესად მიკენის მდიდარი საფლავებით, რომლებშიაც აღმოჩენილ იქნა ძვირფასი ოქროს ნივთი. ამ დროის კერამიკა ორგვარი სახისაა: ა) ვაზები მატი საღებავით და ბ) ვაზები ლაქით მორჭმული. შემდგომ პერიოდებს ეკუთვნის მიკენის და ტირინთის სასახლეები; ჭურჭლები მატი სურათებით თანდათან ჰქრება. დეკორაციის მოტივებში მეფობს ტენდენცია ნატურალისტური სიუჟეტების სტილიზაციისა და მათი ხაზოვანი მოტივებით აღბეჭედისა. ჭურჭლების სტილიზაცია მცენარეთა სამყაროს

პირობითი გამოხატვით უმაღლეს განვითარებას იხწევს მეოთხე პერიოდში. ამ დროს ეკუთვნის მიკენის ლომის ჭ. შკართან და სხვაგან აღმოჩენილი გუმბათოვანი საფლაუები.

მიკენის კულტურა უპირველესად ყოვლისა გვაოცებს თვისი სიმდიდრით; გვაოცებს აგრეთვე იგი თვისი ტეხნიკით, რომელიც ასეთ უძველეს დროს ყოფილა დიდად განვითარებული. ხურომოძღვრების ძეგლებში განსაკუთრებით ხშირია შენობები ოთხკუთხოვანი ქვის ფიქალებისაგან; ეს შენობები გაკვირვებას იწვევს თვისი საზღაპრო სისრულით. ამ ეპოქის ცხენები, სასახლეები, საფლავები და ჭები ჯერ კიდევ ძველად იპყრობდა დიდ ყურადღებას. დღემდის სრულ ამოცანად გვეჩვენება, თუ როგორ და რა საშუალებით მიეზიდებოდენ და აჰქონდათ მაღლა საოცარი სიდიდის ქვის ფიქალები. ქვის გათლაშიაც, მართალია, სჩანს ერთგვარი წინმსელელობა, მაგრამ საერთოდ ამ დარგში მაინც საკმაო განვითარებისათვის ვერ მიუწვევიათ, სამაგიეროდ კედლების დასურათებაში და პლასტიურ ნაწარმოებთა დამუშავებაში ნათლად მოსჩანს საკმაო განვითარება და გამოცდილება.

საზოგადოდ „მიკენის“ ფრესკების ტეხნიკას ცხადად ემჩნევა კრეტას გავლენა. მათზე მამაკაცების სხეულები მუქი ფერით, ხოლო დედა-კაცების თეთრით არის გადმოცემული. დედა-კაცების ტანსაცმელიც თითქოს კრეტას მოდისაა: მოკლე სახელოებიანი კორსაჟი, წინ ფართოდ გახსნილი, ქვედატანი კი რამდენიმე წყება ნაწიბურით. მაგრამ მამაკაცების ტანსაცმელი სულ სხვა გვარია, ვიდრე კრეტაზე.

დიდი ყურადღების ღირსია აგრეთვე მიკენის ეპოქის ძვირფასი ქვები, მაგრამ ყველაზე მეტად ბრწყინვალედ უნდა წაითვალოს ლითონების დამუშავება. ამ დროს უკვე ცოდნიათ ლითონების ჩამოსხმა, მავთულების გაჭიმვა, დაკავშირება და საერთოდ ჩაქუჩით მუშაობა. აკეთებდენ საუცხოო ფორმის ჭურჭლებს ოქროსაგან, უფრო იშვიათად ვერცხლისაგან. წმინდათ გამოჭედილი ოქროს ფირფიტებისაგან ჰქმნიდენ უძვირფასეს სამკაულთ: ქამრებს, დიადემებს, საყურეებს და სამაჯურებს; ოქროს ასეთივე ფირფიტებით ამკობდენ ტანისამოსის ფოლაქებს და აგრეთვე საზეიმო იარაღს, რომელსაც მიცვალებულთ თან ატანდენ სამარეში.

მრავალი კოპი ლურსმის თავის ოდენა, კონცენტრიული წრეები, რომელნიც ერთი მეორესთან მრავალ გვარი სახით არის გადახვეული, და სპირალები, რომლებიც ალბად მავთულებისაგან წარმოსდგა, შეადგენდენ მთავარ ელემენტებს იმ დროის ფორმათა ენაში.

ამას უნდა დავუმატოთ არაჩვეულებრივი სიმდიდრე მცენარეთა და ცხოველთა მშვენიერად შესრულებულ სურათებისა: ფურცლებისა, კვირტებისა, ბეღლებისა, კარაკტიცებისა, ლომებისა და ხარებისა.

მიკენის ეპოქაში ლითონების დამუშავების ტექნიკასთან ერთად ფრიად განვითარებული იყო აგრეთვე ჭურჭლების შემზადების ხელოვნებაც, ამ მოვლენას ვამჩნევთ როგორც ჭურჭლების ფორმაში, აგრეთვე მათ ორნამენტში. ეს ხელოვნება დიდად იყო დამოკიდებული, როგორც ოქრომჭედლობასთან, ისე ლითონების დამუშავებასთან. ჩვენ საშუალება გვაქვს გავითვალისწინოთ ამ ხელოვნების განვითარება. საშუალება გვაქვს თვალყური ვადევნოთ, თუ პირველად როგორ აკეთებენ უბრალო ყოველგვარ საღებავს მოკლებულ ჭურჭლებს. შემდეგ კი როგორ თან და თან აფერადებენ მათ სხვა და სხვა საღებავით. განვითარების უდიდეს საფეხურამდის მიხწევის დროს ამ დარგის ხელოსნები ჭურჭელთა დასუფთავებაში მისდევენ იმ ნიმუშებს, რომლებიც ლითონის ნაწარმოებთა ხელოსნების მიერ იყო შემუშავებული, და ათავსებდენ უკანასკნელთა მზგავსად თვის ჭურჭლებზე: წრეებს, სპირალებს, ყვავილებს და ფურცლებს, ამასთან ერთად გვხვდება სურათები იხვებისა, ძროხისა, ცხენისა და სხვ.

დასასრულ ჯეროვანი იქნება ვიკითხოთ, როგორ ცხოვრებას ატარებდა ამ კულტურის შექმნელი ხალხი? ამაზედაც შეიძლება ერთგვარი პასუხი მაინც გავსცეთ. როგორც სჩანს, მხოლოდ ძლიერ თკითმყრობელ მეფეებს, თუ ბრძანებელთ შეეძლოთ აეგოთ ისეთი უზარმაზარი შენობები, როგორც არის, თუ გვნებავთ, ატრეოსის საფლავი; ოდიდესად მრავალ რიცხოვანი მონები უნდა ყოფილიყვენ დამორჩილებული ერთი პირის ნებისყოფის და ხელისუფლების ქვეშ, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ისეთი ციხე-კოშკების აგება, როგორებსაც ადგილი ჰქონდათ ტირინთში, მიკენში და ტროადაში. აგრეთვე ის უთვალავი სიმდიდრე, რომელსაც ვხედავთ მათში, გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ არსებობდა მთელი მოდგმა მოძალადე მბრძანებელთა, რომლებიც ყოველგვარი ხერხით აფართოებდენ თავის ქონებას; სიკეთითა, შრომითა და მშვიდობიანი შეძენით არ შეიძლება მოგროვდეს ამდენი ოქრო და საუნჯე. ომი და ნადირობა უნდა ყოფილიყო ჩვეულებრივი სასიამოვნო ხელობა ამ მეომარ მეფეთათვის, ხოლო ძვირფასი სასახლეების ჰარმხანა მოკაზმული ლამაზი ქალებით მათი თავგასართობი და განცხრომის ადგილი. ეს ბრძანებლები თვისი მხლებლებით მოგ-

ზაურობდენ არა მარტო ხმელეთზე, არამედ ალბად ზღვაშიაც ამაყად დავანავარდობენ. სურათებში მოთავსებული ბრავალი საგანი გვიჩვენებს მათ ცოდნას ზღვისას და მისი ცხოვრებისას. საერთოდ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ ხალხს ზღვაზე დიდი მიმოსელა ჰქონდა, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ამ კულტურის თანასწორი განვითარება მთელი ეგეოსის ზღვის ნაპირებზე.

ვიდრე ამ მოკლე მიმოხილვას დავამთავრებდეთ, საჭიროდ მივაჩნია შევჩერდეთ კიდევ ერთ საკითხზე, სახელდობრ **როგორ დამოკიდებულებაში იყო მიკენის კულტურა მინოსიანთა ცივილიზაციასთან?** ამ საკითხის სათანადო გარკვევისათვის აუცილებელია უპირველესადად ყოვლისა გავითვალისწინოთ ის, თუ, **როგორ და რა პირობებში ღაილუპა მინოსის ძლიერი საბრძანებელი კრეტაზე.**

როგორც უკვე ვიცით, მინოსიანთ გარეშე მტერთაგან თავდაცვაში უმთავრესი იმედი თვის ძლიერ ფლოტზე ჰქონდათ დამყარებული, ამიტომაც კნოსი და სხვა ქალაქები ფაქტიურად გაუმაგრებელი იყო. დანამდვილებით არა ვიცით რა, თუ როგორ მოხდა დიდი კატასტროფა კრეტაზე; ვიცით მხოლოდ ის, რომ მას ადგილი ჰქონდა სწორედ იმ დროს, როდესაც კნოსი განვითარების უღიდეს საფეხურს და არა დასუსტებასა და დაცემის პერიოდს განიცდიდა; აგრეთვე ცხადია, რომ კატასტროფისაგან უფრო მეტად დაზარალდა გაბატონებული კლასი, დიდ სასახლეებში რომ ცხოვრობდა, ვიდრე ხალხის სხვა ნაწილები. ამ მხრივ არ იქნებოდა მოკლებული შესაძლებლობას, თუ ვიფიქრებდით, რომ შემოსეულ მტერს ხელს უწყობდა ადგილობრივი მცოვრებლების აჯანყება მართველების წინააღმდეგ და რომ საზოგადოდ მთელი კატასტროფა დიდად იყო გამოწვეული კნოსის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული მოძრაობით.

ყოველ შემთხვევაში კატასტროფის მთავარი და ყველაზე მეტად ღირშესანიშნავი შედეგი კნოსის დაცემა იყო.

თავდასხმა, როგორც სჩანს, საბერძნეთის სანრეთ ნაპირიდან უნდა მომხდარიყო, რადგან ამ პერიოდში ძლიერების ცენტრო გადადიოდა მიკენში, ტირინთში, არგოსში და ათინაში, რომელთა აყვავებაც იწყება კნოსის დარბევის შემდეგ.

ამავე დრდს მოხდა, ალბად, ნაწილობრივი გამოცოცხლება მინოსიანთა კრეტ ს ქალაქთა შორის, რომლებიც შესაძლებელია დიდ შეეიწროებას განიცდიდენ კნოსის ცენტრალური ხელისუფლებისაგან.

თავდასხმა კრეტაზე ფრიად გადამწყვეტი და მამაცური უნდა ყოფილიყო და ამიტომაც მას დახელოვნებული, გამოცდილი წინამძღოლი უნდა ყოლოდა. ყოველივე ეს ძალუნებურად გვაგონებს ლეგენდას თეზეოსსა და მინოტავრზე. შეიძლება, ეს ლეგენდა სხვა არა იყოს რა, თუ არა გადმოცემა კნოსის დანგრევაზე. [1]) თეზეოსი ყველაზე უფრო ცხადად გამოხატული, ყველაზე მეტად ადმინის ბზგავი გმირია ძველი მოდგმისა. ყველა ძველი თქმულება თეზეოსის სამშობლოდ ტრეზენს აღიარებს. თქმა იმაზე, რომ იგი იყო ეგეოსის შვილი, ალბად, იმიტომ იყო მოგონილი, რომ ამით გაემართლებიათ მის მიერ ათინის ტახტის ძალით დაკავება. ჩვეულებრივად თითქმის ათინას მწერლებიც კი მას პოსეიდონის შვილს ეძახიან, რაც ამტკიცებს მის კრეტადან, ყოველ შემთხვევაში ზღვის ნაპირიდან ჩამომავლობას. არ არის მიღებული მნიშვნელობას ის გარემოებაც, რომ თვისი სიცოცხლის დასასრულს, გადმოცემის მიხედვით, იგი სკიროსზე გადავიდა. თუ თეზეოსის შესახებ ლეგენდაში არის სინამდვილის მარცვალი მაინც, უნდა ვიფიქროთ, რომ ის ადამიანი, რომელსაც უკვე ჰქონდა მოხვეჭილი სახელი, რომელიც დიბადა და აღიზარდა ზღვის ნაპირზე და დაეპატრონა ათინის ტახტს, როგორც პირი, რომელსაც ამის უფლება ჰქონდა,—სწორედ ეს ადამიანი უნდა ყოფილიყო ის წინამძღოლი, რომელმაც მოაწყო კრეტაზე თავდასხმა და შემუსრა კიდეც მინოსის საბრძანებლის ძლიერება. ჩვენ არ უნდა გაგვიკვირდეს არც ის ლალატი რომელიც მან თვის კრეტის მოკავშირესადმი ამ შემთხვევაში გამოიჩინა, არც უდროო გარდაცვალება მეფე ეგეოსისა. სინოიკიზმი, როგორც სჩანს, ფაკტი იყო და მოხდა, ალბად, მისი ხელით. როგორც არ უნდა შევხედოთ ლეგენდარულ ცნობებს თეზეოსის პიროვნებისა და მოქმედების შესახებ, სიმართლესთან ახლოს უნდა იყოს ის ფაქტი, რომ მინოსიანებს ჰქონდათ ახალშენები საბერძნეთში, რომ კნოსი დანგრეულ იქნა კუნძულებიდან და საბერძნეთის ნაპირებიდან თავდასხვისაგან და რომ ეს „მინოსური“ ახალშენები საბერძნეთში ამის შემდეგ გადაიქცევ დამოუკიდებელ და ძლიერ „მიკენის“ ქალაქებად. ამგვარად, შეგვიძლია ვირწმუნოთ, რომ არსებობა დასავლეთის კუნძულების სამფლობელოსი, მისი დამხობა „ათინელებისაგან“ და მისი მოულოდნელი და საშინელი დაღუპვა—ყოველივე ეს ისტორიული ფაქტებია.

მეორეს მხრივ, ქრ. წ. 1400—900 წლების შუა საბერძნეთის ნახევარ-კუნძულმა განიცადა რამდენიმე თავდაცემა. ამ პერიოდის

[1]) იხ. ფროსტი op. cit. გვ 194—196.

უფრო ძველი ნაწილის შემთხვევათა მიმდინარეობა არ არის ჩვენთვის ნათელი, მაგრამ, როგორც სჩანს, ხალხი, რომელმაც დაანგრია კნოსი და გაალასტვაფერა მინოსიანთა ახალშენები პიკენში და ტირინთში, დიდხანს არ სტკბებოდა თვის გამარჯვებით და თავის მხრივ დაპყრობილ იქნა ახალი ტალღის მიერ, რომელიც ამ მად ჩრდილოეთიდან მოდიოდა; ესენი იყვნენ ჰომეროსის აქეველები. შემდეგში უფრო დიდი დარბევა მოხდა ამ კულტურისა, როდესაც დორიელთ მა ალბავეს მიწიდან მინოსური და მიკენური ქვეყანა; თუმცა ნაშთები ამ ცივილიზაციისა ჯერ კიდევ საკმაოდ ხანგრძლივად არსებობდა უმთავრესად კუნძულებზე. ამგვარად, კრეტას სასახლეების დანგრევას თან არ მოჰყოლია მინოსიანთა ცივილიზაციის დასასრული მიუხედავად იმისა, რომ ამ მოვლენამ თავისებურად შესცვალა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების სახე და დასაბამი მიანიჭა ახალ ისტორიულ ეპოქას. პირიქით „მიკენის“ პერიოდის დროის მინოსიანთა ცივილიზაცია უფრო ფართოდ იყო გავრცელებული, ვიდრე ამაზე წინად. თუმცა მისი ფორმა უკვე რამდენადმე შეიცვალა და უფრო დაბალ ხმატვრულ საფეხურზე იდგა—სწორედ ისე, როგორც ელენიზმს დაემართა: იგი ელინისტურ პერიოდში უფრო გავრცელებული იყო, ვიდრე ქრ. წ. მეხუთე საუკუნეში, თუმცა მისი შემოქმედებითი ძალა უკვე ამოწურული იყო, ხოლო კულტურულმა დონემ თვალსაჩინოდ დაიწია.

მაგრამ სანამ „მიკენელები“ საბოლოოდ არ იქმნენ დაპყრობილი 12 ასიან წლების მეორე ნახევარში, ისინი გარეგნულად მაინც ნაკლებად განსხვავდებოდნენ ძველი მინოსიანებისაგან.

უნდა აღინიშნოს მხოლოდ, რომ „მიკენის“ სასახლეები თითქოს უფრო სხვაგვარი იყო, ვიდრე კრეტას სასახლეები, არა მარტო სიდიდით, არამედ გეგმითაც. მათი მთავარი ნაწილი იყო მეგარონი—დარბაზი კერათი. შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ასეთი სასახლეები შეეფერებოდა ჩრდილოეთის ხალხის მოთხოვნილებას, რომელთაც ეგრე რიგად ესაჭიროებოდათ სითბო. იქნება ამიტომ იყო დარბაზის შუადგილას მოთავსებული დიდი კერა. წინანდელ ამისა კრეტას სასახლეებში ადგილი არ ჰქონდა ხელოვნური სითბოს ასეთ წყაროს და საერთოდ არც მეგარონს. შეიძლება ესეც იმიტომ, რომ სამხრეთის ხალხს პირიქით სიგრილე და საერთოდ სიცხისაგან თავდაცვა ესაჭიროებოდა და აკი მათი დარბაზები სავსე იყო გალერეებით და გახსნილი შიგნითი ეზოებით.

თ ა ვ ი IV.

ეგეოსის კულტურის გავრცელება.

კრეტის-მიკენის კულტურა საბერძნეთის სხვა ადგილებში; საბერძნეთია გარეშე; დამოკიდებულება აღმოსავლეთის კულტურასთან; კერძოდ ეგვიპტესთან. „მიკენელთა“ დაშვრობა, მისი მიზეზი და შედეგები.

თვის დროის მიხედვით მაღალი და მდიდარი ეგეოსის კულტურა, ცხადია, გავლენას მოახდენდა საბერძნეთის სხვა ადგილებშიაც და მის გარეშეც. მართლაც, არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა ამ მხრივადაც საკმაოდ მდიდარი მასალა გადუშალა საისტორიო მეცნიერებას; მათის მეოხებით საბერძნეთის სხვა და სხვა ადგილას მოპოვებულ იქნა მრავალი ძეგლი კრეტის-მიკენის კულტურისა. ჩვენი შრომის მთავარი მიზანი იყო დაგვეხასიათებია ამ კულტურის ნაშთები უმეტესად მისი განვითარების სამ მთავარ პუნქტში: კრეტაზე, ტროადაში და საბერძნეთის ხმელეთზე (მიკენში და ტირინთში), ამიტომაც დანარჩენ ადგილებს მაოლოდ გაკვრით შევეხებით და აღვნიშნავთ მარტო თვალსაჩინო მხარეებს.

კრეტას მახლობლად მდებარე პატარა კუნძულ მოხლზე აღმოჩენილ იქნა უძველესი მოსახლეობა და მრავალი საფლავი, რომლებშიაც დაცული იყო სხვა და სხვა საგანი და მათ შორის უკვე ხსენებული ბეჭედი ხომალდით [1]). ყველა ამ საგანს ემჩნევა ეგეოსის კულტურასთან კავშირი. ეს კულტურა გავრცელებული ყოფილა ციკლადების და არქიპელაგის სხვა კუნძულებზედაც, განსაკუთრებით თერაზე და მელოსზე.

კუნძულ **მელოსთან** კრეტას უძველეს დროიდან ხშირი მისვლა-მოსვლა და დამოკიდებულება ჰქონდა. სხვათა შორის მელოსის მცხოვრებლები მრავლად ამზადებდენ და ავრცელებდენ იარაღს ობსიდიანისაგან. [2]) ეს იარაღი კრეტაზედაც იყო ხმარებაში და იგი მელოსიდან

---

[1]) იხ. გვ. 44.

[2]) ობსიდიანა—ვულკანური შუშა, რომელიც ვულკანის აღმოხეთქის დროს მთის გადადუღებულ ფენების სიჩქარით გაცივებისაგან წარმოსდგება.

შემოქონდათ. მელოსზე, ფილაკოპში აღმოაჩინეს გურნიის მზგავსი მოსახლეობა; სადაც სხვათაშორის იყო სამი უუძველესი ქალაქის ნანგრევები. მეორე ქალაქის კედლებზე ხშირად შეეხვდებით საყურადღებო ფრესკებს მფრინავი თევზების გამოხატვით.

ეგეოსის კულტურის ნაშთებს ადგილი აქვსთ აგრედვე კუნძულებზე როდოსზე და კიპრზე. როდოსი კრეტის—მიკენის კულტურის გავრცელების ერთ თვალსაჩინო პუნქტად უნდა ჩაითვალოს. ორივე კუნძულზე სხვათა შორის აღმოაჩინეს ეგვიპტური წარმოშობის საგნები, რომლებზედაც ზოგიერთ შემთხვევაში მოთავსებულია ფარაონების სახელები. კერძოდ კიპრი, მართალია, განიცდიდა ძლიერ გავლენას კრეტის-მიკენის კულტურისას, მაგრამ იქ ამასთან ერთად გავრცელებული ყოფილა პირველის მონათესავე ადგილობრივი კულტურა. კიპრის კერამიკა თვის განვითარებაში ააშკარავებს უეჭველად თავისებურ ევოლიუციას, ამიტომაც მას სპეციალისტები განცალკევებით იხილავენ („კიპრის ვაზები."). მიუხედავად ამისა ეგეოსის კულტურას, როგორც იყო ნათქვამი, მტკიცე გავლენა ჰქონდა კიპრის მცხოვრებლებზე და თვით კიპრი მახლობელ კავშირში იმყოფებოდა მასთან. კიპრი მდიდარი იყო სპილენძით, ამიტომაც მასზე უძველეს დროიდანვე დიდად ყოფილა განვითარებული ლითონების დამუშავება, საზოგადოდ ლითონების კულტურა. [1]) კიპრი აწოდებდა მთელ ძველ ქვეყნებს დაუმუშავებელ ოთხკუთხოვან ბრინჯაოს ფიქალის სახით. კერძოდ კიპრიდან ეგვიპტეში გაგზავნილ საგანთა შორის ჩვეულებრივ ყველაზე მეტი იყო ხოლმე სპილენძი, ბრინჯაო, ცისფერი ქვა და სხ.

არგოლიდაში, გარდა მიკენისა და ტირინთისა, ბევრგან აღმოაჩინეს კვალი ეგეოსის კულტურისა, მაგ. ჰერას ტაძართან, არგივიელთა ეროვნულ სიწმინდეს რომ წარმოადგენდა, ნახეს ნახევრად დანგრეული გუმბათოვანი აკლდამა; მის მახლობლად ნავპლიაში კლდეში აღმოაჩინეს უუძველესი დროის „მიკენური" საფლავების მთელი რიგი.

ხოლო ლაკონიაში, სახელდობრ ამიკლის მახლობლად, ვაფიოში ამოთხარეს აგრედვე „მიკენის" გუმბათოვანი აკლდამა, სადაც სხვათა შორის ნახეს ოქროს ორი საუცხოო სასმისი, რომლებიც მიკენის ხანჯლებთან ერთად უდიდეს ხელოვნურ მიხწევას წარმოადგენს.

---

1) ზოგიერთ ენაში სპილენძმა შეინარჩუნა სახელწოდება კიპრისაგან: ლათინურში—Cuprum, გერმანულში—Kupfer და სხვ.

ფორმით და ზედა ნაწილის სიდიდით სასმისები ერთი მეორესაგან განსხვავდებიან, სამაგიეროდ ორივე შემკულია ძვირფასი სურათებით:



სურათი №№ 53 და 54. ვაფიოს ოქროს სასმისები.

ერთზე გადმოცემული არიან საბალახოზე გაშვებული ხარები, მეორეზე კი გარეული ხარებზე ნადირობა. ორივეზე ცხოველები და მათი მოძრაობა დიდი დაკვირვებითა და სიცხადით არის აღბეჭდილი. ეფრო საყურადღებოა გარეული ხარების დაჭერა: ხარები დიდი სისწრაფით გარბიან და აქეთ-იქით ისვრიან ადამიანებს, რომლებიც მათ წინ ელოდებიან, მაგრამ თვითონ შეუმჩნეველად ეხვევიან თოკის ბადეში. ეს სცენაც სინამდვილითა და ცოცხლად არის შესრულებული.

ფრიად საყურადღებოა ვაფიოს ერთი ბეჭდის სურათი, რომელიც კულტთან, სახელდობრ მაგიურ ციკვსთან, უნდა იყოს დაკავშირებული. ამ სურათზე ვხედავთ სცენას, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ქალები და მამაკაცები. შუა ქალი ისეთივე მოძრაობაშია, როგორშიაც იყო მეოთხე ქალი სპარტის ბეჭედზე[1]); მას წინ გამოუწევია მარჯვენა ფეხი და დიდ ნაბიჯებს სდგამს, მარცხენაზე ოდნავ ჩაჯდომით; წინვე აქვს გამოშვერილი მას მარჯვენა ხელიც, ხოლო მარცხენა იდაყვთან ზევით მოუხრია, როგორც სჩანს, ეს ქალი ისე ჩქარა მოძრაობს, რომ თმები, რომლებიც ჩვეულებისამებრ წერტილებითაა გადმოცემული, ყოველი მხრიდან გაშლილ-გაწეწილი აქვს. ქალის მარ-

[1]) იხ. ზევით გვ. 48—54.

ცხენივ მოსჩანს მოხრილი მამაკაცის ფიგურა რომელიც აგრეთვე დიდ მოძრაობაში უნდა იყოს. იგი იმყოფება შტოებიანი ხის ქვეშ. ეს მამაკაცი, ალბად, ბუქნით უელის გარს ქალს, რომელიც წრის ცეკვას ასრულებს. მარჯვნივ დიდ ფარზე მოსჩანს მეორე ქალის ფიგურა. უნდა ეფიქროთ, რომ იგი, როგორც მიკენის ბეჭედზე ნეორე ქალი[1]), ცეკვის შემდეგ დაღალულა და თითქოს ღვთაების მოელენით აღვსებული, გადასწოლია ფარს[2]). ლაკონიის მთავარ ნაწილში—სპარ-

სურათი № 55 ეაფიოს კულტის ცეკვა.

ტაშიაც სჩანს ყველი კრეტის-მიკენის კულტურისა. მოვიგონოთ, რომ „ოდისეის" მე-4-ე თავში მოთხრობილია ტელემაკის მენელაოსთან სტუმრად წვევა და იქაური ყოფა-ცხოვრებაა აღწერილი. სპარტაში ყოფილა ძველი „მიკენური" მოსახლეობაც, რომელიც ალბად ცეკვლს მთიუნთქავს.

შუა საბერძნეთში, ატიკაში მრავლად მოიპოვება ნაშთები „მიკენის" კულტურისა. ათინის აკროპოლისის იმ ნაწილში სადაც შემდეგ ააგეს ათინა-ქალწულის შესანიშნავი ტაძარი, ძველად არსებობდა „მიკენური" სასახლე, ხოლო ნანგრევთა უფრო ღრმა შრეში, ეგრედწოდებულ „სპარსულ ქვასილაში"[3]) იპოვეს ჭურჭელი, რომელიც ფორმით ტროადის ჭურჭელს წააგავს.

ათინის შახლოპლად ფენიდში ამოთხარეს მიკენის მზგავსი დიდი

---

[1]) იხ. ზევით გვ. 81—82.

[2]) იხ. ბოგაიევსკი O., C 71—73.

[3]) ასე ინიტომ ეძახიან, რომ იგი ნაყოფია სპარსელების შემოსევით გამოწვეული ნგრევისა.

გუმბათოვანი აკლდამა; ასეთივე აკლდამები აღმოაჩინეს ატიკის მთავარი ველის სხვა ადგილებშიც.

ასზე მეტი „მიკენური“ აკლდამა ამოთხარეს კუნძულ ხალამინზე, ხოლო აგინაზე ნახეს მრავალგვარი უძველესი სადგომი, რომლებიც მიკენის ხანას უნდა ეკუთვნოდეს.

კრეტის-მიკენის კულტურის ნაშთები („მიკენური“ აკლდამა) აღმოჩნდა საბერძნეთის უდიდეს სარწმუნოებრივ ცენტრში — დელფაში[1]).

კიდევ უფრო მდიდარია ამ კულტურის ნაშთებით ბეოტია. გადმოცემის თანახმად კოპაიდის ტბის მიდამოები დასახლებული იყო მინიელებით, რომელთა სახელთან დაკავშირებულია თქმულება ოქროს ვერძზე და არგონავტების ლაშქრობაზე. მინიელების სატახტო ქალაქი იყო ორხომენი.[2]) ჯერ კიდევ ძველად იწვევდა გაოცებას ეგრედ წოდებული „მინიის საუნჯე“. იგი წარმოადგენდა სწორ-კუთხოვან ოთახს, რომელიც როგორც მიკენში, აქაც გუმბათოვან განსასვენებლთან იყო მოთავსებული; მისი ჭერი ქვისაა და თვისი სურათებით ტირინთის მხატვრობას მოგვაგონებს. ორხომენშივე აღმოაჩინეს ნაშთები „მიკენის“ ეპოქის სასახლისა მხატვრობის ნიმუშებით, რომლებიც კნოსისა და ტირინთის ფრესკებს მოგვაგონებს, და მრავალი ეაზა, ერთი მათგანზე დიდი ასოებით ამოკვრილია დამწერლობა, რომელიც კრეტას დამწერლობას წააგავს. კოპაიდის ტბის აღმოსავლეთ ნაწილში კლდოვან კუნძულ გაზე, თუ გულასზე ამოთხარეს ნანგრევები უძველესი დიდი აკროპოლისისა და „მიკენის“ ეპოქის სასახლისა. სასახლე გარშემორტყმული ყოფილა ციკლოპიური კედლით, რომელიც სიდიდით ტირინთისა და მიკენის კედლებს აღემეტება. ხსენებული აკროპოლისი შეიძლება ჰომეროსის არნა იყოს. ბეოტიაში „მიკენის“ შრეს ქვემოდ აღმოჩენილ იქნა აგრედვე ნეოლიტიური ეპოქის დასასრულის კულტურა.

ეგეოსის კულტურას თავისებური გავლენა ჰქონდა საბერძნეთის ჩრდილოეთ ნაწილშიც — **თესალიაში**. აქ დიმინში, ძველი იოლკის მახლობლად ნახეს თაღოვანი აკლდამა, რომელიც მენიდის აკლდამას წააგავს და „მიკენის“ ეპოქას უნდა ეკუთვნოდეს. მაგრამ თესალიის მიმართ ყველაზე უფრო საყურადღებოა ის ნეოლიტიური კულტურა რომელიც

[1]) გადმოცემის მიხედვით, კრეტას მეუღლეურები, რომელთაც თვით აპოლონი მეუღლობდა, მოვიდენ დელფაში და გახდენ მისი პირველი ქურუმები.

[2]) იხ. Bulle, „Orchomenos“ I. მიუნხენი 1907 და შლიმანის, „Orchomenos“ ლაიპციგი 1881 წ.

ბერძენმა არქეოლოგებმა სტაისმა და ცუნდამ დიმინში და სესკლოში აღმოაჩინეს და რომელიც ქრ. წ. 3000 წელზე უფრო ძველად უნდა ყოფილიყო მასზე გავრცელებული. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ თესალიაში პრაისტორიულ დროს გაბატონებული იყო სხვა წარმოშობის კულტურა, ვიდრე ის, რომელიც სამხრეთიდან, კრეტადან ვრცელდებოდა; ამ შეთხვევაში თესალია უნდა ჩაგვეთვალა საბერძნეთში იმ კულტურული ნაკადის წარმომადგენლად, რომელიც ჩრდილოეთიდან, შუა—ევროპიდან მოდიოდა, და მიკენის გავლენა კი მასზე უფრო გვიან უნდა გაჩენილიყო, მაგრამ უფრო მისაღებია წარმოვადგინოთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთი და იმავე კულტურის განშტოებასთან, რომ ეს კულტურა ოდესღაც კრეტაზედაც და ეგეოსის სხვა კუნძულებზედაც და განსაკუთრებით ტროადაში იყო გაბატონებული. ამგვარად შეიძლება დაწესებულ იქნას მისი მთლიანობა და საერთო გავრცელება; მიუხედეავად იმისა ჩავსთვლით მის პირვანდელ სამშობლოდ კრეტას, თუ შუა ევროპას.

ეგეოსის კულტურას ადგილი ჰქონდა საბერძნეთის დასავლეთ ნაწილშიაც. მის ნაშთებს ხედებით ოლიმპიაში, სადაც შემდეგში ბერძნების დროს დიდი დღეობები სრულდებოდა. ოლიმპიაში აღმოჩენილ იქნა უუძველესი მოსახლეობა მრგვალი და თაღიანი შენობებით. ოლიმპიის (ულუმბის) „მიკენური“ ძეგლთა შორის საყურადღებოა ბრინჯაოს თხელი ფირფიტები, რომლებზედაც გამოხატულია ფრთოსანი ღმერთქალი; მას უკანა ფეხებით უკავია ორი თავ-დაყირავებული ლომი. ღმერთქალის ლომებთან ასეთ კომბინაციას ჩვენ შეეხვდით კრეტას ძეგლებზედაც.

პილოსში [1]) აღმოჩენილ იქნა სამი გუმბათოვანი აკლდამა, სამწუხაროდ ძლიერ დაზიანებული და გაძარცული, მაგრამ ამ ფაქტმა ნათლად დაგვიმტკიცა, რომ დამარხვის ის წესი, რომელსაც ადგილი ჰქონდა მიკენში, ტირინთში და სხვაგან (გუმბათოვან აკლდამებში) საბერძნეთის დასავლეთ ნაწილშიაც ყოფილა გავრცელებული.

დასასრულ, კუნძულებზე ლევკადაზე [2]) და კეფალენიაზე ნახეს არა მარტო „მიკენური“ ნაშთები, არამედ უფრო ძველი ნეოლიტიური და ადრე-ბრინჯაოს ეპოქის ძეგლებიც. ამგვარად, საერთოდ ძველი საბერ-

---

[1]) რომელიც ჰომიროსის თქმით მხცოვანი ნესტორის რეზიდენცია იყო.
[2]) ლევკადას პროფ. დერპფელდი იტაკად—ოდისეს სამშობლოდ სთვლის.

ძნეთის ნიადაგზე ეგეოსის კულტურას უეჭველად ჰქონდა გავლენა და გავრცელება.

დიდი ყურადღების ღირსია, რომ თესალიაში აღმოჩენილი ნეოლიტიური კულტურის ნაშთები გვხდება საბერძნეთის ჩრდილოეთით თრაკიაში, მაკედონიაში, სერბიაში, ბოსნიაში, უნგრეთში, რუმინიაში, ბუკოვინაში და გალიციაში.

მისი ნაშთები ამოთხარეს **რუსეთშიაც**: უკრაინაში, ჩერნიგოვის და კიევის გუბერნიებში, ბესარაბიაში, თავისებური ნეოლიტიური კულტურა პირველად ხვოიკომ აღმოაჩინა კიევის გუბერნიაში დაბა ტრიპოლიეს მახლობლად და მას „**ტრიპოლის კულტურა**" უწოდა. ეს კულტურა ცნობილია აგრეთვე „ხვოიკოს კულტურის" სახელით. ამ კულტურის ნაშთებში შესაძლებელი შეიქნა დაეწესებიათ ზოგიერთი მზგავსება ტროადისა და მიკენის კულტურის ძეგლებთან.

შემდეგში მზგავსი კულტურა აღმოჩენილ იქნა რუსეთში უფრო ფართო სივრცეზე—ჩერნიგოვის გუბერნიიდან გალიციისაკენ. აქ პროფ. შტერნმა იპოვა მისი თვალსნჩინო კვალი, რომელიც ცხადად ბალკანეთის ნახევარ კუნძულისაკენ მიემართება. სხვათა შორის ბესარაბიის გუბერნიაში, სოფელ **პეტრენთან**, პროფ. შტერნმა ამოთხარა სხვა და სხვა საგანი ნეოლიტიური კულტურისა და მათ შორის დასურათებული კერამიკა, რომელიც მიკენის ვაზებს წააგავს. [1]) პროფ. შტერნი ფიქრობს, [2]) რომ ეს კულტურა წარმოიშვა არა მიკენის ზეგავლენით, იგი არც მისი უბრალო ანარეკლია, არამედ თვით არის პირველ-ყოფილი საფუძველი, მიკენის ვაზების მხატვრობის პროტოტიპი. იგი მიემართება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ: ჩერნიგოვის, კიევის და ბესარაბიის გუბერნიებიდან ბალკანეთის ნახევარ-კუნძულით თესალიამდი, ტროადით კუნძულებზე კრეტამდი. ტომები, რომლებიც ცხოვრობდენ ამ ნეოლოტიურ პერიოდში რუსეთის სამხრეთ ნაწილში, მიიწევენ უფრო სამხრეთით და იკავებენ ეგრედ-წოდებულ ბერძნულ ქვეყანას, სადაც მალე იქნა შემუშავებული მაღალი ელინური კულტურა.

---

[1]) ცნობები რუსეთში აღმოჩენილ უძველეს ნაშთების შესახებ გაფანტულია არქეოლოგიური საზოგადოების, ოდესის სიძველეთა და ისტორიის საზოგადოების და რუსეთის უნივერსიტეტია სხვა და სხვა გამოცემებში. სხვათა შორის იხ. ხილინსკი: „Из археологии Киевской земли" (сбор. статей в часть проф. Плаонова Пет. 1911).

[2]) იხ. მისი „Доисторическая культура на юге России". М. 1906 г. (из I тома „трудов XIII археол. съѣзда").

მაშასადამე, პროფ. შტერნის აზრით ეს კულტურა ჩრდილოეთიდან გადმოვიდა ბალკანეთის ნახევარ-კუნძულზე. ქვევით დაგვეჭირდება შევეხოთ ამ ფრიად საყურადღებო საკითხს და აქ მასზე მეტს ალარ შევჩერდებით.

მესამე მხრივ ეგეოსის კულტურის კვალს ვამჩნევთ შორეულ ქვეყნებშიაც: სიცილიაში, სარდინიაში, იტალიაში და თითქოის ესპანიაშიც. უნდა ვიფიქროთ, რომ ეგეოსიანთ ამ ქვეყნებთან თავიდანვე ჰქონიათ მისვლა-მოსვლა და შეიძლება საკმაო დამოკიდებულებაც.

კერძოდ სიცილიაში და ქვედა იტალიაში ბევრგან ნახეს „მიკენის“ ბუჩქლების ნატეხები. აღსანიშნავია ლირსია ის გარემოება, რომ სარდინიაში აღმოაჩინეს ბრინჯაოს პატარა ქანდაკებები, რომლებზედაც გამოხატულ ადამიანთ ისეთივე ჩაჩქანი ახურავთ, როგორიც ეგვიპტის სურათზე შარდინას წარმომადგენლებს.

აქვე იპოვეს ბრინჯაოს ნაკრები, რომლებიც ისეთივე ფორმისაა, როგორიც უკავიათ ხელში ეგვიპტის ძეგლებზე ‚კეფტიუს ადამიანებს[1]). ლითონის ასეთ ნაკრებს სხვათა შორის თავისებური დალი აქვსთ დაკრული; ერთ მათგანზე ეხედავთ დაღს ორპირიანი ცულის სახით, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ ეს საგნები ეგეოსის „ქვეყნის“ წარმოშობისაა.

გარდა ამისა ეგეოსის ცივილიზაცია დიდ ურთიერთობაში უნდა ყოფილიყო უძველესი აღმოსავლეთის სხვა კულტურასთან[2]). „მიკენის“ საფლავებს ერთგვარი მზგავსება ეჰნიშნავთ ფრიგიის, კარიის და ლიკიის საფლავებთან; ლომები მიკენის ჭიშკარზე გვაგონებენ ფრიგიას და თითქოის ასურეთსაც. კრეტას ორპირი ცული, ხარის რქების შუა მოთავსებული, მიგვითითებს კარიაზე, სადაც იგი ძევს ლაბრანდიელის საკუთრებად ითვლებოდა, ხოლო შემდეგში კარიის გერბშიც კი განსაკუთრებული ადგილი მოიპოვა.

კრეტას „დიდი დედის“ გამოხატულებანი ჩვენ ყურადღებას მიაპყრობს მცირე და წინა აზიის ხალხთა მითოლოგიაზე. კნოსში აღმოჩენილი ცილინდრის მზგავსი ბაბილონური ბეჭდები იმას გვეუბნება, რომ მინოსის საბრძანებელს ერთგვარი დამოკიდებულება ჰქონია უძველეს ბაბილონთან. მიკენში ნახული სირაქლემას ბუნებრივი კვერცხი

---

[1]) ამის შესახებ იხ. ქვევით.

[2]) რუს მკვლევართა შორის ამ საკითხს შეეხო სინგალევიჩი. იხ. მისი „Вопрос об отношении Эгейской культуры к Востоку“ (Гермес. 1912 წ. 7—9).

აფრიკაზე უნდა მიგვითითებდეს. სამხრეთ სირიაში, გეზერში და სხვა ადგილებში აღმოჩნდა ეგეოსის თიხის ნაწარმოებები, იარაღი და ეგეოსის ტიპის ნაშენები, და სხვ.

ხოლო უფრო საფუძვლიანი ურთიერთობა ეგეოსის ცივილიზაციას **ხეტების ქვეყანასთან და ეგვიპტესთან** უნდა ჰქონოდა.

ხეტურ ცივილიზაციას უეჭველად აქვს მზგავსება კრეტის-მიკენის კულტურასთან, როგორც სარწმუნოებაში ისე ხელოვნებაში, განსაკუთრებით ხუროთმოძღვრებაში. ბოგაზკეოი და მის მეზობლად მდებარე იაზილი კაია და ეიუკი მდიდარი არიან უუძველეს ტაძართა და სასახლეთა ნანგრევებით და საყურადღებო ქანდაკებებით. ყოველივე ეს ძვირფას მასალას გვაძლევს გავეცნოთ ამ ხალხის სარწმუნოებას და ხელოვნებას. ბოგაზკეოიში აღმოჩენილ იქნა აგრეთვე ტელ-ამარნის თანამედროვე სახელმწიფო არქივი[3]). ოსმალეთის ეხლანდელ სოფელ ბოგაზკეოის უკავია მცირე ნაწილი ძველი სატახტო ქალაქის—ხატტისა. აქ აღმოჩნდა ნაშთები ციხის კედლებისა, ქალაქის დიდ მოედანზე კი ნანგრევები ხუთი შენობისა შინა ეზოებით და მრავალი ოთახით. ამ შენობათ სპეციალისტების აზრით დიდი მზგავსება აქვსთ კნოსის სასახლესთან. ქალაქის კედლებს ჩართული ჰქონიათ ჭიშკრები კოშკებით და **ლომების ფიგურებით.**

იაზილი კაია—იყო კლდეში მოთავსებული საკურთხეველი. კლდის ქვედა ნაწილი გათლილია და მასზე მოუთავსებიათ სარწმუნოებრივი შინაარსის ბარელიეფები. მთავარი გამოხატულება გადმოგვცემს მცირე აზიის დიდ დედას, დედამიწის ღმერთ-ქალს, რომელიც ღმერთების კრებულის თანხლებით მიეშურება ნაყოფიერების ახალგაზდა ღმერთთან—ატისთან საქორწინოდ. ეს—ἱερὸς γάμος[4]-ია, რომელიც ყოველ წლიურად სრულდებოდა და ბუნების გამოცოცხლებას განასახიერებდა. დიდ დედას თან მოსდევს ხეტების ეროვნული ღვთაება—ტიშუბი თვისი ატრიბუტით—ორპირიანი ცულით. როგორც ვხედავთ, ორპირიან ცულს ხეტების მითოლოგიაშიაც სარწმუნოებრივი სიმბოლოს მნიშვნელობა ჰქონია. აღსანიშნავია ისიც, რომ დიდი დედა ხშირად მოთავსებულია თავისებურ ეტლში, რომელშიც **ლომებია** შებმული.

შესაძლებელია აქაც ლომები ღმერთ—ქალთან ისევე იყვნენ დაკავშირებული, როგორც ეგეოსის კულტურის „ქვეყანაში". საერთოდ ხეტების კულტურის ნათესაობა კრეტის-მიკენის ცივილიზაციასთან ღრეს უდაოდ უნდა იყოს მიჩნეული.

[3]) ამის შესახებ იხ. ტურაევი Op. cit გვ. 331—333.

როგორც უკვე იყო ნათქვამი, ეგეოსის ქვეყანას დიდი კავშირი და დამოკიდებულება ჰქონია უძველესი დროიდან ეგვიპტესთანაც. ჯერ კიდევ პირველი ორი დინასტიის დროს, მაშასადამე ,ქრ. წ. მეოთხე ათასიან წლების მეორე ნახევარში, ეგვიპტის გემები სჭრიდა ხმელთა შუა ზღვის ტალღებს და აწწევდა ეგეოსის კუნძულებამდი, რაზედაც ნათლად მიგვითითებს ეგეოსის კერამიკული ნაწარმოებები, რომლებიც ეგვიპტის უძველეს საფლავებში აღმოაჩინეს.

პირამიდის აღმშენებელ ფარაონთა ტექსტებში ეგეოსის კუნძულები და ხალხები მოხსენებული არიან სიტყვა „ხაუინებუ"-თი. ხოლო შუა სამეფოს ეპოქაში (ქრ. წ. დაახლოებით 2000 წელს) ფარაონი მენტუხოტეპ VII შინაური არეულობათა ალაგმვის შემდეგ კვლავ აღადგენს კავშირს შორეულ ქვეყნებთან და „ამშვიდებს" ეგეოსის ხალხებს—ხაუინებუს. ამას ამტკიცებს მისი მოლარის ხენუს წარწერა ხამამატში, რომელშიაც იგი თავის თავს „ხაუინებუს დამამშვიდებლად" აღიარებს. ამავე ეპოქის ერთ-ერთი მწერალი ამაყობს იმით, რომ მატიანეში მან თვისი ხელით ჩასწერა აგრეთვე ხაუინებუც. საზოგადოდ მე-12-ე დინასტიის ფარაონთა საფლავებში მრავლად იქნა აღმოჩენილი „კამარეს" სტილის ვაზების ნატეხები. ცხადია, ეს ვაზები კრეტადან უნდა მოეტანათ.

ხოლო კავშირი ეგვიპტესა და ეგეოსის ქვეყნის შორის უფრო ძლიერი და მჭიდრო შეიქნა ტუტმოს III-ისა და ამენხოტეპ (ამენოფის) III-ის დროს, ე. ი. ქრ. წინ მე-15-ე საუკუნის პირველი ნახევრიდან.

ტუტმოს III (1501—1497) მეოხებით ეგვიპტე შეიქნა იმ დროის სახელმწიფოთა შორის უძლიერესად; სამეფო სასახლეს ყოველი მხრიდან მოსდიოდა დიდძალი სიმდიდრე, რძლვენს მოართმევდენ მას აგრეთვე ხმელთა შუა-ზღვის კუნძულები: კიპრი, კრეტა და სხვ. ეგვიპტურ ტექსტებში კიპრს ეწოდება „ალაშია", ხოლო კრეტას და ეგეოსის ზღვის კუნძულებს „კეფტიუ". („კეფტიუ"=„უკან", „შორსუკან". იხ.. ფროსტი op. c. გვ. 199). ტუტმოს III-ის ვეზირის რეხმირის საფლავზე გამოხატული არიან კეფტიუ, როგორც დასავლეთის წარმომადგენლები, ჩრდილოეთის წარმომადგენლებათ—სემიანები, სამხრეთის—ნეგრები და აღმოსავლეთის—ნუბიელები და პუნტის მცხოვრებლები. „კეფტიუს ქვეყნის" წარმომადგენელთა გამოხატულება რეხმირის საფლავზე უდიდესად მოგვაგონებს ტიპით და ტანსაცმლით მამაკაცთა სურათებს, რომლებიც მოთავსებული არის კნოსის სასახ-

ლის კედლებზე. ამიტომაც დღეს უკვე გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ეგვიპტის ძეგლების „კეფტიუს“ ხალხი კრეტა-მიკენის წარმომადგენლები იყვენ.

ეგვიპტის სურათებზე მათ რძლვენი მიაქვთ ფარაონის წინაშე ძვირფასი ჭურჭლეულობისა და წმინდა ლითონის სახით, მათ უკან კი სდგას მთავრობის მოანგარიშე, რომელსაც ყოველივე შეაქვს სიაში. ეგვიპტის ოფიციალური ტექსტების მიხედვით „კეფტიუს ქვეყნის“ წარმომადგენლებს მოაქვსთ ხარკი და არა რძლვენი. ძნელია დადასტურებით იმის თქმა, მართლაც იმყოფებოდენ კიპრი, კრეტა და ხმელთა შუა ზღვის კუნძულები ეგვიპტის ვასალურ დამოკიდებულებაში, თუ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს წარწერების შემდგენელ ავტორთა გადაჭარბებულ ტრაბახობასთან, რომ იმ დროს ეგვიპტელთათვის ცნობილ ყველა ქვეყნის მოხარკედ აღნიშვნით უფრო მეტად აემაღლებიათ თავისი ბრძანებელის სახელი, პატივი და ძლიერება.

სურათი № 56—კეფტიუს წარმომადგენლები ეგვიპტურ ძეგლებზე.

თუმცა მოგვეპოება ისეთი ცნობები, რომლებიც თითქოს ადასტურებს იმ აზრს, რომ კიპრი, კრეტა და სხვა კუნძულები ფარაონთან ერთგვარ დამოკიდებულებაში იყვენ. ამ-ონის ერთ ჰიმნში, რომელშიაც ჩამოთვლილია ყველა ის სიკე-

თუ, მან მეფეს რომ მიანიშა, ეკითხულობთ: „...მე მოვედი და მოგეც შენ საშუალება დასავლეთის დაპყრობისა. კეფტიუ და კიპრი შიშს მოუცავს: მე ვაჩვენე მათ შენი დიდებულება ახალგაზდა მოზვერის მზგავსად, რომელიც მტკიცეა გულით, მაგარია რქებით და მიუდგომელი... მე მოვედი და მოგეც საშუალება დაგემარცხებია კუნძულების მცხოვრებლებიო...“[1])

თუ ეს ცნობა შეიცავს სინამდვილეს, მაინც უნდა ვიგულისხმოთ, რომ ხსენებული კუნძულების ფარაონისადმი „ვასალური დამოკიდებულება“ ალბად ყოველწლიური ხარკის ძღვევას არ გასცილებია.

ტუტმოს III-ის დროიდან გვაქვს უფრო სრული და სანდო ცნობები, რომლებიც ადასტურებენ ეგვიპტესა და ეგეოსის ქვეყნებს შორის რეგულიარულ სავაჭრო დამოკიდებულებას. ტუტმოს III ის მეფობის მე-34-ე წლის მატიანეში, რომელიც ფარაონის სირიაზე გალაშქრებას მოგვითხრობს, ნათქვამია: „გემები კეფტიუს, გემები კუპენის..[2]) დატვირთული იყო ხის სვეტებით და კოპებითო...“ აქედან სჩანს, რა როლს თამაშობდა იმ დროს ეგეოსიანთა ფლოტი: ტყეს, რომელსაც ეგვიპტის მხედრები ლიბანის მთებზე სჭრიდენ, ეგვიპტეში კეფტიუს გემებით მოჰქონდათ. ამენხოტეპ III-ის დროს ეგვიპტეში ეგეოსიანთა გემებით მრავლად შემოქონდათ ვერცხლი და ეგეოსიანთა ვაჭრები ხშირი სტუმარი უნდა ყოფილიყვენ ეგვიპტისა. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ იმ დროს ეგოსიანთა ვაჭრებს და ხელოსნებს ეგვიპტეში თვისი მოსახელეობა და ახალშენები ჰქონდათ.

განსაკუთრებით კუნძულ კიპრთან დაუწესებია ეგვიპტეს ძლიერი სავაჭრო დამოკიდებულება: ეგვიპტე მას აწვდიდა ოქროს, ვერცხლს, ნელსაცხებელს და სხვ. სამაგიეროდ აქედან მოჰქონდა ხე-ტყე, სპილოს ძვალი და დიდძალი სპილენძი. ამარნის ერთი წერილის მიხედვით, კიპრის მეფე ფარაონის წინაშე ბოდიშს იხდის, რომ დროზე ვერ გაუგზავნა მას სპილენძი და თითქმის სამი წელი გააჭერა მისი ელჩი, რადგან მის ქვეყანაში მძინვარებდა „ნერგალის ხელი“—შავი ჭირი, რომელშაც გასწყვიტა მცხოვრებლების უმეტესი ნაწილი და ამით ხელი შეუშალა სპილენძის დამუშავებას. აქვე მეფე იხსენიებს ერთ თვის ქვეშევრდომს, რომელიც ეგვიპეტში გადაცელილა, და სთხოვს ფარაონს გადასცეს მის წარმომადგენელს მიცვალებულის ქონება სამშობლოში

---

[1]) იხ. ტურაევი... I, გვ. 282.

[2]) კუპენი უნდა იყოს სირიელთა ქალაქი გებალი.

დარჩენილი ოჯახისათვის ჩასაბარებლად. მაგრამ ამ დროს ეგვიპტის მახლობლად გამოჩენილან ზღვის მეკობრეები და მათ შორის კიპრის მცხოვრებლებიც. ფარაონი მიუთითებს ამაზე ალეშიის მეფეს. ეს უკანასკნელი თავის მხრივ არწმუნებს მას, რომ თითონაც დიდი ზარალი აქვს მეკობრეებისაგან და მათ მოქმედებაში არავითარი ბრალი არ მიუძღვის. ამის საპასუხად ეგვიპტეში დაუპატიმრებიათ კიპრის ელჩები და დაუკავებიათ მათი გემები. კიპრის მეფე აცხადებს, რომ დაპატიმრებულია მისი ვაჭრები და მოითხოვს გადაეცეს მას გემები, როგორც მისი საკუთრება. თუ რა შედეგი მოჰყვა ამ მიწერ-მოწერას ჩვენ არ ვიცით [1]). როგორც ზევით იყო ნათქვამი, ეგეოსიანთა საგნებს ხშირად ვხვდებით ძველ ეგვიპტეში. სხვათაშორის მარტო მეფე რეფორმატორის ამენხოტეპ მე 4-ის სატახტო ქალაქ—ტელ-ამარნაში აღმოაჩინეს 1341 „მიკენის“ ფირფიტა. სამაგიეროდ ეგვიპტის ნაწარმოებთაც ვხვდებით ეგეოსის ქვეყნებში. კრეტაზე, კნოსის სასახლეში უძველეს საგანთა შორის აღმოჩენილ იქნა ნატეხები ეგვიპტური თასისა, რომელიც ლიპარიტისაგან [2]) იყო გაკეთებული. ლიპარიტი კი მოიპოვებოდა ლიპარის კუნძულებზე, სიცილიიდან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით. ეს ფაქტიც იმას გვეუბნება, რომ კრეტას უძველეს დროიდან ჰქონდა დამოკიდებულება ეგვიპტესთან და ერთგვარ შუამავლობას ეწეოდა შორეულ დასავლეთსა და ნილოსის ველის შორის.

ქრ. წ. დაახლოებით 1700 წელს ეგვიპტეს დაესხა უცხო, დღემდის გაურკვეველი ჩამომავლობას ხალხი—ჰიკსოსები, რომლებიც ასიოდე წელი ბატონობდენ მასზე. მხოლოდ ფარაონმა იახმოსმა (1580—1557) შესძლო მათი ეგვიპტიდან განდევნა. ჰიკსოსების მეფეთა შორის ყველაზე შესანიშნავი იყო ხიანი.

კნოსში ევანსმა იპოვა ალაბასტრის ფირფიტა ამ ხიანის სახელის აღნიშვნით: „ღმერთი კეთილი სეესერ-ნი-რა, შვილი რა-ხიანი“.

ფარაონის ამენხოტეპ III-ისაგან დარჩენილია მრავალი დიდი სკარაბეი [3]), რომელთაც მისთვის თითქოს სხვადასხვა შესანიშნავ შემთხვევათა მოსაგონარი ფირფიტების მნიშვნელობა ჰქონდა; მაგ. ზოგიერთ მათგანზე ლაპარაკია მის დაქორწინებაზე ტი-სთან, რომელიც მისი საყვარელი და გავლენიანი მეუღლე იყო. კრეტაზე და მიკენში აღმო-

[1]) იხ. ტურაევი. О. С. გვ. 313, 314.

[2]) მთის ვულკანური ჯიშისაგან.

[3]) ძველი ეგვიპტური იეროგლიფები ბუზამკალის გამოსახტულებით.

ჩენილ იქნა ასეთი სკარაბეი ტი-სა და თვით ამენხოტეპის სახელებით. ამასთანავე კიპზიე, როდოსზე, კრეტაზე და მიკენში იპოვეს ეგვიპტური საგნები, რომლებზედაც ამოკითხულ იქნა სახელები ტუტმოს III-ისა და ამენოფის IV-ისა.

კრეტაზე აღმოჩნდა ეგვიპტელის ქანდაკება, სფინქსი და სხვა. ეგიბ ტრიადის „მკელთა ვაზა"-ზე სხვათა შორის შევხვდით ეგვიპტის მუსიკალური ინსტრუმენტის მზგავს საკრავს. აღსანიშნავია ისიც, რომ მიკენის ხანჯლების პირზე მოთავსებული ჰეიზაჟი—მდინარე და ზამბახისა და პაპირუსის მზგავსი მცენარეები—თავისთავად გვაგონებს ნილოსის ჭალას. გარდა ამ-სა ბიბან-ელ-მოლუკში რამზეს III-ის აკლდამის ერთ კამერაში არის კედელზე დახატული „მიკენის" ჭურჭლები. ამ ჭურჭლების სურათების შესრულებაში სპეციალისტების აზრით მოსჩანს ეგვიპტური იმიტაცია. კარნაკის ერთ მატიანეში ჩამოთვლილია ხელოვნების სხვადასხვა ნაწარმოები და მათ შორის ისეთებიც, რომლებიც კეფტიუს ხალხის მიერ ყოფილა შესრულებული.

ყოველივე ეს ეგეოსის ქვეყანასა და ეგვიპტეს შორის დიდ ურთიერთობაზე და გავლენაზე უნდა მიგვითითებდეს, მაგრამ ეგვიპტისა და ეგეოსის კულტურათა შორის ამა თუმ მზგავსების, გავლენის, თუ ზოგიერთ შემთხვევაში მიბაძვის აღნიშნის დროს არ უნდა დავიგიწყოთ, რომ შეუძლებელია ამჟამად მაინც დარწმუნებით იმის თქმა, თუ რომელი მხარე, ეგვიპტე ეგეოსის ქვეყნებზე, თუ უკანასკნელი პირველზე ახდენდა გავლენას, ვინ ვის ჰბაძავდა, ვინ ვისგან რას სესხულობდა, ან პირიქით რას აძლევდა.

დასასრულ, უნდა შევჩერდეთ იმ ცდაზე, რომელიც „მიკენელთა" მხრივ ეგვიპტეზე თავდაცემისა და მისი დამორჩილებისაკენ იყო მიპყრობილი.

ეგვიპტის ფარაონები რამზეს II (1293—1225), მერნეფტა (1295—1215) და რამზეს III (1198—1167) მოგვითხრობენ თვის წარწერებში იმ ომების შესახებ, რომლებიც მათ ეგრედ—წოდებულ ზღვის ხალხებთან უწარმოებიათ. მედინეტ-აბუს, რამესეუმის და კარნაკის ტაძრების კედლებზე მოთავსებულია სცენები ამ ომებისა და მათში გადმოცემულია მონაწილე ხალხთა გარეგნობა; აღნიშნულია აგრედვე მათი სახელებიც.

ა) ფარაონი რამსეს II მერიამონი ეგვიპტის ისტორიაში ფრიად პოპულიარული პიროვნება იყო. სახელი მან მოიხვეჭა არა ომებით

არამედ უმთავრესად ძვირფასი შენობების აგებით და მრავალი საყურადღებო ძეგლის შექმნით. ამ ფარაონს მთელი ოცი წლის განმავლობაში უხდებოდა ომი სირიაში, უმთავრესად ხეტებთან, აგრეთვე ხმელთაშუა ზღვის კუნძულების ხალხებთან.

ბ) ამ უკანასკნელებთან უფრო ცხარე შეტაკება ხვდა წილად მერნეპტას. მის დროს ეგვიპტეს დაეცა მთელი კოალიცია ზღვის ხალხთა: ლუკუ, აკაივაშა, ტურიშა, შაკალშა, შარდანა; ამავე დროს დასავლეთით ეგვიპტეს თავს ესხმიან ლიბიელები. ამგვარად ეგვიპტის წინააღმდეგ გამოდის აფრიკა ევროპასთან დაკავშირებით. ეგვიპტის მატიანეში ჩამოთვლილი ხალხები შეიძლება არიან: ლუკუ—ლიკიელები, აკაივაშა—აქეველები, ტურიშა—ტირენელები, შაკალშა—სიცილიელები და შარდინა—სარდინიელები. შემოსეული ხალხები სასტიკად დაამარცხეს ეგვიპტელებმა; მრავალი მათგანი ბრძოლის ველზე დაიხოცა, მრავალიც ტყვედ დარჩათ ეგვიპტელებს, რომლებმაც აგრეთვე ხელში ჩაიგდეს მათი ბანაკი და იარაღი. ამ გამარჯვების შესახებ ჩვენამდე მოახწია ორმა დიდმა წარწერამ, რომლებშიაც აღწერილია ფარაონის გამარჯვება შემოსეულ მტრებზე. [1])

გ) რამზეს III იყო უკანასკნელი სახელოვანი ფარაონი ეგვიპტისა. მისი მეფობის პირველი 12 წელი მოცულია ომიანობით. მეფობის მეხუთე წელს, მატიანეს მიხედვით, მას ერთსა და იმავე დროს მოუხდა ომი დასავლეთით და აღმოსავლეთით. ალბად კვლავ შეთანხმებით დაეცნენ ეგვიპტეს ერთის მხრივ ლიბიელები, ხოლო მეორეს მხრივ ზღვის ხალხები.

ლიბიელებს ფარაონი ძლიერ ადვილად გაუსწორდა, ხოლო უფრო საშიში იყო ზღვის ხალხთა შემოსევა მისი მეფობის მე-8 ე წელს.

მათ შესახებ მატიანეში ვკითხულობთ: „მოვიდნენ პულასატი, ჯაკკარა, რომლებიც სცარცავდნენ ქვეყანას. მათი რჩეული მეომრები ხმელეთით მოდიოდნენ, სხვები ზღვით... ვერ გაუმკლავდა მათ ვერც ერთი ქვეყანა... მათში იყვნენ: პულასატი, თაკკარა, შეკელშა, დანონა და უაშაშა“ რამზეს III დაამარცხა ეს ხალხებიც და ეგვიპტე გაათავისუფლა მათი დარბევისაგან. ეგვიპტელების გამარჯვების ამბავს მოგვითხრობს ტექსტები და სურათები რამზეს III მიერ აშენებული მედინეტ—აბუს ტაძრისა: „ისინი შეიკრიბენ ზღვასთან. ალი მოედვა მათ და როხაუტს [2]). ისინი შევრეკეთ ვიწრო ადგილში, დავცით ნაპირზე, დავხო-

[1]) ibiden გვ. 335—336.
[2]) ნილოსის ტოტია.

ცეთ, ვაქციეთ გვამთა გროვათ; მათი ვეშები იძირებოდა, მე (ფარაონმა) ვაიძულე უკან დაეხიათ, დაენახსოვრებიათ ეგვიპტელები და გაევრცელებიათ ჩემი სახელი თვის ქვეყანაშიო„. [1])

ზევით ხსენებულ ხალხთა შორის პულასატი და ჯაკკარა უნდა იყვენ ფილისტიმელები. დაბადებაში ფილისტიმელები ღავთორიმის თუ კაფტორის (კრეტას) [2]) ხალხად არიან მოხსენებული: და მისგან გამოვიდნენ ფილისტიმელები, ღავთორიმნიო" (წიგნი პირველი. შესაქმე მოსესესი. თავი X , იდ.). წინასწარმეტყველი იერემია ამბობს (47,4). უფალი დაარბევს ფილისტიმელებს, კუნძულ ღავთორიმის ნაშთსო". წინასწარმეტყველ ამოსაც ფილისტიმელები კაფტორიდან გადმოსულ ხალხად ჰყავს წარმოდგენილი. თუ უდაოდ მივიჩნევთ, რომ ღავთორიმი, თუ კაფტორი იგივე კრეტაა, მაშინ ცხადია, რომ ფილისტიმელები კრეტადან იყვენ წამოსული. როგორც ვიცით, იგინი შემდეგ პალესტინაში დასახლდენ. ხოლო სიტყვა „პალესტინა" პულასატის ქვეყანას უნდა ნიშნავდეს.

ახალ სამშობლოში ფილისტიმელები თანდათანობით გასემიანდნენ და შეითვისეს ქანაანელთა კულტები დაგონისა და დერკეტისა. რამზეს III-ის მიერ დამარცხების შემდეგ მათ ეკავათ პალესტინის განაპირა ნაწილი, გაზისა და ასკალონის მახლობლად.

მაგრამ საკითხავია, რამ **გამოიწვია „მიკენელთა" ხსენებული დიდი ლაშქრობა?**

როგორც ვიცით, ქრ. წ. 1400—900 წლების შუა საბერძნეთის ნახევარ—კუნძულმა რამდენჯერმე განიცადა თავდასხმა. ხალხი, რომელმაც ბოლო მოუღო კნოსს, თვითონაც მალე დაპყრობილ იქმნა ჩრდილოეთიდან მოვარდნილ ახალ ტალღის მიერ; ეს ახალი დამპყრობლები იყვენ ჰომიროსის აქეველები; შემდეგში კი კრეტის-მიკენის კულტურამ უფრო დიდი განადგურება განიცადა, როდესაც ახალმა თავდასხმამ დორიელების სახით ბოლო მოუღო „მიკენის" ეპოქას. მათგან შევიწროებულმა „მიკენელებმა" მოაწყვეს დიდი გალაშქრება ეგვიპტეზე და აღმოსავლეთზე სწორედ იმ ეპოქის წინ, რომელსაც „ტროადის ომი" ეკუთვნის. „მიკენელთა" ეს ლაშქრობა ნამდვილი ემიგრაცია იყო: ძველ სამშობლოდან ოტებულნი, ისინი ახალ საცხოვრებელ ადგილებს ეძებდენ, ახალი სამშობლოს მოსაპოებლად იბრძოდენ და ამიტომაც

[1]) ibidem გვ. 337—338.

[2]) შეიძლება ითქვას რომ ღავთორიმი თუ კაფტორი იგივე კრეტაა.

მთელი ოჯახობით და ავლა-დიდებით მიდიოდენ ამ ლაშქრობაში. მიზეზი კი, რომელსაც შეეძლო ეს ტომები აეყარა თვისი ადგილიდან, დორიელთა გადმოსახლებაში უნდა ვეძიოთ.

დორიელები მოვიდნენ ეგეოსის ქვეყნებში თვისი საკუთარი კულტურით და ხელოვნების ფორმებით. „მიკენის“ ხელოვნების განადგურების შემდეგ მათ ძველ საბერძნეთში გაავრცელეს თვისი საკუთარი ეგრედ-წოდებული „გეომეტრიული სტლი.“ მისი მიხედვით მხატვრული ფორმები შეიქმნა უფრო კუთხოვანი ისე, რომ სხეულები ადამიანთა და ცხოველთა თითქოს სამკუთხედებისა და სწორ-კუთხედებისაგან შემდგარად მოსჩანდა. ამიტომაც ამ სტილს სამართლიანად ეძახიან „გეომეტრიულს.“

დორიელთა გადმოსახლებას ძველ საბერძნეთში უეჭველად არ ჰქონდა მშვიდობიანი ხასიათი, და არც ერთბაშად შემოქრილან ისინი ელადაში, არამედ თანდათანობით გადმოდიოდნენ მასზე. ამით უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ „ზღვის ხალხების“ ბრძოლამ ეგვიპტესთან თითქმის მთელი საუკუნე გასტანა: დორიელთა შემოსევის თითოეული ახალი ტალღა ალბად თავის მხრივ იწვევდა „მიკენელთა“ ამოძრავებას და ამ მოძრაობის გამოძახილი ეგვიპტემდისაც აბწევდა. ეგვიპტემ ისეთი ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია თავის ადგილებიდან დაძრულ „მიკენელებს,“ რომ მათი შემდეგი წინსვლა შეუძლებელი შეიქნა. მეორეს მხრივ მათ ვერც წინა აზიაში შეეკრა მოახერხეს, ამიტომაც ალბად მათმა ნაწილმა ისევ დასავლეთისკენ იბრუნა პირი. ადვილი შესაძლებელია, ასეთი მდგომარეობის გამო ერთ-ერთმა ტომმა **ტურიშამ-ტირენელებმა იტალიას** მიაშურა და მისი დასავლეთ ნაწილის დაკავება მოახერხა. შესაძლებელია ისიც, რომ ისინი აქ შეუერთდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს, დასაბამი მისცეს შერეულ ხალხს **ეტრუსკებს** [1]) და საფუძველი ჩაუყარეს თავისებურ სახელმწიფოებრიობას. „უდაოა, რომ ეტრუსკების ხელოვნებას ემჩნევა სხვადასხვა-გვარი გავლენა, რომელთა შორის ცხადად მოსჩანს ჯერ საკმაოდ გაურკვეველი კავშირი მცირე აზიასთან და იონიელთა ხელოვნებასთან, რომელიც ისე, როგორც ეტრუსკების ხელოვნება, გვიჩვენებს გარეშე გავლენას, ალბად ეტრუსკების ხელოვნებასთან ერთად თვის პირველ სამშობლოში—მცირე აზიის ნაპირებზე რომ განიცადაო,“ ამბობს

---

[1]) მკვლევარი კ. ო. მიულერი ეტრუსკებს „პელასგებ-ტირენელებათ“ სთვლიდა (იხ. მისი „Die Etrusker.“ Breslau 1828.)

ერთი რუხი მკვლევარი. [1]) ეტრუსკების კულტურის ძეგლებში ეგეოსის კულტურის თვალსაჩინო ელემენტებიც მოიპოვება. და თუ ოდნავ მაინც შეეფერება სინამდვილეს ზევით გაკერით გამოთქმული მოსაზრება, მაშინ ამ მოვლენის ახსნა ასე შეიძლებოდა: ეტრუსკელების წინაპრების ერთი ნაწილი დიდხანს იყო მახლობელ კავშირში ეგეოსის სხვა ტომებთან, ეგვიპტეზე დიდი გალაშკრების შემდეგ ხანგრძლივად დაეხეტებოდა მათან ერთად ახალი სამშობლოს მოსაპოვებლად და საკვირველი არ უნდა იყოს, თუ მათ წინად შეთვისებული საერთო კულტურის ელემენტები ახალ ბინაზედაც მოიტანეს და გააერცელეს.

მეორე ტომმა—შარდინამ-სარდინიელებმა ალბად ეხლანდელ კუნძულ სარდინიაზე იპოვა დასაბინავებელი ადგილი, მიანიჭა მას სახელწოდება და შეერია ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომლებთან ერთად აგრედვე შეჰქმნა შერეული ხალხი და თავისებური კულტურა. ამას სხვათა შორის ოდნავ უნდა გვიმტკიცებდეს, ის, რომ სარდინიაზე აღმოჩენილ ბრინჯაოს პატარა ქანდაკებებზე გამოხატულ სარდინიელებს ისეთივე მოკაზმულობა აქვსთ, როგორიც შარდინას წარმომადგენლებს ეგვიპტის ძეგლებზე, სახელდობრ, თავზე ახურავთ რქებიანი მაღალი ჩაჩანი, რომელსაც ზემოდან ბირთვი აქვს დაკერებული. აქვე იპოვეს ისეთივე ბრინჯაოს ნაპრები, როგორიც ეგვიპტის ძეგლებზე ხელში უკავიათ კეფტიუს ადამიანებს [2]).

რასაკვირველია, მარტო ეს საბუთი არ კმარა გამოთქმული აზრის დასამტკიცებლად, მაგრამ მასზე უფრო ხანგრძლივად ვერ შევჩერდებით. დორიელთა შემოსევას სხვა ტომებიც დაუძერია ადგილიდან. აკაივაშა ანუ ჰომიროსის **აქეველები** ალბად გადასახლებულან კუნძულ კიპრზე. როგორც ვიცით, კიპრის კულტურა ახლოს ენათესაებოდა ეგეოსის კულტურას. აქეველებმა უკვე წინად შეითვისეს ეგეოსის კულტურა—მისი განვითარების უკანასკნელ სტადიაში, სახელდობრ „მიკენის“ კულტურა, ამიტომაც ძნელი არ იყო კიპრის ძველი მოსახლეობისა და ახლად მოსული აქეველების კულტურული შედუღება.

---

[1]) იხ. ბეკშტრემი: Прошлое и настоящее этрускологии, ея успехи и задачи.“ (Зап. класич. отд. русск. археол. общ. ტომი V. პეტრ. 1908 წ. გვ. 211.

[2]) ამის შესახებ იხ. ზევით გვ. 109—110.

რამზეს მესამესთან შეტაკების შემდეგ იპოვეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი თაკარამ და პულასტიმ ანუ ფილისტიმელებმა.

ეგეოსის ტომთა მოძრაობის უკანასკნელი გამოძახილი უნდა იყოს „ტროადის ომი“. ეგვიპტესთან შეტაკების შემდეგ მათ მწარე დამარცხება იწვნიეს და ადვილად შესაძლებელია თვით მათ შორის იჩინა თავი შურმა და მტრობამ, და ყოველივე ეს დიდი სისხლის მღვრელი ომით გათავდა.

თ ა ვ ი V.

რომელ ხალხს თუ ტომს ეკუთვნოდა კრეტის-მი-კენის კულტურა.

დასასრულ, დიდ ყურადღებას იპყრობს ის საკითხი, თუ ვის ეკუთვნოდა ეგეოსის კულტურა, რომელი მოდგმის ხალხი, თუ ტომი იყო მისი შემოქმედი და მატარებელი. სხვა და სხვა მკვლევარი ამ საკითხს სხვა და სხვა გვარად უდგება. მაგრამ უპირველესად ყოვლისა საჭიროა შეეხოთ იმას, ჰქონდათ თუ არა ძველ ბერძნებს რაიმე ცნობა მათზე წინ „ელადაში" მცხოვრებ ხალხთა შესახებ. ასეთ ცნობებს ბერძნების გადმოცემაში მართლაც შეეხვედებით. ამ მხრივ ჩვენ ჭელთა გვაქვს თქმულება პელასგებზე, ლელეგებზე, ეტეოკრეტელებზე და კარიელებზე.[1])

ამ ცნობით მტკიცდება, რომ ძველ „ელადაში" თავდაპირველი უცნობი მოსახლეობის ადგილას შემდეგში ბერძენთა ტომები გაბატონებულან. თვით ჰომეროსი აღნიშნავს ენათა და ხალხთა შერევას ძველ კრეტაზე: იგი ამბობს[2]):

---

[1]) Strab. p. 661: „οἱ Κᾶρες ὑπὸ Μίνω ἐτάττοντο, τότε Λέλεγες καλούμενοι, καὶ τὰς νήσους ᾤκουν. εἶτ' ἠπειρῶται γενόμενοι πολλὴν τῆς παραλίας καὶ τῆς μεσογαίας κατέσχον, τούς προκατέχοντας ἀφελόμενοι. Καὶ οὗτοι δ' ἦσαν οἱ πλείους Λέλεγες καὶ Πελασγοί, πάλιν δὲ τούτους ἀφείλοντο μέρος οἱ Ἕλληνες Ἴωνες τε καὶ Δωριεῖς" (კარიელები, რომელთაც წინეთ ლელეგები ერქვათ, წესრიგში მოიყვანა მინოსმა, და ცხოვრობდენ ისინი კუნძულებზე, ხოლო შემდეგ კი გახდენ ხმელეთის მცხოვრებლები, მათ ზღვის ნაპირის და ხმელთა შუა უმეტესი ნაწილი დაიკავეს, რომელიც წართვეს მის ძველ მოსახლეთ; მათ უმეტეს ნაწილს ეწოდებოდა ლელეგები და პელასგები; მათ თავის მხრივ სამფლობელო ჩამოართვეს ელინებმა—იონიელებმა და დორიელებმაო).

[2]) Od. XIX. 175 შევ.

„ἄλλη δ' ἄλλων γλῶσσα, μεμιγμένη ἐν μὲν Ἀχαιοί,
ἐν δ' Ἐτεόκρητες μεγαλήτορες, ἐν δὲ Κύδωνες,
Δωριέες τε τριχάικες δῖοί τε Πελασγοί“ [1]).

წინა გვერდის შენიშვნაშიც და ამ ამონაწერშიაც ხსენებული არიან „ღვთაებრივი პელასგები.“ [2]) დორიელები და აქეველები ბერძენთა ტომები იყვნენ, მაგრამ ვინ იყვნენ ეს პელასგები, [3]) ან კიდონიელები, და ან ეს საუცხოო ეტეოკრეტელები? აი საკითხი, რომელიც მიუხეან ეს საუცხოო ეტეოკრიტელები? აი საკითხი, რომელიც მიუხედავათ მრავალი გამოკვლევისა, დღემდის ვერ ეღირსა სათანადო შესწავლას და გარკვევას.

საზოგადოთ ეგეოსის კულტურის წარმომშობ ხალხთა შესახებ მეცნიერებაში დიდი აზრთა სხვადასხვაობა სუფევს. ერთი აზრის მიხედვით, ეგეოსის კულტურა წინა ბერძნული კულტურაა, მისი შემოქმედი იყო უცნობი ხალხი, რომელიც არც სემიანთა და არც არიელთა მოდგმას არ ეკუთვნოდა (მაგ., ფრანგი მეცნიერი დიუსო). სხვები ფიქრობენ, რომ ის ხალხი, რომელიც ნეოლიტიურ ხანაში „ეგეოსის ქვეყანაში“ ცხოვრობდა და დასაბამი მისცა კრეტის—მიკენის კულტურას, მოვიდა ჩრდილოეთ აფრიკიდან, მისი ჩამომავლობა უცნობია (მაგ. ჩეხელი პროფ. პეროუტკა). ძველი ისტორიის დიდი მკვლევარის ედ. მეიერის შეხედულებით ეგეოსის კულტურა არ არის არიელთა მოდგმის ხალხისგან შექმნილი, არამედ იგი ეკუთვნის მცირე აზიის რასის რომელლაც უცნობ ხალხს. ეს მეცნიერი აღნიშნავს აგრედვე მცირე-აზიის ერთ-ერთ დღემდის უცნობ ენას, რომლისგანაც მისი აზრით

---

[1]) „კუნძულზე მეფობს სრული შერევა ენათა, ცხოვრობენ იქ აქეველები, ცხოვრობენ საუცხოო ეტეოკრიტელები, ცხოვრობენ კიდონიელები და დორიელები და ღვთაებრივი პელაგებიო“. ეს ალბად ის დროა კრეტას ცხოვრებაში, როდესაც ბერძენთა ტომებმა—აქეველებმა და დორიელებმა უკვე მოიკალათეს ძველი საბერძნეთის მიდამოებში.

[2]) Kretschmmer-ი (Gl. 1 (1907) 15—16) აწარმოებს სიტყვა δωριεῖσ“ „δόρυ“—და (შუბიდან), ხოლო „πελασγοί“-ს πελαγ“—„σκοί“—დან, რაც უნდა ნიშნავდეს--ველის მცხოვრებლებს. ჩვენ თანამემამულე მეცნიერს ნ. მარრს კი „pelasg“ იაფეტური წარმოშობის სიტყვად მიაჩნია და ამ ეთნიურ ტერმინს უკავშირებს ყარყატის (აისტის) ბერძნულ სახელწოდებას—πελαργός (იხ. მისი „к воп. о происх. плем. назв. этруск и пеласг“).

[3]) პელასგების შესახებ საზოგადოდ იხ. E. Meyer. Forschungen zur. Alten Geschichte, I, 3 შედ.

ბევრ ძველ ხალხს მრავალი სიტყვა შეუთვისებია[1]). აღსანიშნავია, რომ ყველა ზეპოხსენებულ მკვლევარს ეგეოსის კულტურა არც სემიანთა და არტ არიელთა ჩამომავლობის კულტურად არ მიაჩნიათ.

სამაგიეროდ არიან ისეთი მეცნიერები, რომელთაც ეგეოსის კულტურის მატარებლათ არიელთა მოდგმის ხალხი წარმოუდგენიათ. ასეთია, მაგ., პროფ. ლიპტენბერგი[2]). იგი შესაძლებლად სთვლის ირწმუნოს, რომ „ეგეოსის ქვეყნის“ ზოგიერთ ნაწილში მაინც არსებობდა წინა-არიული მოსახლეობა და ამას გარდა შემდეგშიაც ადგილ-ადგილ დარჩნენ არა არიული ხალხები. მაკრამ მისი აზრით ეგეოსის ზღვის გარშემო მდებარე ქვეყნების დასახლება არიელთა მიერ მოხდა გაცილებით იმაზე ადრე, ვიდრე ლუვრის ეგონათ, სახელდობრ ქრ. წ. სამი ათასიან წლებში.

არიელთა საზოგადო პრა-საშობლო შუა ევროპა იყო. ჩრდილოეთიდან ჯერ კიდევ ქვის საუკუნის უკანასკნელ დროს მოხეტიალე ტომებმა მიაღწიეს ქვეყანა დუნაის მიდამოებს. აქ მათი გზები გაიყო. ზოგიერთი ტომები წავიდნენ პირდაპირ სამხრეთისაკენ, ბალკანეთის ნახევარ-კუნძულზე, საიდანაც ისინი თანდათან წინ მიიწევდენ და მიახწიეს კრეტას; ისინი შეიქნენ მთელი თვისი გზის სივრცეზე ეგეოსის კულტურის დამაარსებლად ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. მათი მეორე შტო გადახარა აღმოსავლეთით, გადავიდა დარდანელზე და დაიკავა მცირე აზიის დიდი ადგილი, ტროადა, ფრიგია და კაპადოკია. ევროპიდან მცირე აზიაში შემოტანილი მათი საზოგადო კულტურა დამოუკიდებლივ განიცდიდა შემდეგ განვითარებას, თუმცა კავშირი არ გაწყვეტია დასავლეთ-ეგეოსის კულტურასთან და ამაიე დროს ნაწილობრივ მაინც ითვისებდა მეზობელ მცირე აზიის ტომთა გავლენას[3]).

ჩვენ უკვე ვიცით, რომ პროფ. შტერნის[4]) აზრით ეგეოსის კულტურის პირველი წყარო იყო ის ნეოლითური კულტურა, რომლის ნაშთები სამხრეთ რუსეთში აღმოაჩინეს. შტერნი ფიქრობს, რომ კულტურული მოძრაობა ამ შუთხვევაში მოდიოდა არა სამხრეთიდან, არამედ ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ.

---

[1]) იხ მისი „Geschichte des Altertums“ I. 1909. გვ. 627.

[2]) ეგეოსის კულტურის შემოქმედთ ბერძენი ტომებს სთვლის ფრ. ბაუგარტენიც. იხ. მისი „Микенский период“. („Эгейская культура“ ბერძენის თარგმანი. პეტ. 1906 წ. გვ. 47—48). რეს მკვლევართა შორის ლიხტენბერგის აზრს იზიარებენ სინგალ ვეჩი, ფარაკოვსკი და სხ.

[3]) იხ მისი „Доисторич. Греция, ნ. III. გვ. 133—163.

[4]) იხ. ზევით გვ. 108.

სრულიად სხვა მოსაზრება გამოსთქვა ჩვენმა თანამედროვე მეცნიერმა, პროფ. ნ. მარრმა თვის უკანასკნელ წლების ერთ-ერთ შრომაში [1]). მისი აზრით ხმელთა-შუა ზღვის ქვეყანა არის ისტორიული კერა არა მარტო ევროპიული, არამედ მთლიანი მსოფლიო კულტურისა [2]). ამავე დროს ხმელთა-შუაზღვის კულტურა არ არის სემიანთა თუ ინდოევროპიელთა მოდგმის ხალხთა საქმე. იგი ამ კულტურის შემქმნელთა პირველ ელემენტად სთვლის იაფეტიდებს, რომელთაც „მესამე ეთნიურ ელემენტს“ უწოდებს, და ამ დებულებას ასე განმარტავს: თუ, მეორეს მხრივ, ეთნიურ ელემენტთა შესახებ ვილაპარაკებთ მათი ხელთაშუა ზღვის კულტურის შემოქმედებაში მონაწილეობის დროის მიხედვით, მაშინ განსაზღვრა „მესამე“ უფრო შესაფარი იქნებოდა ინდოევროპიელთა მიმართ... იაფეტიდებს კი შეეძლოთ მიეთვისებინათ პირველი ეთნიური ელემენტის სახელწოდება. და მიუხედავად ამისა, მაინც ჯერ-ჯერობით მათ მესამეს ვუწოდებთ ხმელთაშუა ზღვის და მასთან დაკავშირებული წინა-აზიის კულტურის შემოქმედთა შემადგენლობაში არქეოლოგიური მეცნიერების მიერ მესამე ტომის ელემენტის დაწესების დროის მიხედვითო [3]). ეს „მესამე ელემენტი“ დიდად ყოფილა გავრცელებული: მესამე ელემენტი მცირე და საზოგადოდ წინა აზიაში; მესამე ელემენტი ხმელთა-შუა ზღვის კუნძულებზე და აგრეთვე ბალკანეთის და აპენინების ნახევარ-კუნძულებზე; იგივე მესამე ელემენტი ევროპის უგანაპირეს დასავლეთში, პირინეების ნახევარ-კუნძულზე; მესამე ელემენტი რუსეთის სამხრეთ ნაწილში, პონტის ნაპირებზე, რომლებიც ხმელთაშუა ზღვის სანაპიროების გაგრძელება არის.

და რასაკვირველია, არ უნდა დავივიწყოთ კავკასიის იაფეტიდებიც, რომლებთან დაკავშირებით სურს გაარჩიოს მეცნიერს მრავალი საყურადღებო საკითხი. იგი გაკვრით ეხება იმასაც, თუ რამდენად შესაძლებელია, დაწესდეს თანასწორობის ნიშანი იმ ხალხსა, [4]) ბოლო რომ მოუღო მიკენის ეპოქას ბრინჯაოს ნაცვლად რკინის შემოღებით, და იაფეტურ ტომის—რკინის, იონიანებს შორის, რომლებიც უკვე შერეული იყვენ ინდო-ევროპიელებთან, თუ ჯერ კიდევ წმინდად შენა-

---

[1]) იხ. „Яфетический Кавказ и третий этнический элемент в созидании средиземно-морской культуры“. ლაიპც. 1920 წ.

[2]) გვ. 13.

[3]) გვ. 7—8; 19. [4]) გვ. 41.

ხული ეს საყურადღებო აზრი ჩვენი თანამემულე მეცნიერისა უდიდესად პრობლემატიური ხასიათისაა და სათანადო დასაბუთებას მოითხოვს.

ამგვარად კრეტის-მიკენის კულტურის მატარებელ ხალხთა შესახებ აზრთა ასეთი სხვადასხვაობა უკვე თავისთავად მიგვითითებს იმ უდაო ჭეშმარიტებაზე, რომ ეს საკითხი ჯერ არ არის საკმაოდ გაშუქებული და საბოლოოდ გარკვეული. მართალია ბერძენთა გადმოცემამ შეგვინახა სახელები სხვა და სხვა ტომებისა, პელასგებისა, კარიელებისა, ლელეგებისა, კიდონიელებისა, ეტეოკრეტელებისა [1]) და სხ. მაგრამ ჩვენ არ ვიცით, ვინ იყვენ ეს ტომები, ან ადამიანთა რომელ მოდგმას ეკუთვნოდენ. ჩვენ ვიზიარებთ იმ მკვლევართა მოსაზრებას, რომ ლთაც ეგეოსის ცივილიზაცია არც სემიანთა და არც არიელთა მოდგმის ხალხთა კუთვნილებად არ მიაჩნიათ, ამიტომაც სარწმუნოდ ვერ მივიჩნევთ პროფ. ლიხტენბერგისა და შტერნის ზევით აღნიშნულ თეორიას. ამ აზრის დასასაბუთებლად სხვათა შორის ის ფაქტიც გამოგვადგება, რომ ბერძნებს შენახული ჰქონდათ ზოგიერთი ისეთი გეოგრაფიული სახელწოდება, რომელთა დაბოლოებაც არა-ბერძნულია: მაგ., ტირინთოს. კორინთოს, პარნასოს და სხვ., აგრეთვე შემდეგი სახელ-არსებითი: λάβρυσ, λαβύρινθοσ, ἄεγυρσ და სხვ. ამას უნდა მიუმატოთ საბერძნეთის ზოგიერთი ადგილების სემიტიური (ფინიკიური) სახელწოდება: იარდანი, მარათონი, სალამინი და სხვ. (ჰომიროსი ოდესერ იხსენიებს იარდანს; ერთს კრეტაზე—ოდის, III, 292 და მეორეს ელიდაში —ილ. VII, 135).მეორეს მხრივ წარსული საუკუნის დასასრულში კუნძულ ლემნოსზე აღმოაჩინეს წარწერები სრულიად უცნობ ენაზე. [2]) პრესში, კრეტაზე, იპოვეს აგრეთვე ორი წარწერა ბერძნული ასოებით, მაგრამ რომელილაც უცნობ ენაზე. [3]) ყოველივე ეს იმაზე მიგვითითებს, რომ ბერძენთა მოსვლამდი ძველ ელადაში უკვე ცხოვრობდნენ თავისებური კულტურის მატარებელი უცხო ტომები .პროფ. დერპფელდის [4]) აზრითაც კრეტის პერიოდის წარმომშობი ხალხი არა ბერძნული, საზოგადოდ არაარიული შთამომავლობისა ყოფილა, ხოლო შემდგომი—მიკენის პერიო-

[1]) „ნამდვილი კრეტელებისა“,

[2]) იხ. ნახმაზონი Mitth. d. ath. Jnst. 33 (1908) 47 შგ.

[3]) ფიქრობენ, ვითომც ეს ენა ეტეოკრეტელებისა უნდა იყოს, რომლებიც თითქოს კრეტის აღმოსავლეთ ნაწილში, პრესის მახლობლად, ცხოვრობდენ.

[4]) იხ. ,,Die kret., myken. und homerischen Paläste''. M. D. A. J. 30 (1905).

დის კი უკვე ბერძენთა ტომი—აქეველები. თუ პროფ. ლიხტენბერგის აზრს მივიღებთ, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ არიელთა და კერძოდ ბერძენთა „ეგეოსის ქვეყანაში“ დამკვიდრება ქრ. წ. უკვე სამ ათასიან წლებში მოხდარა მაშინ, როდესაც სხვა საბუთები უფრო სარწმუნოდ ჰქმნიან იმ მოსაზრებას, რომ ბერძენთა ტომები ძველ საბერძნეთში გაჩნდენ ქრ. წ. არა უადრეს ორი ათასიანი წლების მეორე ნახევრისა. ესეც რომ არ იყოს, თუ ჩვენ არ წარმოვიდგენთ, რომ ეგეოსის კულტურა უცხო ტომთა შემოსევამ გაანადგურა, მაშინ ჩვენთვის გაუგებარი იქნებოდა ის უეცრივი, მოულოდნელი დაღუპვა, რომელიც მან ორ ათასიანი წლების დასასრულს და პირველის დასაწყისში განიცადა; აგრეთვე გასაოცარი იქნებოდა ის დიდი გარდატეხა, „ეგეოსის ქვეყნის“ კულტურულ ცხოვრებაში, რომელსაც ხსენებულ დროს ჰქონდა ადგილი, როდესაც ბრწყინვალე კულტურა ბარბაროსობის და კულტურული დაცემის ეპოქით შეიცვალა. ასეთი გარდატეხა ბუნებრივად გულისხმობს ღრმა გადატრიალებათ, ხალხთა გაჩქარებულ მოძრაობას, მათ დიდ გადასახლებას და ამასთან დაკავშირებულ ისტორიულ კატასტროფებს. ის ფაქტი, რომ შუა ევროპის და სამხრეთ რუსეთის ნეოლიტიური კულტურა ბევრ რამეში ემზგავსება ეგეოსის ნეოლიტურ კულტურას, სრულიადაც არ ამტკიცებს მათ მატარებელ ხალხის იგივეობას. მზგავსი ნივთები გვხდება სუზაში, (ცენტრალურ აზიაში, ჩინეთში და თითქმის ამერიკაშიც. ამიტომაც ანიშნული მზგავსება შეიძლება ავხსნათ არა იმით, რომ ხსენებულ ადგილებში ნეოლიტიური კულტურა ერთი რომელიმე განსაზღვრული ტომის მიერ იქნა შექმნილი და გავრცელებული, არამედ იგი შეიძლება შედეგი იყოს ერთი მეორესაგან დამოუკიდებელი, პარალელური განვითარებისა...

დასასრულ, უნდა შეეჩერდეთ კიდევ ერთ მოსაზრებაზე, რომელიც დაკავშირებულია ჩვენთვის უკვე ცნობილ ფილისტიმელებთან. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ფილისტიმელები იგივე პელასატი[1]) იყვნენ და რომ ისინი ეგვიპტესთან შეტაკებაში დამარცხების შემდეგ ნაცვლად კრეტა-კაფტორისა ახალ სამშობლოში—პალესტინაში დასახლდნენ[2]). ვიცით ისიც, რომ კრეტა და კაფტორი თუ ღავთორიმი, რომელსაც დაბადება ფილისტიმელების სამშობლოდ იხსენიებს, ერთი და იგივეა.

---

[1]) შ ერდანა, ტურიშა. შაკალშა და სხვა ტომების შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. იხ. გვ. 124—130.

[2]) იხ. ზეით გვ. 127—128.

ეგვიპტის ფარაონის რამზეს III მიერ დამარცხების შემდეგ პულასატი—ფილისტიმელები უმთავრესად გაზისა და ასკოლონის მახლობლად დაემკვიდრნენ და თვალსაჩინოდ „გასემიანდნენ", ე. ი. ბევრი რამ შეითვისეს სემიანთა კულტურიდან.

წიგნი ისუსი ძისა ნავესი გადმოგვცემს, რომ ფილისტიმელების ქვეყანა ჯერ კიდევ არ ეკუთვნოდა ისრაელებს. მასში სხვათა შორის ნახსენებია ფილისტიმელთა ხუთი მთავარი: „და ესე არს ქვეყანა, რომელი დატოვებულ არს: საზღვარნი ფილისტიმისანი, გესორი და ქანაანელი და უდაბნოთაგან, რომელ არს წინაშე პირსა ეგვიპტისასა საზღვრამდე აკარონისა მარცხენით ქანაანელთასა, შერაცხილ არს ხუთთა მათ სანახევეტოთა ფილისტიმისათა, გაზეილსა, და აზოტელთა, და ასკალონითისა, და გეთელსა, და აკარონელსა, და ევეისა" (თავი XIII. 3-დ). ხოლო მსაჯულთა წიგნის მიხედვით ფილისტიმელები 40 წელს ბატონობდენ ისრაელებზე: „და შესძინეს ძეთა ისრაელისათა მერჰე ყოფად ბოროტისა წინაშე უფლისა, და მისცა იგინი უფალმან ხელთა ფილისტიმელთასა ორმეოც წელ (XIII. ა.). ასეთია დამადების ცნობები ფილისტიმელთა შესახებ მას შემდეგ, რაც ისინი კრეტადან ოტებულნი ახალ ადგილას დაემკვიდრნენ.

რომ ეს პულასატი—ფილისტიმელები ეგეოსის კულტურის ყოველ შემთხვევაში ერთ-ერთი წარმოადგენელი ხალხი იყვენ, ამის დასამტკიცებლად გარდა იმისა, რომ პულასატი მოხსენებულია ეგვიპტის ძეგლეებში მასზე გამოლაშქრებულ „ზღვის ხალხთა" რიცხვში, შეიძლებოდა აღგვენიშნა რამდენიმე ფაქტი.

ა) ფესტში აღმოჩენილ დისკოზე, რომელსაც ჩვენ უკვე გავეცანით, განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ადამიანის თავი ფრთებიან ჩაჩქანში. ეს სურათი ძლიერ წააგავს ეგვიპტის ძეგლებზე /გამოხატულ პულასატის. [1]) ეს უკანასკნელი ხალხი კი ფილისტიმელები იყვენ. მართალია, შესაძლებელია ეს დისკო სხვა მხრიდან იყოს შემოტანილი კრეტაზე. მაგრამ ფილისტიმელებზე მიგვითითებს სხვა ცნობებიც. როგორც უკვე ვიცით, ეგვიპტის ძეგლებში შემოსეულ „ზღვის ხალხთა" შორის პულასატი-ფილისტიმელები მოხსენებული არიან დანონასთან, ე. ი. დანაელებთან, ბერძნებთან ერთად. ვიცით ისიც, რომ დამადება ფილისტიმელებს სამშობლოდ ღავთორიმს—კუნძულ კრეტას იხსენიებს.

ბ). ჩვენ მოგვეპოვება ეგვიპტური გამოხატვა ხეტების ჯარისა, რომელ-

[1]) იხ. სურათი № 56.

მაც ეგვიპტის წინააღმდეგ გაილაშქრა ქ. კადეშთან. [1]) ამ სურათში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ათი კაცისაგან შემდგარი ფეხოსანთა ჯგუფი. ეს ათი კაცი თვისი გარეგნობით იმ ხალხთა წარმომადგენელებს უნდა განასახიერებდეს, რომელნიც ხეტებთან დაკავშირებით იბრძოდნენ ეგვიპტელების წინააღმდეგ. პირველს, მეექვსეს და მეათე მეომარს თავზე აქვთ პულასატის ფრთებიანი ჩაჩქანი და მოკლე მუხლებამდი დაშვებული ტახსაცმელი. პირველს ამასთანავე შემოკრული აქვს კეფტიუს ხალხის ჩვეულებრივი ქამრიანი წინსაფარი. ჩვენ კი ვიცით, რომ ეგვიპტის ძეგლებში კეფტიუს სახელით კუნძულების ხალხთა წარმომათგენლები იყვნენ ცნობილი. გარდა ამისა პირველ მეომარს ხელში უკავია მოკლე ფარი, რომელიც თვისი გარეგნობით დიდად მოგვაგონებს ეგეოსის ფარს.

ვ) კრეტის კულტურის განხილვის დროს ჩვენ დავინახეთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კრეტას ხუროთ-მოძღვრებაში სვეტებს. უნდა მოვიგონოთ, რომ ის დარბაზი, რომელშიაც ფილისტიმელები ილხენდენ და დასცინოდნენ თვალებ—ამოთხრილ სამსონს, აგრეთვე სვეტებზე იყო დამტკიცებული. გამწარებულამა სამსონმა შეანძრია სვეტები და შენობაც დაინგრა: „და შებმა უყო სამფსონ ორთა მათ სვეტთა რომელნი დგეს შორის რომელსა ზედა ტაძარი იგი დამტკიცებული იყო, და მოსდვა მას ერთსა ხელი მარჯვენე მისი და მეორესა მარცხენე. და თქვა სამფსონ: მოკვდინ სული ჩემი უცხო თესლთა ამათა თანა, და მოზიდა ძალითა, და დაეცა ტაძარი იგი მთავართა ზათ" (წიგნი მსაჯულთა. XVI, კთ-ლა).

ღ) დიდი ყურადღების ღირსია ისიც, რომ იმ ადგილებში აღმოჩენილი საგნები, სადაც კრეტადან ოტებული ფილისტრიმელები დაემკვიდრენნ, თვალსაჩინოდ წაგვავან ეგეოსის ნივთებს, მაგ., აქაური კერამიკა ემზგავსება კრეტის გვიან- მინოსური დროის კერამიკას და სხვ.[2]) აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ ფილისტიმელთა ქალაქ გაზას ეწოდება აგრეთვე მინოი. ადვილად შესაძლებელია, რომ ეს უკანასკნელი სახელწოდება ძველ სამშობლოში შეთვისებული კულტურის ზეგავლენით წარმოიშვა.

---

[1]) ეს სურათი აქვს მასპეროს თვის შრომაში: „Histoire ancienne des peuples de l'Orient classique", II. პარიზი. 1897. წ.

[2]) იხ. ზევით. გვ. III.

ყველა ეს მოსაზრება გვარწმუნებს, რომ ფილისტიმელები ეგეოსის კულტურის ერთ-ერთი მატარებელი ხალხი იყვნენ.

მაგრამ ეს აზრი საბოლოოდ გარკვეულადაც რომ ჩავსთვალოთ, მაინც დარჩება კიდევ მრავალი ბუნდოვანი საკითხი და ამოცანა კრეტის—მიკენის ცივილიზაციის წარმომშობ ტომთა შესახებ. და ყოველივე ამას მხოლოდ მაშინ შეიძლება აეხადოს საესებით საიდუმლოების ფარდა და ნათლად წარმოუდგეს მეცნიერებას, როდესაც ამოკითხულ იქნება კრეტას ძველი დამწერლობა. ეს და უმთავრესად ეს მოგვცემს იმ ჯადო გასაღებს, რომლითაც მეცნიერება სავსებით ჩასწვდება ამ მრავალ ფხრივ საყურადღებო საკითხს. მანამდის კი ამ საკითხის მკვლევარ—მეცნიერთ პრობლემატიურ მსჯელობათა სფეროში მოუხდებათ ტრიალი. კრეტას დამწერლობის გარჩევა არა მარტო ამ საკითხს გააშუქებს, შესაძლებელია, მან სხვა ელფერით და შინაარსით შემოსოს თვით კრეტას ძეგლები და მაშინ ალბად უფრო მეტის საბუთით იქნება შესაძლებელი მათი რაობის და დანიშნულობის გარკვევა.

კორექტურული შეცდომების გასწორება.

ამ შრომაში ბეჭდვის დღევანდელი პირობების გამო საშეწუხაროდ მრავლად გაგვეპარა კორექტურული შეცდომები, განსაკუთრებით უცხო ენების ტექსტებში და შრომათა სათაურების აღნიშვნაში.

ვასწორებთ მხოლოდ ძმთავრეს შემჩნეულ კორექტურულ შეცდომებს; მე-ბ-ე გვ მე-5-ე სტრ. ზევიდან სწერია—„მესამოცე", უნდა იყოს—„სამოციანი".

10	11	ქვეიდან	მართებული	მიზანშეწონილი
12	15	ზევიდან	მესამეათასეულ „	ათასეულ
18	11		მესამოცდაათე	სამოცდაათიან
20	5		„საბაბო"	ვანის
62	16		„ Prlegomena „	Prolegomena

გარდა ამისა 1) მე-16-ე გვერდის პირველ შენიშვნას ბოლოში აკლია სიტყვა: „πολλοὶ", 2) მე-17-ე გვერდის მეორე შენიშვნა ასე უნდა გასწორდეს: მინოსის შესახებ Hesiodus, ΘΕΟΓΟΝΙΑ, 948, შემ. და FRAGM. 96, 17 შემ. 3) მე-62-ე გვერდის მეორე შენიშვნაში სწერია: „Epidrafic", უნდა იყოს „Epigrafic", და სხვ.